Time

გმირი

პროექტი ხორციელდება გაზეთ „პრაიმტაიმის“ მიერ,
ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის
„ოქროს ფრთის“ მხარდაჭერით

წიგნი ეძღვნება ავღანეთში დაღუპული
ქართველი გმირების ხსოვნას

PRIME Time

GOLDEN FEATHER
ოქროს ფრთა

გმირი

მისია ავღანეთი

2013

ყველგან, სადაც სამშობლო გვეძახის...

თეონა დოლენჯაშვილი

„შემთხვევა ჰელმანდის პროვინციაში, ბაზა „შირგაზზე“ 16:17 საათზე მოხდა. არსებული ინფორმაციით, ბაზაზე, სადაც 42-ე ბატალიონია დისლოცირებული, თვითმკვლელმა ტერორისტმა და მეამბოხეთა ჯგუფმა იერიში მიიტანა...“ - ასე იწყებოდა საინფორმაციო სააგენტოს გამოშვება, რომელმაც კიდევ შვიდი ქართველი ჯარისკაცის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ გვამცნო...

სტატისტიკა - მშრალია, მხოლოდ ციფრებია, რომლის უკან ადამიანების ცხოვრება დგას. მომღიმარი სახეები, ხმები, მოგონებები... ცხოვრება, რომელიც უდროოდ შეწყდა, ადამიანი, რომელმაც ვერ მოასწრო შეყვარება, შექმნა, სახლის აშენება, სიხარული, სევდა, რაღაც მნიშვნელოვანის თქმა, კიდევ სხვა, ახალი სიცოცხლის გაჩენა...

საერთოდ, რატომ ხდებიან ჯარისკაცები? რისთვის ომობენ? რატომ სწირავენ სიცოცხლეს მშობლიურ მიწას, სამშობლოს, იდეებს.. რა არის ის, ყველაზე მთავარი, რაც ადამიანს ამოძრავებს, რაც საკუთარ სიცოცხლეზე, მის გაგრძელებაზე მეტად უღირს? - სვამდნენ თუ არა ამ კითხვებს ბიჭები, რომლებიც ავღანეთში დაიღუპნენ. ალბათ, არა. როდესაც იცი პასუხი, კითხვასაც აღარ სვამ.

ალბათ, თითოეულმა ჩვენგანმა დაბადების დღიდანვე იცის პასუხი, ამქვეყნად მოსვლის მიზეზი. მისია, რომელიც ზოგიერთისთვის მარტივი, ყოფითი ცხოვრებაა, ზოგისთვის კი რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი.. ყველაზე დიდი, რაც კი შეიძლება ერთი მოკვდავი ადამიანის ამქვეყნად მოცემულმა ხანმოკლე დრომ და დიდმა, მეტაფიზიკურმა არსებობამ დაიტიოს.

მაგრამ ამ მისიის შესრულება ასე იოლი არ არის, მაშინ როდესაც ყველაფერი ის, რაც ასე ტკბილია, უკან გექაჩება, როდესაც უყურებ შვილს, ესაუბრები დედას თუ საყვარელ ქალს და იცი, რომ ეს შეიძლება უკანასკნელად ხდებოდეს. როდესაც გესმის, რომ მზე, რომელიც ამოდის, მეტად შეიძლება ვეღარ დაინახო და წუთი, რომელიც უნდა დადგეს, აღარასდროს დადგება... სწორედ ეს პასუხები, სწორედ ეს გაცნობიერებული არჩევანი, სწორედ ეს რწმენა და შეგნებული თავგანწირვა ქმნის გმირს... ადამიანს, რომელიც ამბობს: „მე და ჩემმა მეგობრებმა, აქ რომ მოვდიოდით, ვიცოდით, რომ ომი დაგვხვდებოდა - ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იქნებოდა ჩასაფრებული, მაგრამ მაინც წამოვედით... მე მწამს, რომ აქ ჩემს სამშობლოს ვემსახურები...“

მიწაზე, სადაც ჩვენი ჯარისკაცები იღუპებიან, უცხოა. ეს არის მიწა, სადაც დგას მინარეთები და ბამიანის ველის გამოქვაბული მონასტრები, სადაც თალიბები მართავენ ქვეყანას, სადაც ხანგრძლივი ომებია და თვითმკვლელ ტერორისტებს, თანამედროვე ნაციზმს, ისლამოფაშისტებს საკუთარი სასტიკი „მისია“ აუღიათ... აქ, ჰელმანდის პროვინციაში, ამ უცხო და ყველაზე ცხელ მიწაზე განსაკუთრებით ძნელია სიკვდილი. აქ, სრულიად მარტო ხარ და ერთადერთი მფარველი ღმერთია, ერთადერთი დამხმარე კი ის განცდა, რომ აქ სამშობლოს ემსახურები. დიდ იდეას... რომ სწორედ შენი პატარა ქვეყნის სახელით იცავ მსოფლიოს, მის ჰუმანურ ღირებულებებს. და სწორედ აქ, ათი ათასობით კილომეტრით შორს, დარაჯობ შენი შვილის მშვიდ ძილს..

არასდროს, როგორც ახლა, არ ყოფილა სამყარო ასე დიდი და ამავე დროს ასე პატარა. ის დავიწროვდა. და ამ დიდი სივიწროვის სამყაროში ჩვენც უნდა დავეტიოთ. სამშობლო დღეს ყველგანაა. და ჩვენ ყოველდღე, თავიდან ახალი და დიდი მისიით უნდა მოვკვდეთ და დავიბადოთ. ყველგან, სადაც ის გვეძახის... ყველგან, სადაც ქართველი ბიჭების სისხლი დაქცეულა, ჩვენი ქვეყნის მომავალი იბადება. ჩვენი ენით, ისტორიით, ხასიათით, განუმეორებელი და თვითმყოფადი კულტურით... და იმ ახალი, ნამდვილი სიცოცხლით, რომელსაც სწორედ ეს უკვდავი გმირები ქმნიან.

გმირი

მისია ავღანეთი

ლეიტენანტი

მუხრან შუკვანი

31.01.1984 - 5.09.2010

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის მეთაური. დაიღუპა სნაიპერის ტყვიით, 2010 წლის 5 სექტემბერს, ჰელმანდის პროვინციაში. სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

„ოდესმე თუ გვიფიქრია, რა არის სიცოცხლე, რატომ მოვევლინეთ ამ ქვეყანას და როდის გარდავიცვლებით... საოცარია, დავდივართ ამ ცოდვილ მიწაზე გაჭიმულები, ისე, თითქოს ყველაფერი ჩვენი იყოს. უფალმა მოგვცა უფლება გვეცხოვრა, შეგვეგრძნო რა არის ადამიანი, რა არის სიყვარული, მზით გათბობა, გაზაფხულის სურნელი, გამოგვეცადა ის გრძნობები, რაც ადამიანურია და მერე...

ღმერთო, რა ძნელია სიკვდილი, იგი ყველაფერს წაგვართმევს და თავის შავ სამოსელში გაგვხვევს, ნუთუ იმისთვის ვიბადებით, რომ მერე დავიხოცოთ. მიკვირს, როგორ ახერხებს ადამიანი ამ აზრით ცხოვრებას.

მინდა უკვდავი ვიყო!!! ვიცხოვრო მაშინაც კი, როცა დედამიწაზე გარდავიცვლები, მინდა ისე განვვლო წუთისოფელი, რომ სიკვდილიც საამო იყოს და მაღალმა უფალმა მიიღოს ჩემი ცოდვილი სული“...

მუხრან შუკვანი

როდესაც ამ ჩანაწერს აკეთებდა, მუხრან შუკვანმა არ იცოდა, რომ 28 წლის ასაკში მისი სახელი მართლაც უკვდავყოფილი იქნებოდა ქართველი გმირის წოდებით. ის მართლაც ცხოვრობს, მაშინაც, როცა დედამიწაზე გარდაიცვალა... ისე, როგორც თავის ჩანაწერში ისურვა. სვანეთში გაზრდილი, ძლიერი ბუნების ვაჟკაცი, დღეს მშობლიურ ლენჯერში განისვენებს... სიცოცხლის ბოლო დღეები მანაც ავღანეთში განვლო და საერთაშორისო მისიით მსოფლიოს ცხელ წერტილში წასული, სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. უკან დარჩა სვანეთი და სახლი, რომელიც ყველაზე მეტად უყვარდა... დარჩა მშობლები, შავით მოსილი და შვილის სიკვდილით დაუძლურებული. დარჩა ორი უმცროსი ძმაც, რომლებსაც დღეს ყველა გმირის ძმებად იცნობს.

შეყვარებული იყო, თუმცა ოჯახმა ისიც კი არ იცის ვის უწერდა მათი ვაჟკაცი სატრფიალო ლექსებს. მათი ადრესატი არ გამოჩენილა, თუმცა მუხრანის დედამ მას ყველა ლექსი მაინც საგულდაგულოდ შეუნახა.

***

„მე, ალბათ, ომში დავილუპები,
ალბათ, ბრმა ტყვია გამიღებს კარებს,
უკანასკნელად გამახსენდები
და შენზე ფიქრით დავხუჭავ თვალებს...
და როს სიცოცხლეს შეცვლის სიკვდილი
ტანჯული გული რომ დაისვენებს,
სულის სამოთხეს მივწვდები, ალბათ,
თუ შენი ცრემლი მკერდს დამისველებს“...

***

„ჩვენ ბედის წერას ვერ დავემალებით,
ალბათ, ამიტომ დავალთ ცალ-ცალკე,
იცოდე ერთად ვეღარ ვიქნებით,
რადგან ეს წლები გადიან მალე.
მახსოვს შორიდან ნატყორცნი მზერა,
რომელსაც გული მალე ემსხვერპლა...
მაინც თვალიდან ცრემლები მდიან
და დავიწყება ამ გულს არ ნებავს.
ნუღარ ვიფიქრებთ, ჩვენ ორნი ერთად
ვიაროთ ცალკე ეულად, მარტომ,
მხოლოდ ამას გთხოვ, იცოდე კარგო,
რომ სიყვარული კვდება არასდროს“...

„ალბათ შეყვარებული იყო, მაგრამ არავინ არ გამოჩენილა. ალბათ, იყო, აბა, რატომ წერდა ასეთ ლექსებს“ - ფიქრობს კლარისა შუკვანი და გმირი შვილის შესახებ თვალცრემლიანი გვიყვება.

კლარისა შუკვანი, დედა:

- მუხრანმა ლენჯერის საშუალო სკოლა დაამთავრა. ბავშვობიდანვე ყველანაირად დადებითი და დამჯერი შვილი იყო. 28 წლის განმავლობაში ერთხელაც არ უწყენინებია ჩემთვის. მთელი სოფელი ასე ფიქრობს, ყველას უყვარდა. ისეთი ადამიანი, როგორიც ის იყო, ალბათ, ჯერ არც დაბადებულა. უარს არავის არაფერზე ეტყოდა. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სამხედრო სამსახურისადმი დიდი სიყვარულით და სკოლა რომ დაამთავრა, პირდაპირ სამხედრო აკადემიაში ჩააბარა. მაშინ თურქები ასწავლიდნენ. ძალიან კარგი ყოფაქცევითა და დისციპლინით გამოირჩეოდა. იქიდან გვიგზავნიდნენ დახასიათებებს და მადლობის წერილებს. იცით, რამდენი მედალი აქვს მიღებული?.. მაგრამ, არც სახლში და არც თავის მეგობრებთან, ერთხელაც არ დაუტრაბახია თავისი წარმატება. გამორჩეული კურსანტის სახელით დაამთავრა სამხედრო აკადემია. შემდეგ ერაყში წაიყვანეს. იქიდან რომ ჩამოვიდა, ქუთაისში დაიწყო მუშაობა. შემდეგ ცხინვალის ომში წავიდა, აგვისტოს ომმაც ჩვენს გულებზე გადაიარა. იქიდან ვერ გვირეკავდა და არ ვიცოდით ცოცხალი იყო თუ მკვდარი. დაჭრილიც ყოფილა, მაგრამ არ გაუმხელია ჩვენთვის, ბიჭებისთვის უთქვამს, არ თქვათო. ერთ დღეს, როცა

სამხედრო მანქანა მოგვადგა და გვითხრეს, თავდაცვის სამინისტროდან ვართო, მაშინ შევიტყვე, რომ დაჭრილი იყო. მერე თვითონაც ჩამოვიდა სახლში 2 ღამით, 4 ბიჭი დავკარგეო და კინაღამ გადაჰყვა იმათზე დარდს. მაშინ ვუთხარი, რომ მომივიდა ცნობა მისი დაჭრის შესახებ. მშვიდად მითხრა, არაფერიაო. თავი არ დავანებე და ბოლოს მაჩვენა ჭრილობა. როცა საქმე სამსახურს ეხებოდა, ერთი სიტყვა არ დასცდებოდა. ასმეთაურებმა მითხრეს, სულ ამბობდა, სანამ სხვა ჯარისკაცს რამე დაემართება მანამდე მე უნდა დამემართოსო. თავისი ჯარის მე-

გობრების ერთგული იყო. სერჟანტი ამბობდა, 5-6 კაცი მოვკვდებოდით მუხრანი რომ არ ყოფილიყოო. ასე, გადმოცემით ვიცი ყველაფერი მის შესახებ, რაც ბრძოლის ველზე გამოუვლია. ძალიან ყურადღებიანი შვილი იყო. ავადმყოფი ქალი ვარ, სულ მირეკავდა და მეუბნებოდა, დედა, როგორი ხმა გაქვს, რამე ხომ არ განუხებსო. მერე სხვებს ეკითხებოდა, ხომ არაფერია საშიში დედაჩემის თავსო. გამორჩეული ბიჭი იყო. მანამდე სხვა სამსახური არ ჰქონია, სკოლის დამთავრებისთანავე ჩააბარა აკადემიაში, 4 წელი ისწავლა და პირდაპირ სამსახური დაიწყო, სადაც 1 წელი იმუშავა. შემდეგ ერაყში წავიდა... ერაყიდან რომ დაბრუნდა ქუთაისში დაიწყო მუშაობა, სამხედრო განხრით. მერე იყო ცხინვალის ომი, მერე ავღანეთი და ეს აღმოჩნდა მისთვის უკანასკნელი ბრძოლის ველი...

თავის საქმეში წარჩინებული იყო. დაწინაურება ელოდა წინ. ტუღუში იყო მისი მეთაური, მისი წერილი მანამდეც მოგვივიდა, ბევრჯერ არის ჩვენთან ჩამოსული. ამერიკიდანაც გვირეკავდა, მუხრანის სასაფლაოზე აუცილებლად მოვალო. ძალიან უყვარდა და აფასებდა. მუხრანის სურათი თავის კაბინეტში ჰქონია. ასეთი გამორჩეული ბიჭი მყავდა.

ბავშობიდანვე ჰქონდა ჯარისადმი სიყვარული. მე საერთოდ არ ვფიქრობდი, რომ ამ განხრით წავიდოდა, თავისით მოინდომა.

არასოდეს არაფერს გვეუბნებოდა. არც ავღანეთში წასვლის შესახებ გვითხრა. ასეთი რამ მართლა არ მეგონა, რომ ესენი პირდაპირ ბრძოლის ველზე მიდიოდნენ. სახლიდან ოჯახის წევრების დაბადების მოწმობები რომ მოგვთხოვა, მივხვდი და დავურეკე, ავღანეთში წასასვლელად ხომ არ გამზადებენ-მეთქი, „დედა, შენ არაფერი გამოგეპარებაო“. გულმა მიგრძნო. ყველაზე ცხელ წერტილზე იყო... მისი დაღუპვის შესახებ სამხედრო პირებმა გვაცნობეს. 5-ში დაიღუპა და 6-ში ჩვენ გავიგეთ... ტელევიზიით ინფორმაცია კი მოვისმინე, მაგრამ მასზე არაფერი უთქვამთ... სამხედრო მაღალჩინოსნებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, იქვე გადაუხდიათ პანაშვიდი. ჩემს შვილს მე ისე არ ვიცნობდი, ალბათ, როგორც ისინი ახასიათებენ. ისე უვლიდა ყველას... ავღანეთში პატრულირებაზე პატარა ბიჭები ყოფილან, ეცოდებოდა და ასვენებდა, ცოტა ხანი დაისვენეთ, თქვენს მაგივრად მე დავდგებიო. უკვირდათ, ნუთუ არც ეძინება და არც იღლება, ასეთი რა არისო?! 28 წლისა ცოლ-შვილს ვერ მოესწრო. ჩემთვის კი ძალიან კარგი შვილი იყო, დაუზარელი. წყალი ვინმეს თუ მოუნდებოდა, ჩუმად აძლევდა თურმე, წესით, ინსტრუქტორმა არ უნდა მიუტანოს. 28 წლის იყო და მე მის ხელში არც სიგარეტი დამინახავს და არც ალკოჰოლი. 28 წლის განმავლობაში ერთხელ

ნასვამი არ მინახავს. უამრავი მედლები და სიგელები აქვს მიღებული... თურქები განსაკუთრებულად ახასიათებდნენ, მშობლებს ცალკე გვიგზავნიდნენ მადლობას ასეთი შვილისთვის. დიდი გეგმები ჰქონდაო, მეგობრები ამბობენ. დასვენება უნდოდა, რომ ჩამოვალ ცოტა ხანი დავისვენებო. მერე, ალბათ, ოჯახსაც შექმნიდა. ყველა ვაფრთხილებდით, რომ ფრთხილად ყოფილიყო, მაგრამ გვეუბნებოდა, რისი გეშინიათ, არაფერი არ მომივაო... ლექსებსაც წერდა სიყვარულზე...

- შეყვარებული იყო?

- ალბათ იყო, აბა, ვისთვის წერდა ამ ლექსებს... თუმცა ჩვენ არ ვიცით ვინ უყვარდა. გოგონებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. მისი მეგობარი გოგონებიც ისე განიცდიან, რომ მელაპარაკებიან მასზე, ჩემზე მეტად ისინი ტირიან. სახლი ჰქონდა სვანეთში, გოგონებთან ნათქვამი ჰქონია, იმ სახლში ვერანდას ვაკეთებ და რომ ჩაგიყვანთ სვანეთში, განახებთ, იქიდან ყველაფერი მოჩანსო. არ დასცალდა ამის გაკეთება. ბევრი ვეხვეწე გამგეობას, მაგრამ არავინ დამეხმარა მის გაკეთებაში. ჯარისკაცებს ვთხოვე მუხრანის მიწა მაინც ჩამომიტანეთ-მეთქი. ჩემი შვილებივით არიან ისინიც... მე მუხრანის გარდა 2 ბიჭი მყავს, მუხრანი ნაბოლარაა. ძმებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. 7 წელია განსხვავება. ძალიან კარგი ძმობა ჰქონდათ, თვითონ მუხრანი იყო საყვარელი ბავშვი. რაც არ უნდა გეთხოვა, უარს არაფერზე გეტყოდა, სოფელში ყველას ეხმარებოდა, არაფერს იზარებდა. დღემდე არ ვიცი რატომ აირჩია სამხედრო გზა. რა ვიცოდი აკადემიაში ჩაბარებას ასეთი რამ თუ მოჰყვებოდა. ხან ვფიქრობ, ნეტა არ გამეშვა, სახელი კი მოიხვეჭა, გმირულად დაიღუპა, მაგრამ მე რა დამრჩა? დღეს შვილმკვდარი დედა ვარ და მთელი ცხოვრება ამ ტკივილში უნდა გავატარო.

ნუგზარ ბ.რუხაძე

შიშს მიღმა

სიკვდილის ყველას გვეშინია და ამიტომ გავურბით მას. სიკვდილის შიშის დაძლევაა ის, რაც წინ უძღვის და განაპირობებს ხოლმე ადამიანების გმირულ საქციელს. საქართველოს ახლანდელი ახალგაზრდობის ერთ ნაწილს ბედმა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნა არგუნა, და დაღუპვის შიშის დაძლევა თავგანწირვის გარდაუვალობის შეგრძნებამ ასწავლა. მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების გზაგასაყარზე საქართველოს ძალიან გაუჭირდა ცხოვრება და საბჭოთა კავშირში მშვიდად, დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ, მოულოდნელად დადგა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის აუცილებლობის წინაშე. მეორე მსოფლიო ომში დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ ქართველ ხალხს, ალბათ, ვეღარც კი წარმოედგინა, რომ ოდესმე მისი გასამრავლებლად გამზადებული ბიჭების ხოცვა-ჟლეტას მოესწრებოდა. ომებმა წალეკა საქართველო და თანაც როდის! მაშინ, როცა თითქოს სასწაულებრივად საბოლოოდ დავიხსენით თავი უაზრო და სასტიკი საბჭოთა რეჟიმიდან და რუსის 200-წლიანი მახრჩობელა ხელიდან. ვერც კი ვიფიქრებდით, რომ დემოკრატიისა და პიროვნული თავისუფლების ამ სანატრელ ეპოქაში, ამდენი სისხლი უნდა ეღვარა ქართველს. აფხაზს და ქართველს რა ჰქონდათ გასაყოფი, ვიღაცის ავი ზრახვა და ხელი რომ არ ჩარეულიყო მათ სიყვარულში. ან ოსის და ქართველის შეტაკებას რა უნდოდა ჩვენს კარზე! რუსებს და ქართველებსაც არ უნდა ეღვარათ ერთმანეთის სისხლი, გონებას რომ ემარჯვა და ორივესთვის ბრძნული განსჯის უნარი მიეცა და ჭეშმარიტების სიდიადის განცდა. ახლა საქართველოს საერთაშორისო ინტერესებმა იჩინა თავი და ესეც უსაშველო აღმოჩნდა ჩვენთვის. მათ დაცვასაც ჩვენი სისხლი დასჭირდა. არადა, რომ არ დაიცვა ეს საქვეყნოდ აღიარებული ერთა შორის თანამშრმლობის წესები, ამოგდებული ხარ ერთა საძმოდან. აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო თამაშის ამ წესებს ვერსად გავექცევით, და თუ გავექცევით, შეიძლება, უფრო მეტი დავკარგოთ, ვიდრე წარმოგვიდგენია. ეს ყველაფერი კი, იმით გვირგვინდება, რომ საქართველომ უნდა განაგრძოს თავისი ჯანღონით სავსე ვაჟკაცების ფრონტზე გაგზავნა. ეს ის კაცები არიან, რომლებიც ერს უნდა ამრავლებდნენ და ქვეყნის დოვლათს ქმნიდნენ. მდგომარეობა თითქოს გამოუვალია. სანამდე შეიძლება ეს უბედური საქართველო ორ ცეცხლს შუა იწვოდეს? თუმცა ასე იყო ყოველთვის და ახლაც ასე იქნება! მაშ, მოდი, შევწყვიტოთ კვნესა-გოდება და შევეგუოთ იმას, რაც გარდაუვალია. ჩვენი ბიჭები კვლავ წავლენ საომრად, წავლენ ქვეყნისა და საერთაშორისო ინტერესების დასაცავად, წავლენ და თავსაც გასწირავენ, რადგან ასეთია თანამედროვე სამყარო, რომელშიც ცხოვრობენ და იბრძვიან. დედები ისევ განაგრძობენ ტირილს, ცოლები ისევ დაქვრივდებიან, ბავშვები დაობლდებიან და უმამოდ დაზრდილნი, ვინ იცის, რამდენს დაჰკარგავენ ან როგორები გაიზრდებიან. საერთაშორისო მისიებში გამწესებული ჩვენი ბიჭები კი, ისევ და ისევ, გმირულად დაძლევენ სიკვდილის შიშს. მათი თავგანწირვის და ერთგული სამხედრო სამსახურის ამბები ისევ მოვა ჩვენამდე – ჩვენდა დარდად და სამგლოვიაროდ. იმ ბიჭებს შორის მართლა იქნებიან ისეთები, ვისაც შიშს მიღმა ცხოვრება წესად აქვთ ქცეული; ზოგი შეიძლება შედრკეს კიდევაც თვალითხილული სიკვდილის წინაშე და ჩვენ, მგლოვიარედ მოცქირალნი, ვერასოდეს გავიგებით გმირი დაგგეღუპა თუ კიდევ ერთი ჩვეულებრივი მავანი. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია, ვიცოდეთ და გვჯეროდეს, რომ სამშობლო მართალია, როცა შვილებს სასაკლაოზე უშვებს. უეჭველად უნდა ვიცოდეთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ თუ რას ეწირება დღეს ქართული სისხლი. კაცის სათვალავი ჩვენთვის ქართველებისთვის უაღრესად ფაქიზი რამ იყო ყოველთვის. განა, ასეთივე ფაქიზი არ არის დღესაც?!

მეოთხე

კაპრალი

ვალიკო ბერაია

17.06.1987 - 21.02.2012

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

2008 წლის აგვისტოს ომი, შინდისი. მომაკვდავი რომან ზოიძე, ნათლიას, ალექსანდრე ონიანს ხელში აყვანილი გამოჰყავს და მტრის ალყაში მოქცეული, მიწაზე იჩოქებს. რუსი აგრესორების მოახლოებისთანავე, ფეხებში მოქცეული ხელყუმბარა მოქმედებაში მოჰყავს. აფეთქების ხმა... ონიანის გმირულმა საქციელმა მაშინ მტერს დიდი დანაკლისი მოუტანა... 2012 წლის 21 თებერვალი. ავღანეთი, ჰელმანდის პროვინცია. ვალიკო ბერაია ნათლიასთან, პაატა კაჭარავასთან და კიდევ ორ ქართველ ჯარისკაცთან ერთად, პატრულირებაზე გადის. ქართველების ბაზამდე 300 მეტრის დაშორებით, მათი სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორი, თალიბების მიერ ჩადებულ ნაღმზე ფეთქდება... ოთხკაციანი ეკიპაჟიდან მხოლოდ მძღოლი გადარჩა... ნათლია-ნათლულის ტრაგიკული, მაგრამ გმირული ისტორია, აგვისტოს ომიდან ოთხი წლის შემდეგ, საქართველოდან ძალიან შორს, ჰელმანდის პროვინციაში განმეორდა...

1987 წლის 17 ივნისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხეთაში ბერაიების ოჯახში მეორე ვაჟი გაჩნდა. ვალიკო დაარქვეს. მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 24 წლის შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა ვალიკოს, უცხო ქვეყნიდან მშობლიურ მიწას, გმირის სახელით მიაბარებდნენ.

დიანა ბერაია, ვალიკოს და: „ჩვენი უფროსი ძმა, გიზო, პატარა იყო ბებიაჩემმა რომ აფხაზეთში წაიყვანა. იქ გაიზარდა და დღემდე იქ ცხოვრობს. მე და ვალიკო მშობლებთან ვიზრდებოდით. ჩემზე სამი წლით უფროსი იყო. ძალიან მზრუნველი, მხიარული, ენერგიული და მშრომელი ბავშვი გახლდათ. განსაკუთრებით უყვარდა ფეხბურთი. სკოლიდან რომ ბრუნდებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა, როგორი ამინდი იყო, გაკვეთილების მომზადების შემდეგ, სტადიონზე გარბოდა. მეხუთე კლასამდე კარგად სწავლობდა, მაგრამ მერე, როგორც ბიჭების უმეტესობა, ცოტა გაზარმაცდა. განსაკუთრებით უყვარდა მათემატიკა. მასწავლებელი ამბობდა, ადვილად ხსნის ყველა ამოცანასო. ვალიკო – მერვე, მე კი მეხუთე კლასში ვიყავი, მამა რომ დაგვეღუპა. დედას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა... მეცხრე კლასიდან გამოვიდა და მუშაობა დაიწყო, ოჯახს ის არჩენდა. როდესაც სამხედრო სავალდებულო სამსახურმა მოუწია, იმ წელსვე წავიდა ჯარში. ერთი წელი ქუთაისში იმსახურა. რომ გითხრათ, ბავშვობიდან ოცნებობდა, სამხედრო გამოსულიყო-მეთქი, მოგატყუებთ. იმის გამო, რომ ცხრა კლასის განათლება ჰქონდა მიღებული და მთელი ოჯახი მასზე ვიყავით დამოკიდებული, სავალდებულოს მოხდის შემდეგ, ჯარში ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონში მსახურობდა. თავიდან ვფიქრობდით, რომ ჯარისკაცული ცხოვრება გაუჭირდებოდა, მაგრამ მალე შეეგუა და ძალიან შეუყვარდა თავისი სამსახური. იქ ძალიან ბევრი მეგობარი გაიჩინა...

ძირითადად გასული იყო და შაბათ-კვირას მოდიოდა სახლში. ძალიან ყურადღებიანი იყო. ხანდახან დღეში ხუთჯერ რეკავდა, აბა, როგორ ხართ, რამე ხომ არ გიჭირთო. ყველა წვრილმანი აინტერესებდა. ხშირად მიჰყავდათ წვრთნებზე მთაში და მაშინ ისე ხშირად ვერ ახერხებდა დარეკვას. როდესაც ამის საშუალება მიეცემოდა, გვირეკავდა და საათობით გველაპარაკებოდა. სულ გვენატრებოდა და ვენატრებოდით. მეც და დედაც სულ გზას გავყურებდით, მის ლოდინში ვიყავით. დღესაც ის განცდა გვაქვს ორივეს, გვგონია, რომ წასულია და უნდა მოვიდეს... ძალიან მზრუნველი და მეოჯახე ბიჭი იყო. მიჭირს მასზე წარსულში ლაპარაკი...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ...

კარგად მახსოვს, პირველი ხელფასი რომ აიღო და სახლში შემოვიდა, სულ სხვანაირი, უფრო გაზრდილი და დავაჟკაცებული მეჩვენა. ხელფასი მთლიანად ოჯახს მოახმარა. საოჯახო ნივთები შეიძინა და გვითხრა, დღეიდან არაფერს მოგაკლებთო... მართლაც არაფერი მოგვკლებია. ობლობაში გაზრდილებს, ბევრი რამ გვაკლდა. რაც ბავშვობაში დაგვაკლდა, ყველაფერს ავინაზღაურებთო, მეუბნებოდა...“

2007 წელს, სამშვიდობო მისიით ერაყში იმყოფებოდა. მისი გმირული ისტორია კი 2008 წლის აგვისტოს ომში იწყება. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ცხინვალში შეიჭრა და მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ვალიკო ბერაიას შემდეგი გმირობა ავღანეთს უკავშირდება. 2010 წელს „ISAF“-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში, ავღანეთში პირველად ჩასულმა 22 წლის ახალგაზრდამ, რამდენიმე თანამემამულე სიკვდილისგან იხსნა.

„ერაყში რომ წავიდა, ძალიან ვნერვიულობდით. მაინც ცხელ წერტილში იმყოფებოდა და გვეშინოდა. რომ რეკავდა, ისე გვამშვიდებდა, აქ არაფერი ხდება საშიშიო, რომ იმედიანად ვიყავით. ამბობდა, ქუჩაშიც გავდივართ და ხალხსაც ველაპარაკებითო. იმდენად უყვარდა თავისი სამსახური, რომ თვითონ არანაირი შიში არ ჰქონდა. ერაყიდან დაბრუნებულს, არაფერი უთქვამს, რას აკეთებდა და საერთოდ, იქ რა ხდებოდა. სამსახურზე ერთ სიტყვას ვერ წამოაცდენინებდით. 2010 წელს პირველად წავიდა ავღანეთში. როგორც მისმა ძმაკაცებმა გვითხრეს, ვალიკომ რამდენიმე ქართველი ჯარისკაცი სიკვდილს გადაგვარჩინა. ჩემი ძმა მსროლელი იყო. ერთ ღამეს, როდესაც ქართველი ჯარისკაცები პატრულირებაზე გასულან, ვალიკოს შორიდან დაუნახავს, ასაფეთქებელი მოწყობილობით შეიარაღებული რამდენიმე თალიბი ტერორისტი, რომლებიც ჩვენი ჯარისკაცებისკენ მიიწევდნენ. მას არ ჰქონდა მოწინააღმდეგისთვის სროლის უფლება, სანამ ზემდგომების ბრძანებას არ მიიღებდა. არადა ხედავდა, როგორ უახლოვდებოდნენ ტერორისტები ქართველ ჯარისკაცებს... ჩემს ძმას ინფორმაცია მაშინვე გადაუცია რაციით, თუმცა ისე ცუდად ისმოდა ხმა, რომ ვერაფერი გააგებინა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მას თვითონ მიუღია სროლის გადაწყვეტილება და ტერორისტები გაუნადგურებია. იმ ღამეს ვალიკოსთვის შენიშვნა მიუციათ, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ყველაფერი გაირკვა, ჩემს ძმას ამერიკული მხარისგან

სიგელი და მადლობის წერილი გადასცეს. ვალიკოს ის ტერორისტები გაუნადგურებია, რომლებსაც ამერიკული სპეცრაზმი, რამდენიმე კვირის განმავლობაში ეძებდა.

ვალიკო ბერაიას ზაფხულში ქორწილი უნდა გადაეხადა. მათ ოჯახში, ლხინის სუფრის ნაცვლად, უდროოდ, სამგლოვიარო სუფრა გაიშალა. მისი გაბედნიერების სადღეგრძელო შესანდობარმა შეცვალა...

„პირველად რომ წავიდა ავღანეთში, მაშინ ამბობდა, რომ ჩამოვალ, ცოლი უნდა მოვიყვანოო... ერთ გოგონას ხვდებოდა. ოჯახის წევრებსაც გაგვაცნო. ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ... სიგიჟემდე იყო შეყვარებული იმ გოგოზე. სულ მის სახელს ახსენებდა... რაღაც პერიოდის შემდეგ, კარგად მახსოვს, მაშინ ქუთაისში ვიყავი, ვაკომ დამირეკა. ძალიან სევდიანი და სხვანაირი ხმა ჰქონდა... ჩემი ძმის ასეთი დამწუხრებული ხმა არასოდეს გამიგია. რამე ხომ არ გიჭირს-მეთქი, ვკითხე... რამდენიმე წამი ხმას არ იღებდა. ბოლოს ჩურჩულით მითხრა, ჩემი შეყვარებული გათხოვილაო... არ ვიცოდი, რა მეთქვა და რით მენუგეშებინა... არ ინერვიულო, ვაკო, ის გოგო შენი ღირსი არ ყოფილა-მეთქი... როგორც ვიცი, ავღანეთიდან ჩამოსვლის შემდეგ იმ გოგონას კიდევ ურეკავდა... ისე იყო შეყვარებული მასზე, რომ ვერ ელეოდა... დაახლოებით ერთი წლის შემდეგ თითქოს დაივიწყა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც სახლს ვალაგებდი და სასტუმრო ოთახის მაგიდიდან სუფრა ავიღე, მის ქვეშ წერილი ვიპოვე... ძალიან დავსევდიანდი. თავის ცხოვრებაზე სწერდა იმ გოგოს... ერთ დღეს ვუთხარი, შენი წერილი წავიკითხე-მეთქი... არ დამაცადა ლაპარაკი, ახლავე დამიბრუნეო. მერე მასაც დაავიწყდა გამორთმევა და მეც აღარ მივეცი... იმ გოგონას სწერდა: „ჩემი ცხოვრების ერთადერთი სიყვარული ხარ. შეიძლება კიდევ შემიყვარდეს ვინმე, მაგრამ შენსავით არავინ... ასე რატომ გამწირე, ხომ იცოდი, რომ შენთვის ყველაფერს გავაკეთებდიო...“ სანამ ვაკო ავღანეთში წავიდოდა, იმ გოგოს დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყო. ქუთაისში მსახურობდა, ჯარიდან სპეციალურად იმ დღეს გაეთავისუფლა, სახლში რაღაც პრობლემები მაქვსო... უკვე გვიანი იყო, სახლში რომ მოვიდა. საჩუქარი ვერსად ეყიდა. პირველი ხელფასი, რომ აიღო, მაშინ ძალიან დიდი ფუმფულა სათამაშო დათუნია მიყიდა და მთხოვა, ამ სათამაშოს წავიღებ და ხვალ ზუსტად ასეთივეს გიყიდიო. მეც ძალიან მიყვარდა ის დათუნია, მაგრამ ერთი წამით არ გამივლია გულში, რატომ მიაქვს-მეთქი. სანამ იმ გოგოს სოფელში მიაკითხა, უკვე გვიანი ღამე იყო. საერთოდ არ ელოდებოდა მის მისვლას და ძალიან გახარებია. რატომ გათხოვდა ის გოგო, დღემდე არ ვიცით... ბოლოს, სანამ ავღანეთში წავიდოდა, სხვა გოგო მო-

სწონდა. სამწუხაროდ, მას პირადად არ ვიცნობდი. ვაკო რომ გაფრინდა, ის გოგოც მირეკავდა... ჩემი ძმა რომ დაბრუნდებოდა, ცოლად უნდა მოეყვანა, ზაფხულში ქორწილისთვის ვემზადებოდით...“

გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე, რამდენიმე მეგობარმა, მათ შორის ჯარის მეგობარმა პაატა კაჭარავამ, ვალიკო მონათლა.

„თურმე თავის მეგობრებთან ამბობდა, ისე არ წავალ ავღანეთში, რომ არ მოვინათლოო. ერთ დღეს ჯარიდან დაეთხოვა და იმ საღამოს მონათლულა. სულ სამი ნათლია ჰყავდა, მათ შორის ჯარის უახლოესი მეგობარი პაატა კაჭარავა. ისინი ერთად დაიღუპნენ... ვალიკო პაატას ძმამ, მამა მაქსიმემ მონათლა და ერთ თვეში ავღანეთში წავიდნენ. ჩემი ძმა ამ ქვეყნიდან მართლმადიდებელი გმირის სახელით წავიდა...

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, 13 თებერვალს ველაპარაკე. ორსულად ვიყავი და ყოველდღე ველოდებოდი პატარას დაბადებას. ვალიკო ძალიან მხიარული იყო, რამე თუ აწუხებდა, ვერ გაიგებდით. იმ დღესაც ძალიან მხიარულად მელაპარაკა. იცოდა, ბიჭს რომ ველოდებოდით და მკითხა, „გლადიატორი“ ჯერ ისევ არ დაბადებულაო? მომავალ დისშვილს „გლადიატორს“ ეძახდა. აბა, შენ იცი, გამაგრდი, შენზე ვნერვიულობ და დღე და ღამე შენზე ვლოცულობო. მითხრა, თუ რამე დაგჭირდეს, ბანკიდან ფული გამოიტანეთ, მე ყველაფერს გავაკეთებო. ვალიკო ჩემთვის ყველაფერი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩავაბარე. ჩემი სწავლის გადასახადს ის იხდიდა. სულ იმას მეუბნებოდა, იმ დღეს მომასწრო, შენ რომ ექიმი გახდები, მერე აღარაფერი მეტკინებაო...

16 თებერვალს ვიმშობიარე. ვურეკავდი, მაგრამ ვერაფრით დავუკავშირდი. მერე „ესემესი“ მივწერე, საბა დაიბადა, ბიძა გახდი-მეთქი... საბა ხუთი დღის იყო, ჩემი ძმა რომ დაიღუპა. როგორც ვიცი, „ესემესები“ წაუკითხავს, მისმა მეგობრებმა მითხრეს, ისე უხაროდა, „სალტოებს“ აკეთებდაო...

ავღანეთში ოთხი თვის წასული იყო... მაისში უკან უნდა დაბრუნებულიყო. როგორც გვითხრეს, ქართველების ბაზიდან ერთი მანქანა გასულა პატრულირებაზე. იმ დღეს ჩემს ძმას არ ევალებოდა ნაწილიდან გასვლა, მაგრამ ის მანქანა, რომელიც პატრულირებაზე იყო გასული, გაფუჭებულა და ბოლომდე ვერ გაიარა თავისი გზა. მათ გამოიძახეს დასახმარებლად მეორე ეკიპაჟი. ვალიკო და მისი სამი მეგობარი გასულან. ბაზამდე 300 მეტრი იყო დარჩენილი, რომ დანაღმულ ტერიტორიაზე აფეთქდნენ... როგორც მითხრეს, ვალიკო ზემოდან იჯდა ჯავშანტრანსპორტზე. აფეთქების დროს, ძალიან დიდ მანძილზე გაუსვრია წნევას. მაშინვე დაღუპულა... ვალიკოსთან ერთად, პაატა კაჭარავა და რუსლან მელაძე დაიღუპნენ... როგორც ვიცი, მძღოლს ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს და დიდხანს მკურნალობდა. სამწუხაროდ, ის ადამიანი არ გვინახავს და ვერ გამოვკითხეთ, როგორი იყო ვალიკო გარდაცვალებამდე...

მისი გარდაცვალების ამბავი იმ დღესვე გავიგეთ. კარგად მახსოვს, სახლში სტუმრები იყვნენ, ბავშვის სანახავად მოსულები. საღამოს ჩემს ტელეფონზე მეზობელმა დარეკა, მეუღლე მალაპარაკეო... ძალიან გამიკვირდა, ის მეზობელი ჩემს მეუღლეს არ იცნობდა. მივაწოდე ტელეფონი სოსოს... უცებ ისეთი კანკალი აუვარდა, რომ მივხვდი, ძალიან ცუდი ამბავი იყო ჩვენს თავს. ჩვენს სახლში სამხედროები მისულან და რომ არავინ დავხვდით, მეზობლებისთვის უთქვამთ ვალიკოს ამბავი... 25 თებერვალს ჩამოასვენეს, მამაჩემის გვერდით დავკრძალეთ...“

მეოთხე

კაპრალი

პაატა კაჭარავა

29.07.1975 - 21.02.2012

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს, საბრძოლო ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

ნათლია-ნათლულის ისტორია გრძელდება... ვალიკო ბერაია, ავღანეთში წასვლამდე, პაატა კაჭარავამ მონათლა. მომავალმა ნათლიამ ჯარის მეგობარი, თავის ძმასთან, მამა მაქსიმესთან მიიყვანა ტაძარში და გმირულად გარდაცვალებამდე, ერთი თვით ადრე გააქრისტიანა...

პაატა კაჭარავა ჯარისკაცულ ცხოვრებას ჯერ კიდევ პატარა ასაკში ეზიარა. 16 წლის უკვე აფხაზეთში იბრძოდა. სამშობლოსადმი განსაკუთრებულმა სიყვარულმა, მთელი ცხოვრება ქვეყნის დარაჯად აქცია...

ნუგზარ კაჭარავასა და ლიანა სიგუას ორი ვაჟი ჰყავდათ. გაჭირვებაში გაზრდილი ძმების ცხოვრება, რადიკალურად განსხვავებული გზებით წარიმართა. უფროსმა შვილმა სამხედრო, უმცროსმა კი სასულიერო ცხოვრება არჩია.

კაპელანი, მამა მაქსიმე, პაატა კაჭარავას ძმა: „აბაშის რაიონის სოფელი ნაისაკოვოში დავიბადეთ. პაატა ჩემი მშობლების პირველი შვილი იყო. ძალიან ნიჭიერ და მონდომებულ ბავშვად

ახასიათებდნენ. პატარაობიდანვე სპორტს მისდევდა, ტაიკვანდოში ვარჯიშობდა. ჯერ კიდევ ბავშვობიდან, დიდი ინტერესი ჰქონდა ისტორიის მიმართ. ის მეომრული სული, რომელიც ყველა მამაკაცსა და ყველა ქრისტიანს უნდა ჰქონდეს, ჩემს ძმაში იყო... ზედმეტი ლაპარაკი არ უყვარდა. სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ მეცხრე კლასიდან გამოვიდა და აბაშის ტექნიკუმში ჩააბარა. სადაც მას სწავლის გაგრძელება უნდოდა, მაშინ იმის პირობები არ გვქონდა. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, სავალდებულოში გაიწვიეს. თბილისში, სამთავრობო დაცვაში მსახურობდა. ჯარის დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წელი ოჯახში იყო და მეურნეობას მისდევდა.

როდესაც კომანდო შეიქმნა, მისი სურვილით და ჩემი თანხმობით, სამხედრო პირობა გადაწყვიტა და ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. თავის დროზე, მეც მისი ნებართვით მოვინდომე სასულიერო პირი გავმხდარიყავი. ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, პატივს ვცემდით ერთმანეთის აზრს.

მე 1999 წელს გავხდი სასულიერო პირი. მაშინ პაატა 23-ის, მე 22 წლის ვიყავი. ის უკვე კონტრაქტზე იყო. ჩვენი გადაწყვეტილება ოჯახმა დადებითად მიიღო. მამაჩემი ყოველთვის ამბობდა, ერთი შვილი მგელი მყავს და მეორე ვეფხვიო. ჩემს ძმას მგელს ეძახდა... პაატას ზედმეტსახელად „მარტოხელა მგელს“ ეძახდნენ... მას შემდეგ, რაც ჯარისკაცი გახდა, ძალიან შეიცვალა. უფრო მობილიზებული და წინდახედული იყო... ჩვენ დალხენილი ბავშვობა არ გვქონია, გლეხის ოჯახში ვიზრდებოდით, რომ წამოიზარდა, თითქოს ყველაფრის მოსწრება უნდოდა... არაფრის შიში არ ჰქონდა, პირიქით, ძალიან მამაცი და სამშობლოს მოყვარული ადამიანი იყო... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პაატა სულით და ხორცით ჯარისკაცი იყო. ბოლომდე შეისისხლხორცა სამხედრო მოვალეობა და მან ეს თავისი ვაჟკაცური სიკვდილითაც დაამტკიცა“...

მარიამ გიგაშვილი, პაატას რძალი: „მე და პაატას ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ძალიან განათლებული ადამიანი იყო. რაც მაინტერესებდა, ნებისმიერ თემაზე შემეძლო მასთან მესაუბრა. ყოველთვის კარგ რჩევებს მაძლევდა...

ისტორიული წიგნების ფარულად წაკითხვა უყვარდა. არ ანახვებდა სხვას, თუ როგორი განსწავლული და ნიჭიერი იყო. რვეულები ჰქონდა, სადაც წიგნიდან აკონსპექტებდა და ყოველთვის თან დაჰქონდა... ძალიან უყვარდა სამხედრო წიგნების კითხვა... ავღანეთში რომ მიდიოდა, მთხოვა, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ გამატანეო... ვუთხარი, იქ სად გეცლება ამის წასაკითხად-მეთქი... ალბათ, ეგონა, რომ წიგნის გატანება დამენანა და სხვა წიგნი აუღია ჩუმად. მისი გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ავღანეთიდან მისი ნივთები ჩამოვიდა, იქ ვნახე ჩემი წიგნი, „ქართული მწერლობის“ IX ტომი, მასზე მხოლოდ და მხოლოდ დადებითი მახსენდება ყველაფერი. ის ნამდვილი ჯარისკაცი იყო. ძალიან დაგვაკლდა“...

მის სამომავლო გეგმებში ოჯახის შექმნა შედიოდა, თუმცა ამაზე ხმამაღლა არასდროს საუბრობდა.

კაპელანი, მამა მაქსიმე, პაატა კაჭარავას ძმა: „ძალიან უნდოდა, რომ ოჯახი შეექმნა. კარგ ადამიანს ეძებდა, ვისთანაც ბედნიერ ოჯახს შექმნიდა. ამ თემაზე ჩვენ არ ვსაუბრობდით ხოლმე. უფრო სწორად თვითონ არ გამოხატავდა სურვილს, რომ გვესაუბრა. განსაკუთრებით უყვარდა ბავშვები. მე ოთხი შვილი, სამი გოგონა და ერთი ვაჟი მყავს. ბავშვებთან ურთიერთობამ ხასიათი უფრო შეუცვალა. ძირითადად სამსახურში იყო და როდესაც თავისუფალი დრო ჰქონდა, მაშინვე ჩემთან, რუსთავში მოდიოდა. მამა 11 წლის წინ დაგვეღუპა და დედაც ჩემთან ცხოვრობს. პაატა პარასკევს ჩამოდიოდა, შაბათ-კვირას ჩვენთან იყო და მერე მიდიოდა. ბოლო ხანებში კიდევ უფრო სხვანაირი გახდა, სულ უნდოდა, რომ მეტი დრო გაეტარებინა ბავშვებთან. ჩემი უფროსი გოგონა 13 წლის არის და ბოლო პერიოდში ბევრ რჩევა დარიგებებს აძლევდა...

საოცარი ის არის, რომ ჩემი ძმა, სამხედრო სამსახურის შემდეგ უფრო ღვთის მოშიში გახდა. მისი სულიერი მოძღვარი მე ვიყავი, რამდენჯერმე აღ-

სარებაც ჩამაბარა... რუსთავში, მაქსიმე აღმსარებლის მშენებარე ტაძრის წინამძღვარი ვარ, ძალიან მეხმარებოდა. ფიზიკურადაც იღებდა ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობას და ფინანსურადაც დამხმარებია...

ავღანეთში ოქტომბერში წავიდა. ხშირად რეკავდა. ჩვენ მაინც ვცდილობდით, რომ ხშირად არ დაგვერეკა, ცხელ წერტილში იყო და ვფრთხილობდით... იქიდან აპრილში უნდა ჩამოსულიყო... ბოლოს, გარდაცვალებამდე სამი კვირით ადრე ველაპარაკე, როგორც ყოველთვის მაშინაც ძალიან თბილად მოგვიკითხა ყველა. ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად არის და არ ინერვიულოთო...

მასთან ერთად დაიღუპა მისი ნათლული ვალიკო ბერაია. სანამ ავღანეთში წავიდოდნენ, პაატას უთქვამს, ამხელა კაცი ხარ და ავღანეთში მოსანათალი როგორ მიდიხარო. მე ვიქნები შენი ნათლია, ახლავე უნდა მოინათლოო. ვალიკოსაც გამოუთქვამს მონათვლის სურვილი და ჩემთან ტაძარში მოიყვანა. ნათლია-ნათლულმა ერთმანეთი ჯარში გაიცნეს“...

მამა მაქსიმეს, ძმის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, წინათგრძნობა ჰქონდა...

„სანამ გარდაიცვლებოდა წინათგრძნობა მქონდა... წირვაზე ყოველთვის ვიხსენიებდი ხოლმე ჩემს ძმას და მასთან ერთად ავღანეთში წასულ ბიჭებს. წასვლამდე, პაატამ იმ ბიჭების სია დამიტოვა, ვინც ავღანეთში აპირებდა წასვლას. კვირა დღეს, როდესაც წირვაზე ბიჭებს ვიხსენიებდი. პაატას სახელი რომ ვახსენე, გონებაში გავიფიქრე, ესენი ხომ ცოცხლები არიან-მეთქი... შევკრთი, არა, მათ არაფერი მოუვათ-მეთქი დავიმშვიდე თავი, მაგრამ მთელს ტანში სიცივემ დამიარა... ორი დღის შემდეგ კი გავიგე, რომ ჩემი ძმა აღარ იყო ცოცხალი... მამა იაკობი შემხვდა ქალაქში, მის გვერდით სამხედროებიც რომ დავინახე, მივხვდი რაშიც იყო საქმე... ბიჭებო პირდაპირ მითხარით, ცოცხალია თუ მკვდარი-მეთქი... პაატა დაიღუპაო... არ დავბნეულვარ, იქით ვანუგეშე სამხედროები, ნუ გეშინიათ, აწი იმ ბიჭებზე ვილოცოთ, ვინც ისევ ავღანეთში არიან და სამშობლოს ინტერესებს იცავენ-მეთქი... არ გავამჟღავნე ის ტკივილი, რასაც იმ წუთებში ვგრძნობდი... ყვირილი, ტირილი მინდოდა, მაგრამ... სახლში, რომ მივედი მარტო ჩემს მეუღლეს ვუთხარი... დედას ინსულტი აქვს გადატანილი და იმ დღეს არაფერი მითქვამს. მოტყუებით წავიყვანეთ სოფელში. იქ რომ ჩავიყვანეთ, წამალი დავალევინეთ ისევ, რომ არ გამეორებოდა ინსულტი. გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში ჩამოასვენეს...

ძალიან დიდი გვერდში დგომა ვიგრძენით თავდაცვის სამინისტროდან. სენაკის მეცხრე და ქუთაისის ბატალიონი დაკრძალვამდე გვერდით გვედგნენ. ყველაფერში ისინი დაგვეხმარნენ, ჩვენ არაფრის საშუალება არ გვქონდა...

ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ძმა მყავდა. მისი სიკვდილის შემდეგ, მე სამხედრო კაპელანი, სამხედრო მოძღვარი გავხდი“...

ზაალ უდუმაშვილი

ყველა, ვინც ამ მისიაში მონაწილეობს, უკვე გმირია

2013 წელი... საქართველოს ისტორიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენით შევა. ქვეყანა ახალ პრეზიდენტს ირჩევს, საქართველო ისევ პოლიტიკურ ბატალიებშია, საზოგადოება ისევ პოლარიზებულია, მაგრამ ეს ყველაფერი გარდამავალია და ხალხიც ადვილად ივიწყებს, თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს. განსხვავებით იმ ტრაგედიისგან, რომელიც 2013 წლის გაზაფხულზე მოხდა. ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფურცელი უახლეს ისტორიაში. ორკვირიანი ინტერვალით, ავღანეთიდან შემზარავი ცნობები მოვიდა. ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური თავდასხმა ქართველ სამხედროებზე და დაღუპული ბიჭები.

ჟურნალისტებს ერთი პრივილეგია გვაქვს - სხვებზე ადრე ვიგებთ ინფორმაციას, თუმცა ზოგჯერ ეს ინფორმაცია იმდენად მძიმეა, რომ არანაირი სურვილი არ გიჩნდება შენ იყო ის ერთ-ერთი პირველი ადამიანი, რომელიც საზოგადოებას ამ ყველაფერს მოუყვება. ზუსტად მახსოვს, რომ 7 ქართველი ბიჭის დაღუპვის ამბავი საინფორმაციო გამოშვების დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე შევიტყვეთ. თითქმის უკვე ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ მაინც ველოდებოდით თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას, მხოლოდ ერთი სურვილით - იქნებ რამე დაზუსტდეს, იქნებ მსხვერპლი ნაკლებია...

შემდეგ იყო ბიჭების ცხედრების ჩამოსვენება და სამოქალაქო პანაშვიდები. პარალელურად კი დაიწყო დისკუსია საზოგადოებაში, უფრო დაზუსტებით კი, პოლიტიკურ საზოგადოებაში. შევამციროთ კონტინგენტი ან საერთოდ გამოვიყვანოთ ავღანეთიდან - ითხოვდა ერთი ნაწილი. იყვნენ ისეთები, რომლებიც სვამდნენ კითხვას - რა უნდათ ქართველებს ავღანეთში, ვის მიწას იცავენ? ყველაზე უცნაური ის არის, რომ ამ აზრს გამოთქვამდნენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც თავის დროზე ხელისუფლებაში, ნატოში გაწევრიანების იდეას ამოფარებულები მოვიდნენ, თუმცა პოლიტიკაში ხომ ყველაფერი დროებითია, მათ შორის იდეალებიც და პრინციპებიც. განსხვავებით იმ ბიჭებისგან, რომლებისთვისაც მთავარი იდეაც და პრინციპიც ერთი სიტვით იზომებოდა - სამშობლო. მათი ცხოვრებაც ერთი სიტვით იზომება - გმირები. გმირები, იმიტომ, რომ საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაშორებულები, უცხო ქვეყნის ერთ-ერთ პროვინციაში სწორედ სამშობლოს იცავდნენ. ზუსტად ისე, როგორც 2008 წლის აგვისტოში იცავდა ქართული არმია ქვეყანას რუსული აგრესიისგან. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ რუსული არმია, რომელიც თბილისისკენ მოემართებოდა ევროპისა და შეერთებული შტატების ლიდერებმა შეაჩერეს. რატომ დადგა ფეხზე დასავლეთი? არა საქართველოს მოსახლეობის ან ქვეყნის ხელისუფლების გამო. იმიტომ რომ პარტნიორი ქვეყნის მიმართ ვალდებულნი იყვნენ. მათ თავიანთი მოკავშირე დაიცვეს. ის მოკავშირე, რომელმაც ავღანეთში ნატოს მისიაში ყველაზე მეტი სამხედრო გაგზავნა, როგორც არაწევრმა სახელმწიფომ და ქვეყნის ყველაზე ცხელი წერტილები ჩაიბარა. სწორედ ავღანეთში მებრძოლმა ქართველებმა და საქართველოში მებრძოლმა ჯარისკაცებმა ერთად დაიცვეს სამშობლო. ამიტომ ყველა, ვინც ამ მისიაში მონაწილეობს, უკვე გმირია, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა თითოეულმა მათგანმა სახელმწიფოსგან ეს ჯილდო. ქართველები ძირითადად ჩვენი ისტორიით ვამაყობთ. აწმყოთი ნაკლებად. თუმცა, როდესაც იცი, რომ 1 500 ახალგაზრდა სამშობლოს დასაცავად უცხო ქვეყანაში ურთულეს მისიას ასრულებს, უკვე ამაყი ხარ. ამაყი ხარ, რომ ამდენი გმირი გყავს.

მეოთხე

პოლკოვნიკი

რამაზ გოგიაშვილი

15.01.1967 - 30.09.2010



მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ოფიცერი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს, სამხედრო დავალების შესრულების დროს, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

კასპის რაიონში მისი სახელი და გვარი ყველამ ზეპირად იცის. ამიტომაც, როდესაც წიგნის „გმირი“ მესამე ნაწილზე მუშაობა დავიწყეთ, კასპში პოლკოვნიკ რამაზ გოგიაშვილის ოჯახის პოვნა არ გაგვჭირვებია. ოჯახი, დღემდე მასზე მოგონებებით ცხოვრობს. მეუღლე და ორი შვილი დარჩა ობლად, თუმცა შვილებს ყველაზე მთავარი - ღირსეული მამის და გმირის წოდება დაუტოვა სამახსოვროდ. პოლკოვნიკი რამაზ გოგიაშვილი 43 წლის იყო, როდესაც ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად გარდაიცვალა. 2010 წლის 30 სექტემბერს მისი სახელი სამუდამოდ ჩაიწერა ქართველი გმირების გვერდით, რომლებმაც, მის მსგავსად საკუთარი თავი ქვეყნის ინტერესების დასაცავად სამსხვერპლოზე გაიტანეს.

სამაჩაბლოს, აფხაზეთის და აგვისტოს ომგამოვლილს, როგორც ჩანს, სამშობლოს მიწაზე სიკვდილი არ ეწერა, თუმცა კარგად აცნობიერებდა იმ მისიის მნიშვნელობას, რომელმაც ავღანეთში წაიყვანა. არაერთი ჯილდოს მფლობელს, ჯარში დისციპლინის კონტროლი ევალებოდა, თუმცა, როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ხშირად ის მოწინავე პოზიციაზე იდგა და შვილისტოლ ბიჭებთან ერთად თავდადებით იბრძოდა. ეკლესიის მშენებლობაზე მუშაობდა თურმე, იქვე მოძღვარიც ჰყავდა, რომელსაც აღსარებებს აბარებდა და თავის ყველა ნაბიჯზე კურთხევას სთხოვდა. სპორტსმენი იყო, ფიზიკურად ძლიერი და მტერს ყოველთვის პირველი ხვდებოდა. ბევრი ისტორია აქვს მის მეუღლეს მოსაგონარი. ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს და მთელი ცხოვრების ერთად გატარებას გეგმავდნენ, რომ არა ავღანეთი...

ნინო გოგიაშვილი (მეუღლე):

- რამაზს ბავშვობიდან ვიცნობდი. შემდეგ ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით იურიდიულ ფაკულტეტზე. ჩვენი სიყვარულის ისტორია კი 1992 წელს დაიწყო, როცა ის სამძებროს უფროსად მუშაობდა. მალე-ვე დავქორწინდით.... რამაზი ძალიან ერთგული და მეგობრული იყო... ასე მგონია, რამაზისნაირი არავინ არის დედამიწაზე... ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მეუღლე ვარ, ყველა ასე თვლის. ყველას მიმართ ძალიან თბილი და ყურადღებიანი იყო. პროფესიის გამო კი შეიძლება ყველაფერი გადაედო და საქმისთვის დაეთმო მთელი დრო. 1991 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა... არც ერთი ბრძოლა არ გამოუტოვია. 90-დან 93-წლის ჩათვლით, ჯერ აფხაზეთის ომი მოიარა, მერე სამაჩაბლო, ყველა ომმა მის თავზე გადაიარა, თანაც ყოველთვის ცხელ წერტილში იბრძოდა, წინა ხაზზე... 2005 წლიდან უკვე თავდაცვის სამინისტროში დაიწყო მუშაობა. 5 წელი იყო იქ. 2008 წლის ომშიც იბრძოდა. მინისტრის ჯილდო და იარაღიც კი მიიღო საჩუქრად, თავგანწირვისთვის. ავღანეთში ეს მისი პირველი მისია იყო. მაგრამ მანამდე აფხაზეთის ომი, სამაჩაბლოს და 2008 წლის ომი გამოვლილი ჰქონდა, ყველა ომში აქვს მონაწილეობა მიღებული და დაჯილდოებულია სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ საომარ მოქმედებაში და დაჯილდოებული იყო საბრძოლო თავგანწირვის მედლით და 2008 წელს მინისტრის ჯილდო ჰქონდა, იქაც თავგანწირვისთვის.

სპორტსმენი იყო, მოჭიდავე და ამიტომ, ფიზიკურად ძალიან ძლიერი, არაფერს უშინდებოდა. ფიზიკურადაც და სულითაც ძლიერი ადამიანი იყო. ყველა სპორტსმენი გულადი და უშიშარია. რამაზიც ასეთი იყო. სამძებროს განყოფილების უფროსი იყო

და თუ კი რამე დანაშაული ხდებოდა, საქმის გახსნის მხრივ კასპის რაიონი, მისი მუშაობის დროს, პირველი იყო. შემდეგ პოლიციის უფროსადაც დაინიშნა, მაგრამ არასდროს შეუფერებია თანამდებობა და კაბინეტში არ მჯდარა. თუ რამე იყო გასაკეთებელი, ყოველთვის ყველას გვერდით იდგა. სხვადასხვა ჟურნალებში იყო მისი საქმეები გამოქვეყნებული... როცა მასზე ვსაუბრობ, არ მგონია, რომ ცოცხალი აღარ არის... ღმერთო, როგორ შეიძლება მისი სიკვდილი?!..

ყველას ძალიან უყვარდა, ავღანეთში გაგიჟებული იყვნენ ბიჭები, მამას ეძახდნენ. ჩვენი მფარველი იყოო - ამბობენ. საჭმელს ჯერ ჩვენ გვაჭმევდა, მერე თვითონ ჭამდაო. რამე ოპერაციაზე თუ იყვნენ გასასვლელები ჯერ თვითონ მიდიოდაო, მიუხედავად იმისა, რომ ეს მას არ ევალებოდა, ბაზიდან არ უნდა გასულიყო... პოლკოვნიკი იყო და ჯარში დისციპლინა უნდა ეკონტროლებინა. შვილის ტოლი ბიჭები ჰყავდა გვერდით. ძალიან ეკლესიური იყო... კარგად გალობდა... იქ მოძღვარიც ჰყავდა და აღსარებებსაც ეუბნებოდა თურმე. თვითონ გააკეთა იქ პატარა სამლოცველო. მისი მამაო რომ მელაპარაკებოდა, მითხრა, მე მსგავსი არც აღსარება მომისმენია და არც ასეთი ადამიანი მინახავს, გაოცებული ვარო. ახლაც ვერ ვიჯერებ, რომ გავიგე მისი ამბები, ჩემთვის შოკი იყოო. ჯარისკაცებთან მამა-შვილური ურთიერთობა ჰქონდა. ჯარისკაცები რომ ჩამოვიდნენ, მითხრეს, ქალბატონო ნინო თქვენ უნდა იამაყოთ, რომ ასეთი მეუღლე გყავდათო და ჩვენ, სანამ ცოცხლები ვართ, არ დაგვავიწყდებაო. 2008 წელს ომში, როცა მისი ნაწილი ისვენებდა მღეროდა თურმე. ბიჭები რომ ეკითხებოდნენ რა გემღერებოდაო, ეს პასუხობდა, თქვენ რომ გამემხნევებინეთ და გამემხიარულებინეთ იმიტომ ვმღეროდიო.

იუმორის გრძნობა ჰქონდა. სხვანაირი ადამიანი იყო, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი ქმარი იყო.... განსაკუთრებული მეუღლე და მამა იყო. 2 შვილი გვყავს, ქალ-ვაჟი. პროფესიიდან გამომდინარე, ძალიან მკაცრი, დისციპლინიანი და მომთხოვნი იყო, მაგრამ როგორც მამა, იმდენად თბილი და იმდენად დამთმობი აღმოჩნდა, რომ ყველას უკვირდა, როცა რამაზი რაღაცის გამო ბავშვებს ვერ ტუქსავდა, ამბობდნენ, ოჯახთან ურთიერთობისას სულ სხვანაირი ხდებაო.

რამაზის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენი ვაჟი თავდაცვის სამინისტროში მუშაობს. მამისგან აბსოლუტურად განსხვავდება. რამაზი რომ გარდაიცვალა, სტუდენტი იყო, მამა-შვილს დიდი გეგმები ჰქონდათ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ძალოვან სტრუქტურებში უნდა წაეყვანა, რამაზს ასე ჰქონდა გადაწყვეტილი...

თვითონაც სულით და ხორცით ძალოვანი იყო. ჯარში რომ წავიდა ინსტიტუტში სწავლობდა. ჯერ ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი დაამთავრა და შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტზე გააგძელა სწავლა, იმიტომ რომ, სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო და იურიდიული განათლებაც მიიღო.

- როცა ომში მიდიოდა ყოველთვის ძალიან მეშინოდა, ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აზრი არ ჰქონდა თქმას, მაინც წავიდოდა. იმდენი ვეხვეწე, ავღანეთში რომ მიდიოდა, მაგრამ... ეს იყო ჩემი ცხოვრების დასასრული... აქ, საქართველოში, ყველა ომიდან ცოცხალი დამიბრუნდა და იქ, ავღანეთში დავკარე... მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ აზრი არ ჰქონდა... მითხრა, თუ სიკვდილი მიწერია, შეიძლება ავტოავარიაშიც მოვკვდეო. კურდღელი არ ვარ, რომ დავიმალო, არ მეშინია. კაცი ბრძოლაში უნდა მოკვდესო. წინათგრძნობა ჰქონდა, ალბათ, ამდენს რომ მელაპარაკებოდა. იქიდანაც მირეკავდა, მაგრამ ძირითადად მესიჯებით გვქონდა ურთიერთობა, იმიტომ რომ ცუდად ისმოდა. თუ დავრეკავდი ბომბების და აფეთქებების ხმა ისმოდა და ძალიან მეშინოდა, ის კი მამშვიდებდა, ნუ გეშინია შენ თავს გაუფრთხილდი, მე არაფერი მიჭირს, ყველაფერი კარგად იქნება და ჩამოვალო. მიფრთხილდებოდა, რომ არ მენერვიულა... შემდეგ ბიჭებმა მითხრეს, გრძნობდა რომ უბედურება მოხდებოდაო... ამაზე ჩემთან არ უსაუბრია... ძალიან დიდი ადამიანი დავკარგე... ასეთი ადამიანები უკვალოდ არ უნდა ქრებოდნენ... უნდა დავაფასოთ. ერთხელაც არ დაწერილა გაზეთში რატომ და რისი გულისთვის დაიღუპა რამაზი. მე კი ვიცი, რომ მან ეს ყველაფერი სამშობლოს სიყვარულით გააკეთა, რადგან მას არც ეკონომიურად უჭირდა და არც წოდებები აკლდა. სულ ვეუბნებოდი, ალბათ, შენ ისტორიას ავღანეთიღა აკლია და შეასრულე რაც გინდოდათქო. რთულია, ასეთი ადამიანი რომ გამოგეცლება ხელიდან, შენს ცხოვრებას მიზანი და აზრი ეკარგება. გული მტკივა, რომ დღეს იმასაც არ ახსენებენ ვინ იყო, რა იყო და რისთვის მოკვდა. უკვალოდ არ უნდა ქრებოდეს მათი სახელები... რამაზს ყველა იცნობდა, მსოფლიო ჩემპიონატშიც მონაწილეობდა. ძალიან დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა. ვეტყოდი, თუ არის რომელიმე ქალაქი ან სოფელი საქართველოში, სადაც შენ არ გიცნობენ-მეთქი... საზოგადოება უნდა იცნობდეს ისეთ ხალხს, როგორიც რამაზია. ეს ჩემი ერთადერთი სიხარულია, როცა ვინმე რამაზის სახელს გააჟღერებს, დანარჩენი... ჩემთვის ყველაფერი დაკარგულია და დამთავრებულია. უმისოდ ცხოვრებას ჩემთვის აზრი აღარ აქვს, მაგრამ მართლმადიდებლები ვართ და თავს ვერ მოვიკლავთ. ძალიან ძნელია მის გარეშე გაძლო ამქვეყნად და იცოცხლო…

მეოთხე

რიგითი

გია გოგუაძე

04.10.1990-19.06.2011

მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 19 ივნისს, თალიბების თავდასხმის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით, ჰელმანდის პროვინციაში.

„პატივი ეცით ჩემს გადაწყვეტილებას, მე ბავშვი აღარ ვარ და კარგად ვაცნობიერებ სად მივდივარ, შენგან მიკვირს დედა, ასე რამ შეგაშინა?! განა საქართველო ჩვენმა წინაპრებმა არ შემოინახეს, დედას შვილი რომ შეეძინებოდა, განა ეშინოდა? ეამაყებოდა, რომ საქართველოს კიდევ ერთ მეომარს უზრდიდა და ეს იცოდა თითოეულმა მათგანმა“, - ამ სიტყვებით დაემშვიდობა რიგითი გია გოგუაძე დედას, ნონა გოგუაძეს...

ქართველი გმირი, გია გოგუაძე, 1990 წელს, 4 ოქტომბერს, ოზურგეთში დაიბადა... სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება სკოლის დამთავრების შემდეგ მიიღო. ოჯახისგან მალულად საკონტრაქტო სამსახურს მოაწერა ხელი და ოჯახს მისი გადაწყვეტილება გააცნო...

როგორც დედა, ნონა გოგუაძე ამბობს, გიამ ამ გადაწყვეტილებით მისი ბავშვობის ნატვრა აისრულა და „ნამდვილ ომში წავიდა“!

წასვლამდე კი ყველაფერი იწინასწარმეტყველა... ოჯახს ანდერძად დაუტოვა, რომ მის შემდეგ მის ოჯახში გია გოგუაძის სახელი უნდა გაგრძელებულიყო.

მის რძალს თამუნა მიქაშავიძეს დღესაც ახსოვს მისი სიტყვები, „თამუნა, დედაჩემს და ჩემს ოჯახს მიმიხედე, იცოდე ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მე თუ ვერ დავბრუნდები, ჩემს ოჯახში გია გოგუაძის სახელი უნდა გაგრძელდეს, ბიჭი უნდა გეყოლოს და მას ჩემი სახელი უნდა დაარქვა“....

ნონა გოგუაძე, გია გოგუაძის დედა: „გია ბავშვობიდან თავგადასავლების მოყვარული ბიჭი იყო, სამხედრო სამსახურში წასვლის სურვილს ბავშვობიდან ამჟღავნებდა, ცაცია იყო და მარცხენა ხელით ხის ავტომატებს ბავშვობიდამ ამზადებდა, იმაზე წუხდა, რომ ასაკი არ უწყობდა ხელს ჯარში წასასვლელად. თავიდან მისი გატაცება უბრალო ახირება გვეგონა, ვფიქრობდით, რომ დროსთან და ასაკთან ერთად მისი შეხედულებები შეიცვლებოდა. მით უფრო, რომ სპორტული მიღწევები ჰქონდა და კარგ კალათბურთელად ითვლებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში გამოემგზავრა. მისმა მწვრთნელმა ურჩია სპორტს გაჰყოლოდა, თუმცა, გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, მალევე დაანება ამ საქმეს თავი და შინ დაბრუნებულმა ოჯახის წევრებს მისი გადაწყვეტილება გვამცნო, დედა, მე ჩემი ბავშვობის ოცნება უნდა ავიხდინო და ჯარში უნდა წავიდეო. ძალიან ვღელავდი და ვნერვიულობდი, მაგრამ ჩემი შვილის პრინციპული ხასიათიდან გამომდინარე ჩემთვის გასაგები იყო, რომ ის გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა. სანამ გია ავღანეთში წავიდოდა, ჩემს ოჯახში სასწრაფო სასწრაფოზე იდგა, წინასწარ ვგრძნობდით მე და ჩემი მეუღლე, რომ ის აღარ დაგვიბრუნდებოდა... ხშირად იმეორებდა, ჯარი ერთი დიდი ოჯახიაო და თვითონ ამ ოჯახის განუყრელ ნაწილად გრძნობდა თავს. წასვლამდე მითხრა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ძალიან ძლიერი უნდა იყოო... გამოსამშვიდობებლად როდესაც მოვიდა, მითხრა, დედა ჩქარა ჩაიცვი სალონში უნდა წაგიყვანო გაგალამაზო, რომ ასეთი ლამაზი დამა-

მახსოვრდეო! მთელი სახლი, კუთხე-კუნჭული მოიარა, თავიდან ვერ მივხვდი, შვილო, რას აკეთებ-მეთქი და მიპასუხა, არაფერი დედა, უბრალოდ სახლს ვემშვიდობებიო! დღეს ვხვდები, რომ გია ყველაფერს გრძნობდა და გმირული ცხოვრებისთვის ემზადებოდა. მახსოვს, ჩემი შვილი ოზურგეთიდან გავაცილე, მატარებლით უნდა წასულიყო, მაგრამ იქ მითხრა, დედა, გეხვეწები ნუ მოხვალთ, რადგანაც ეს ჩემთვის უფრო მტკივნეული იქნებაო. უფრო მეტად ჩვენ მოგვიფრთხილდა, მაგრამ მშობელი რისი მშობელია, მაინც ჩავედით. შიშით მანქანიდან ვერ გადავდიოდი, რომ დამინახავს, არ აღელდეს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ დაგვინახა, მოვიდა, ჩაგვეხუტა, დაგვამშვიდა და გვითხრა, არაფერზე ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნებაო! 2011 წლის 19 ივნისს გავიგე ამ უბედურების შესახებ. მე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მქონდა და ძალიან მძიმე იყო ამ ყველაფრის გაგება. მაგრამ უფალს უთქვამს, გაჭირვების ჟამს ადამიანს მორიგი ენერგია გააჩნიაო და მე ეს მორიგი ენერგია აღმომაჩნდა.... გავუმკლავდი, მაგრამ ვაი, მაგ გამკლავებას... გიას გარდა ერთი შვილი დამრჩა 26 წლის ლევან გოგუაძე, ლევანს ორი ქალიშვილი ჰყავს და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გიას დანაბარევი ავასრულოთ და მის ხსოვნას სათანადოდ ვცეთ პატივი“!

თამუნა მიქაშავიძე, გიას რძალი: „ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი იყო გია. თავიდანვე განსაკუთრებული სითნოებით იყო გამორჩეული. ოჯახს მაქსიმალურად ეხმარებოდა, წასვლის წინ ბინაც კი გვიყიდა მე და ჩემს მეუღლეს. ერთადერთი თხოვნა დამიტოვა, შეიძლება უკან ვერ დავრუნდეო, მიმახვედრა და მითხრა, მის ოჯახზე მეზრუნა. მისი სახელი და გვარი უნდა გამეგრძელებინა და ბიჭი რომ შემეძინებოდა მისი სახელი დამერქმია. ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ, ძალიან გავნერვიულდი... საშინელი გრძნობა დამეუფლა, მაგრამ სწრაფად დამაწყნარა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, დაიმახსოვრე,

რაც გითხარი და იცოდე, დრო მალე გავა და მალე ჩამოვალო! მე ხუთი თვის წინ შემეძინა მეორე შვილი, მინდოდა გიას სურვილი მალე ამეხდინა და ბიჭი ყოფილიყო, მაგრამ გოგონა დაიბადა, ღვთის წყალობით, ჯანმრთელია, მაგრამ ამ ოჯახში მისი ანდერძი უნდა ასრულდეს და გია გოგუაძე უნდა გაჩნდეს!

ის დღე, როდესაც ეს უბედურება გავიგეთ, ყველაზე მძიმე იყო ჩვენთვის, ჩვენთან ვერავინ ბედავდა მოსვლას და გარეთ შეკრებილი ამდენი სამხედროები, რომ ვნახეთ, ჩვენ თვითონ მივხვდით ჩვენს უბედურებას!

ოჯახის შექმნაც ვერ მოასწრო... არადა, წლების მანძილზე გია გოგუაძე გვანცა ხურციძეზე იყო შეყვარებული, დაქორწინებაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, მხოლოდ ავღანეთის მისიის დასრულებას ელოდნენ. გიამ, ავღანეთში წასვლამდე, გვანცას დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ რამდენიმე საათში შეცვალა. როდესაც დედამ შვილს ამის

მიზეზი ჰქკითხა, გიამ უპასუხა, დედა, გვანცას ასე ვერ გავაუბედურებო...

ქალბატონმა ნონამ შვილის გარდაცვალების შემდეგ გვანცას და გიას სიყვარულის ისტორიას პატარა წიგნი „ბინდისფერია სოფელი“ მიუძღვნა. დედა თავის გმირ შვილს მიმართავს:

„შვილო, ნეტა, რამდენჯერ მიხმე იმ ავბედით დღეს?.. მითხარი, ვისი ხატება წარმოგიდგა თვალწინ - დედის თუ გვანცას? შენს თავს ვფიცავარ, არაფერი მეწყინება, მე ხომ ეგოისტი დედა არა ვარ. ხომ გახსოვს, რას გეუბნებოდი? მე შენი ხმაც დამაკმაყოფილებს-მეთქი! წასვლამდე, მახსოვს, მითხარი გვანცა უნდა დავნიშნოო, გამიხარდა, მაგრამ რამდენიმე საათში გადაწყვეტილება ისევ შეცვალე, გადავიფიქრე დედა! არ ვიცი რა ხდება? გვანცას მომავალს ხომ არ დავუმახინჯებ, რომ ჩამოვალ, ბარემ ქორწილით მოვიყვან ცოლსო! შვილო როგორ გიგრძნო გულმა, როგორ გყვარებია... გვანცას დღემდე არ გაუხდია ძაძა, შენს საფლავზე დამხობილი დასტირის თავის უიღბლო სიყვარულს... 18 წლის გოგონას გული შუაზე გაეპო, დაბნეული და უსუსურია. მას რომ ვხედავ, თვალებში შუქი მემატება, სადღაც ახლოს მგონიხარ, თითქოს გამოჩნდები... ამ უბედურებას ორივენი ერთმანეთთან ხელჩაკიდებული ვუმკლავდებით. მე ხომ ვიცი, როგორ გიყვარდა გვანცა, ჰოდა, ნუ გეშინია, დედა მას არ მიატოვებს! გჯეროდეს შვილო, მასში შენ გხედავ! იმედია, მის ცხოვრებაში მომავალში გამოჩნდება ვინმე, ვინც ამ ტკივილს გადაატანინებს, მაგრამ განა ადვილია ბავშვობისდროინდელი სიყვარულის დაკარგვა? მე მჯერა, რომ მოვა თეთრ ცხენზე ამხედრებული პრინცი, რომელიც აზრს მისცემს გვანცას ცხოვრებას. მე მინდა მთელი გულით ვუსურვო გვანცას და მის ოჯახს ბედნიერება, ისინი ჩემთან ერთად იდგნენ მძიმე დღეებში“!...

„მენატრები! გესმის? დაჭრილი ვარ, თანაც ისე, რომ ვერავინ გამიმთელებს ამ ჭრილობას... როგორ ვოცნებობდი შენს ბედნიერებაზე! თითქოს არ მჯეროდა შენი დაბრუნება, იძინე ტკბილად, ჩემო ანგელოზო! ხანდახან ძილში მოდი, რომ არ გავგიჟდე და სიზმრად მაინც გნახო“!

„მინდა მოგმართოთ ჩემნაირად გაუბედურებულ დედებს. ჩვენს გულებს უფლის მეტი ვერავინ წაიკითხავს! დარწმუნებული ვარ იმაში, რომ შვილის დაკარგვით გაუბედურებულებს ჩემნაირად გინდოდათ ამ წუთისოფლიდან წასვლა, მაგრამ ჩვენ გმირების დედები ვართ და აქ ვჭირდებით ჩვენს სამშობლოს“!..

ნინო ქაჯაია

ეს თითოეული ჩვენგანის ტრაგედია და ღირსებაა

როდესაც „გმირი“-ს პირველი წიგნი გამოიცა, მახსოვს, პრეზენტაციაზე ჩემს გვერდით 7-8 წლის ბიჭი იჯდა, მას მთელი საღამოს განმავლობაში წიგნი მუხლებზე ედო და მთელი საღამოს განმავლობაში, პატარა ხელი წიგნის ფურცლებში ჰქონდა შეცურებული. ამ მდგომარეობაში მოისმინა მან იქ შესრულებული რექვიემი, მოისმინა მართლაც სულის შემძვრელი ისტორიები, თუ როგორ შესწირეს გმირულად იქ მყოფთა შვილებმა, მეუღლეებმა, მამებმა თავიანთი სიცოცხლე საკუთარ ქვეყანას, რამდენი ადამიანი გადაარჩინეს და დაიცვეს ღირსება. საღამოს დასასრულს, ეს პატარა-დიდი ადამიანი უცებ ჩემსკენ შემობრუნდა, გადაშალა წიგნი, იმ გვერზე, რომელზეც მთელი საღამოს განმავლობაში ხელი ედო და მითხრა: „ეს ჩემი მამაა, ისიც გმირია“... ასეთი სევდიანი და ამაყი ბიჭი არასდროს მინახავს...

როდესაც ავღანეთში დაღუპული ბიჭების შესახებ ვწერთ, ან ვსაუბრობთ, ჩვენც, ალბათ, იმ ბავშვივით უნდა ვიყოთ: სევდიანნი, რომ ეს ახალგაზრდა, მომავლის გეგმებით, იმედითა და სიცოცხლით სავსე, ბიჭები გარდაიცვალნენ და ამაყნი, რომ ასეთი ღირსეული ჯარისკაცები, ასეთი გმირები გვყავს.

იმის მიუხედავად, რომ ავღანეთში მიმდინარე უსაფრთხოების მხარდამჭერ ოპერაციაში ქართველი ჯარისკაცების მონაწილეობა, არის საქართველოს განვითარების, წინსვლის, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ერთ-ერთი წინაპირობა, თუ პირიქით, სრულიად გაუგებარი და მიუღებელია, თუ რატომ იღუპებიან ჩვენი ბიჭები სამშობლოდან ათასობით კილომეტრის მოშორებით, სხვის მიწაზე და სხვის ომში, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ბიჭებმა სიცოცხლე გაწირეს, როგორც ჯარისკაცებმა, გაწირეს ღირსეულად, გაწირეს ქართული დროშით სამკლაურზე, თითოეულ მათგანს ჰქონდა იდეა და რწმენა, საკუთარი ქვეყნის სამსახურისა, მათმა მშობლებმა კი ომში გაუშვეს და დაკარგეს ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდათ.

ამიტომ, განსხვავებული აზრის მიუხედავად, ვფიქრობ, ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთ თითოეული ამ ჯარისკაცის წინაშე და მადლობა ვუთხრათ მათ მშობლებს, ასეთი შვილების გაზრდისთვის და წიგნში, რომელიც ახლა მუხლებზე უდევთ, მხოლოდ მათი ოჯახების ტრაგედიასა, თუ ღირსებაზე როდი წერია, ეს თითოეული ჩვენგანის ტრაგედია და ღირსებაა. სწორედ იმ ბიჭივით უნდა გვქონდეს ჩვენც ხელი თითოეულ ფურცელზე და გვახსვოდეს, რომ ისინი ჩვენც დავკარგეთ და ისინი ჩვენი გმირებიც არიან.

მეოთხე

კაპრალი

ბორის ცუგოშვილი

12.05.1984 - 06.06.2013

შეიარაღებულ ძალებში 6 წელი იმსახურა. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

2008 წლის ომი გამოიარა, დაჭრილი იყო და მეგობრებს ეხმარებოდა, მებრძოლები ამბობენ, რომ ის უშიშარი და თავდადებული ადამიანი იყო, რომ მისი იმედი ჰქონდათ. ომმა მაინც სხვანაირი მეგობრობა იცის. ომმა ისიც იცის, რას ნიშნავს ყოველდღე სიკვდილს უყურებდე თვალებში, მაგრამ, როგორც თავად ამბობდა, სამშობლოს სიყვარული და იმის შეგნება, რომ საკუთარ მიწას საკუთარ ოჯახს და შვილებს ეხმარები უკეთეს ქვეყანაში იცხოვრონ, ამ შიშს გაძლევინებს.

ბორის ცუგოშვილის შესახებ კიდევ ბევრი დაიწერება. ბავშვობიდან მამაცი იყო, საქართველო სხვანაირად უყვარდა, თითქოს არაფრით გამორჩეული არ იყო, მაგრამ ეს არის სამშობლოს განცდაც. ნებისმიერს შეუძლია მისთვის თავის გაწირვა და ამისთვის, ამ გმირობისთვის, სიყვარულის დამტკიცებისთვის არ გჭირდება იყო განსაკუთრებული. უბრალოდ, უნდა გრძნობდე და ეს გრძნობა ბორისს ბავშვობიდან ჰქონდა.

„მისი ერთადერთი ვაჟი, რომელიც ახლა 11 თვისაა, მამით იამაყებს. მიუხედავად იმისა, რომ ის არ ეხსომება, ეცოდინება მაინც, რომ გმირი ადამიანის შვილია“- ასე იწყებს საუბარს კაპრალ ბორის ცუგოშვილის მამა, რომელსაც გორის რაიონის სოფელ ორთაშენში შვილი ავღანეთიდან ჩამოუსვენეს. მისი გარდაცვალების ამბავი ოჯახმა ტელევიზიიდან შეიტყო. ტარიელ ცუგოშვილის თქმით, ავღანეთში მისი შვილი ორი თვის წინ წავიდა. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ ბორის ცუგოშვილი სამშობლოსთვის მოწოდებული პიროვნება იყო.

ტარიელ ცუგოშვილი(კაპრალ ბორის ცუგოშვილის მამა) : - მეუღლე და 11 თვის ვაჟი დარჩა. მანამდე გერმანიაში იყო წასული. სამხედრო სამსახური, ეს თავისი პროფესია იყო. 2008 წლის აგვისტოს ომშიც კონტრაქტით იყო. სატანკო ბატალიონში მსახურობდა. ომის დროს დაიჭრა კიდეც. როცა აფეთქება მოხდა ორი თანამებრძოლი მკლავებში მოუკვდა. მიუხედავად ამისა, მაინც უშიშარი იყო და ამბობდა, რომ სამშობლოსთვის თავგანწირული ჯარისკაცი იყო.

ვიქტორ ცუგოშვილი (ბორის ცუგოშვილის ძმა):

- 2005 წელს, 18 აპრილს, ბორისი სავალდებულო სამხედრო სამსახურში წავიდა. სკოლაში 9 წელი დაამთავრა, შემდეგ კი სწავლა პოლიტექნიკურ კოლეჯში გააგრძელა, ელექტროვაგონშემკეთებელი იყო პროფესიით. კოლეჯის დასრულების შემდეგ სამხედრო მოსამსახურის გზა აირჩია. წელიწად-ნახევარი იყო ჯარში, შემდეგ კი პირველ კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ეს მისთვის მეორე კონტრაქტი იყო, ავღანეთამდე ბორისი გერმანიაში გადიოდა სამხედრო კურსებს. ის ისეთი მონდომებული ადამიანი იყო, რომ რასაც მიზნად დაისახავდა, ყველაფერს აკეთებდა. ავღანეთში გადაწყვეტილებაც ისე მიიღო, რომ არავისთვის რჩევა არ უკითხავს. მე ვიცოდი, რომ მიდიოდა, ერთხელ მოვიდა და მითხრა, უნდა წავიდეო. მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და ჩვენ ამას ვერ შევაცვლევინებდით. მამაჩემი იყო სასტიკი წინააღმდეგი. მამაჩემმა პირველი განცხადება დაუხია კიდეც, მაგრამ ბორისმა მეორედ შეიტანა და წავიდა. არასოდეს ჰქონია შიში, რომ რამე დაემართებოდა. აქეთ გვამხნევებდა არ ინერვიულოთო. დღეს ოჯახს მის გარეშე ძალიან უჭირს. ერთი წლის ბიჭი დარჩა ობლად. მეც ძალიან გამიჭირდა მის გარეშე. მის გარდა არც არავინ მყავდა, ჩემზე ორი წლით უფროსი იყო და ყოველთვის, მხარში მედგა.

ირაკლი ცუგოშვილი (კაპრალ ბორის ცუგოშვილის ბიძაშვილი): - ბორისმა ნათესაობასაც და საახლობლოსაც თავი

ვაჟკაცობით და ადამიანობით დაგვამახსოვრა. იმდენად უშიშარი იყო, რომ სამშობლოსთვის თავს არ ზოგავდა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროსაც ვიგრძენით ეს მისი სულისკვეთება. ჩვენ მამაცი და სამშობლოსთვის თავგანწირული ჯარისკაცი დავკარგეთ. ეს მხოლოდ ჩემი სიტყვები არ არის. მადლობის სიგელებთან ერთად სხვა უამრავი ჯილდო აქვს მიღებული.

ნინო კურტანიძე (ბორის ცუგოშვილის მეუღლე): - ერთმანეთი 2010 წლის მარტში გავიცანით. ამ დროს ბორისი პირველი კონტრაქტით იყო ჯარში. ჩვენი ურთიერთობა ნელ-ნელა ძალიან კარგად აეწყო, შემდეგ ხელიც მთხოვა და ცოლად გავყევი. 2011 წლის 10 აგვისტოს ვიქორწინეთ.

ავღანეთში პირველად იყო, თუმცა არ ეშინოდა. ზოგადად, ისეთი პიროვნება იყო, რომ არასოდეს არაფრის შიში არ ჰქონია. როცა მითხრა, ავღანეთში უნდა წავიდეო, ვთხოვე, იქნებ გადაეფიქრებინა, მაგრამ უარი მივიღე მისგან. გადაწყვიტა და წავიდა. იქიდან მამშვიდებდა, ცოცხალი დაგიბრუნდები, არ შეგეშინდესო...

სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, ბავშვი ვაჩვენე, „სკაიპით“ ვილაპარაკეთ დიდხანს, თუმცა იქაურობაზე არაფერს ამბობდა, ძალიან კარგად ვარო, იმასაც ამბობდა, რომ ისე კარგად ვარ, აქეთ თქვენი დარდი მაქვსო. ძალიან კმაყოფილი იყო, არაფერი არის საშიშიო.

ერთი შვილი გვყავს - საბა. 3 აგვისტოს ერთი წლის გახდა. რვა თვის იყო საბა, მამა რომ ავღანეთში წავიდა. სიტყვებით ვერ აგიწერთ, ისეთი თბილი მამა იყო. ბავშვი, რომ აიყვანა ხელში, მაშინ თქვა, რომ ბედნიერი ვარო, ამაზე ბედნიერი როგორ უნდა ვიყოო და ამბობდა, ჩემი შვილი ძმასავით უნდა გავზარდოო, გვერდში მეგობარივით უნდა მყავდესო. უნდოდა, რომ საბას კარგად ესწავლა, სპორტსმენი ყოფილიყო, ძალიან კარგი მამა იყო. სატელეფონო საუბარი თითქმის ყოველდღე მქონდა მასთან, ძალიან იშვიათად ყოფილა, რომ არ მოეწერა. წინა დღესაც ვურეკავდი, მაგრამ გამორთული ჰქონდა ტელეფონი. არ შემშინებია, იმიტომ რომ ხშირად არ ჰქონდა ტელეფონს მიღება. სულმოუთქმელად ველოდებოდით მე და საბა... ავღანეთიდან სექტემბერში უნდა დაბრუნებულიყო.

სანამ ავღანეთში წავიდოდა, მე და ჩემი მეუღლე ცალკე ვცხოვრობდით. როდესაც ბორისი წავიდა, მეც დედაჩემთან გადავედი ცოტა ხნით და იქ ვიყავი. ჩემს თავს დამტყდარი უბედურების შესახებ სწორედ იქ გავიგე. სოფელში მომაკითხეს, თავდაცვის სამინისტროს ხალხი იყო. სამხედროები რომ დავინახე, მაშინვე ყველაფერს მივხვდი. მივხვდი, რომ ქმარი აღარ მყავდა და ჩემი საბაც უმამოდ, ობლად დამრჩა...

ბორის ცუგოშვილს მხოლოდ მის სოფელში იცნობდნენ, მხოლოდ მისმა მეგობრებმა იცოდნენ, როგორი მამაცი იყო, მაგრამ ახლა მისი გამბედაობის ამბავი ყველამ გაიგო, ახლა ის გმირია, საქართველოს გმირი და მისი შვილი ყოველთვის იამაყებს. მის შვილს ეცოდინება, რომ მამა საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა, თავი გასწირა იმისთვის, რომ მის შვილს და მის თაობას ძლიერ ქვეყანაში ეცხოვრა.

ქართველი გმირი ბორის ცუგოშვილი სოფელ ორთაშენში, მამაპაპისეულ სასაფლაოზე, გმირული პატივით დაკრძალეს.

მეოთხე

პირველი კლასის რიგითი

ზვიად სულხანიშვილი

22.10.1990 - 06.06.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2010 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

6 ივნისს ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი აფეთქების შემდეგ მთავრდება პირველი კლასის რიგითის, 22 წლის ზვიად სულხანიშვილის სიცოცხლე და იწყება კიდევ ერთი გმირის ისტორია, რომელიც დამსახურებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს მომავლისთვის თავგანწირული გმირების გვერდით. ზვიად სულხანიშვილი მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში დაიბადა. სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით ახლობლები და ოჯახის წევრები თავიდანვე გამოარჩევდნენ. პირველად სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლაზე მოსულმა სამედიცინო ექსპერტიზის უარმა ახალგაზრდა ბიჭი იმდენად გაანაწყენა, რომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ჯარისკაცი გამხდარიყო. მას შემდეგ რამდენიმე სამედიცინო შემოწმება გაიარა და სამი თვის წინ სურვილი მაინც აისრულა – სამხედრო მოსამსახურე გახდა.

სულხანიშვილების ოჯახმა ავღანეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შესახებ ტელევიზიით შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ გმირის ოჯახი სულ შიშის ქვეშ იყო, მაინც იმედი ჰქონდათ, რომ დაღუპულ ქართველ მეომართა შორის მათი შვილი არ იქნებოდა. თუმცა... მძიმე მოლოდინის მიუხედავად, მათთვის შოკისმომგვრელი იყო ეზოს კართან სამხედრო ჩინოსნების გამოჩენა, რომლებმაც მშობლებსა და ძმებს ზვიადის გმირული გარდაცვალება შეატყობინეს.

სულხან სულხანიშვილი, ავღანეთში დაღუპული ქართველი გმირის მამა: „ზვიადი ამ ტრაგედიიდან სამი თვით ადრე წავიდა ავღანეთში. თავიდან პირველი ნაბიჯი იყო, როცა გერმანიაში წაიყვანეს. ჩემი შვილი, ალბათ, გმირად დაიბადა! თავიდან სავალდებულო სამსახურში წასვლაზე უარი უთხრეს, ფეხის ტერფი გაქვს ბრტყელიო, ამან იმდენად გაანაწყენა, რომ რამდენიმე სამედიცინო შემოწმება გაიარა. იმდენად მოწადინებული იყო, არ გაჩერდა და „კომანდოში“ წავიდა, სადაც საქართველოს ემსახურა ბოლომდე! იქ გაიარა წვრთნები და მერე ჩამოვიდა საქართველოში და 25 მარტს გაუშვეს ავღანეთში. რომ მიდიოდა, თითქოს გული რაღაცას მეუბნებოდა, მეთანაღრებოდა, მაგრამ თვითონ ძალიან მხნედ იყო. არ ვიცი, თუ ვიცოცხლებ, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია. მახსოვს, იმ დღეს რომ გავაცილეთ სახლიდან, გული მეთანაღრებოდა, მაგრამ თვითონ ძალიან მხნედ დამაწყნარა, მალე ჩამოვალ, ნუ გეშინიაო!

იმ საღამოს სამსახურიდან სახლში რომ დავბრუნდი, ტელევიზორი ჩავრთე, გადმოსცეს, ავღანეთში ქართულ ბაზაზე შეჯახება მოხდა და თავდაცვის სამინისტროში ბრიფინგი ჩატარდებაო, თავზარი დამეცა... გულში გავიელვე, ოღონდ ეგ არა-მეთქი და ამ დროს ეზოში ხმაური შემომესმა. გავედი და იქაურობა ხალხით, სამხედრო მოსამსახურეებითა და სამედიცინო პერსონალით იყო სავსე! მივხვდი, რომ ჩემი უბედურება დაიწყო! ორი ბიჭი მყავს კიდევ და მაგათზე ფიქრი მაჩერებს, თორემ ამდენი ხანი ვერ ვიქნებოდი ცოცხალი. 22 წლის ვაჟკაცი გამომისალმეს წუთისოფელს“.

მცხეთის რაიონის, სოფელ ძეგვში, სულხანიშვილების მეზობლები დღესაც თვალცრემლიანი იხსენებენ ახალგაზრდა, სიცოცხლითსავსე ბიჭს, რომელმაც სამშობლოს კეთილდღეობას, ყველაზე ძვირფასი რაც გააჩნდა - საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

ლილი სულხანიშვილი, მეზობელი: „ავღანეთში წასვლის შიში ნებისმიერ ჯარისკაცს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურად დაგვემშვიდობა. ჯარში იმისთვის წავიდა, რომ გმირული სული ჰქონოდა და დღეს სწორედ გმირად დაგვიბრუნდა ყველას!“

სულხან სულხანიშვილს მთელი სოფელი გლოვობს. მისი სახელი სოფელ ძეგვში უკვდავყოფილია... ის გმირია, რომლის საამაყო სახელიც სოფელში დიდსა თუ პატარას არასოდეს დაავიწყდება. დღეს ის გმირია, რომელიც საქართველოსთვის თავდადებული გმირების გვერდით საპატიო ადგილს იკავებს.

მიშა ფეიქრიშვილი

„რა ადვილია ისაუბრო და წერო გმირებზე და რა რთულია იყო გმირი“

9 ივნისი

01.00 საათი

ჩვენი ავტომანქანა კახეთის გზატკეცილს მიუყვება. წინასწარ ვხვდები, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე ემოციური და მძიმე გადაღება, რაც ბოლო პერიოდში მქონია.

მანქანაში სიჩუმეა... ოპერატორებს ვეუბნები, რომ ბევრი კადრი უნდა მოვასწროთ და გადავიღოთ. წინასწარ ვიცი, ადგილზე ბევრი ჟურნალისტი დაგვხვდება.

01.30 საათი

უკვე აეროპორტში ვართ... შესვლისთანავე შესაბამის შემოწმებას გავდივართ. დასაფრენ ბილიკთან ვართ ჟურნალისტები, მთავრობის წევრები, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები, ჯარისკაცები... გადანათებულ და მდუმარე აეროპორტში მყოფნი ყველა ზემოთ, სიბნელეში ვიყურებით...

02.00 საათი

ვათვალიერებ შეკრებილ საზოგადოებას. ხელისუფლება და ყოფილი ხელისუფლება ერთ მწკრივში, ერთმანეთის გვერდიგვერდ. საყოველთაო დუმილს, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ჩვენ, ჟურნალისტები ვარღვევთ. ვინ სად დგას, ვინ რა რაკურსით შეძლებს კადრის გადაღებას. თითქოს ემოციებისგან დაცლილი პროფესია გვაქვს. მთლიანად გადავეშვებით საქმეში და ზოგჯერ აღარ ვაქცევთ ყურადღებას გარშემომყოფებს. ჩვენ კი პირიქით, მუდმივად ვიქცევთ ყურადღებას... გაუთავებელი ალიაქოთით...

კიბეებთან დაახლოებით 50-მდე ადამიანი დგას. უცნობი სახეებია. უცნობი, მაგრამ ამავე დროს ნაცნობიც... ვხვდები, რომ მაღალი, ყავისფერქურთუკიანი, ალბათ, ძმაა და ელის ძმის ჩამოფრენას. წვერებიანი კაცი, ხმელი სახით, რომელიც თვალს არ ახამხამებს და ზეცას გასცქერის, ალბათ, მამა იქნება. მგონია, რომ ყველას გამოხედვით ვცნობ. იმ მარჯვნივ მდგომსაც, რომელმაც უკვე მერამდენედ მოიწმინდა ჩუმად ცრემლი... და ვხვდები, რას ნიშნავს მათთვის ეს ღამე... ყველა მამაკაცია. არც ერთი ქალი. ისინი, ალბათ, ახლა ფანჯრებთან დგანან და გზას გაჰყურებენ.

7 ფანჯარა...

02.20 საათი

– 10 წუთში დაეშვება თვითმფრინავი – გვაფრთხილებს თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური.

ჩუმი ჩოჩქოლი...

ვგრძნობ, როგორ გადაგვიარა ყველას ერთნაირმა ემოციამ სახეზე. კიბეებზე პრეზიდენტი ჩამოდის და მთავრობის მწკრივში დგება. გადანათებულ დასაფრენ ბილიკზე ემოცია მატულობს და საუბარი კლებულობს. დუმილს ნაცნობი ხმაური არღვევს... ცაზე სინათლე ჩნდება. ამერიკული თვითმფრინავი თბილისში ეშვება...

02:30 საათი

თითქოს აღარ ვსუნთქავთ... თითქოს არ ველოდით, რომ ამ თვითმფრინავს 7 ქართველი ჯარისკაცის ცხედარი მოაქვს... თითქოს, ეს ახლა გავიგეთ და დაჯერება არავის უნდა.

თავდაცვის სამინისტროს ორკესტრი სამგლოვიარო მარშის შესრულებას იწყებს. თვითმფრინავიდან ჩოხოსნები 7 სასახლეს მოასვენებენ.

თავდაცვის მინისტრის მკაცრი ნაბიჯები...

აქ ყველა ჭირისუფალია... ჭირისუფლები ერთმანეთს უსამძიმრებენ...

სამგლოვიარო მარში... 7 ეროვნული დროშა... 7 კუბო... 7 გმირი... აქ, ჩვენ წინ. მხარზე ხელს ვადებ კოლეგა გოგონას, რომელიც ხმამაღლა ტირის. ვცდილობ დავამშვიდო, მაგრამ ვხვდები, ეს შეუძლებელია...

...

ჯარისკაცებს მიასვენებენ... ვტოვებთ აეროპორტს... გამოსვლისას ვხედავ ამერიკის ელჩს, რომელიც თვითმფრინავისკენ მიემართება. ის ხელს ართმევს ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებმაც ქართველი გმირები ჩამოასვენეს.

ვტოვებთ აეროპორტს და ვტოვებთ აეროპორტში ამერიკულ თვითმფრინავს და არ მტოვებს ფიქრი – რა ადვილია ისაუბრო და წერო გმირებზე და რა რთულია იყო გმირი.

მეოთხე

პირველი კლასის რიგითი

ზურაბ გურგენაშვილი

02.09.1980-06.06.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2010 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

ავღანეთში გამგზავრებამდე ზურა გურგენაშვილმა ყველა მეგობარი მოინახულა, ყველას სათითაოდ დაემშვიდობა და, აუცილებლად დავბრუნდებითო დაუბარა... კარალეთში, ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ერთად, მან ყველაზე ძვირფასი ადამიანიც დატოვა – მომავალი მეუღლე. სექტემბერში ისინი დაქორწინებას აპირებდნენ...

ზურა გურგენაშვილმა სამხედრო სამსახური 2010 წლიდან დაიწყო. სამი წლის განმავლობაში ის საქართველოში მსახურობდა. მოხდილი ჰქონდა სავალდებულოც. ცხელ წერტილში საკუთარი ქვეყნის სამსახურს 2013 წლის 9 აპრილიდან საკუთარი გადაწყვეტილებით შეუდგა. 31 წლის ჯარისკაცისთვის ავღანური მისია სექტემბერში უნდა დასრულებულიყო, რის შემდეგაც სამხედრო მოღვაწეობის გაგრძელებას ისევ საქართველოში აპირებდა. თუმცა სულ ეს იყო, რის შესრულებაც 31 წლის ჯარისკაცმა მოასწრო.

ზურას ორი და და ორი ძმა დარჩა. დედმამიშვილების განცხადებით, ზურა ამაყობდა საკუთარი არჩევანით. ოჯახის წევრები კი – მისი გადაწყვეტილებით.

ასმათ გურგენაშვილი(ზურა გურგენაშვილის და): - დიდი სურვილი ჰქონდა ემსახურა ჯარში და აისრულა ეს საწადელი. ეს მისი პირველი საკონტრაქტო სამსახური იყო. ოთხწლიან კონტრაქტს ახლა ამთავრებდა.

თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა და გვითხრა კიდეც, ავღანეთში უნდა წავიდეო. სხვას არაფერს გვითანხმებდა...წავიდა და ცოცხალი აღარ დაგვიბრუნდა. წასვლამდე მეზობლებისთვის უთქვამს, შეიძლება არ დავბრუნდე და ყოჩაღად იყავითო... არადა, მომავლის გეგმები ძალიან დიდი ჰქონდა, სახლი იყიდა საკუთარი და იმის გაკეთებას აპირებდა. ცოლი უნდა მოეყვანა და თავის ცხოვრება აეწყო. ორი და ვართ და ზურას გარდა კიდევ ერთი ძმა მყავს. ძალიან გაგვიჭირდა მის გარეშე ცხოვრება.

ის დღე რომ მახსენდება, ახლაც მზარავს. კარალეთიდან დამირეკეს, გადმოდითო, მგონი ზურას თავს რაღაც ხდებაო... პირდაპირ არ მითხრეს, რომ დაიღუპა. მე იმ წუთში მივხვდი... სახლთან ხალხი ტრიალებდა, უკვე ტიროდნენ და მივხვდი, რომ დაიღუპა. სხვა არაფერი უთქვამთ, ტელევიზიითაც არ მქონდა გაგონილი არაფერი. შავი დღე გაგვითენდა ყველას.

ზურა ძალიან თბილი იყო, არაჩვეულებრივი, როგორც იტყვიან, ღვთისგან მოვლენილი ადამიანი, თანამედროვე ბიჭი, ყველაფერი რომ ესმოდა. ერთი ადამიანი ვერ იტყვის, რომ უარყოფითი ჰქონდა რამე ზურას. ჩემი ძმა, რომ არის, ამიტომ არ ვამბობ. მისი დაღუპვის ამბავი რომ გაიგეს, სოფელში პატარა ბავშვებიც კი ტიროდნენ.

ავღანეთიდან სულ მეკონტაქტებოდა. მესიჯებით მიკავშირდებოდა, მწერდა - როგორ ხარ? მე კარგად ვარ. შენ არ იდარდოო. ასეთი წერილები მომდიოდა ხშირად, სხვა არაფერს იწერებოდა. ჩემზე არ ინერვიულო შვილებს მიხედეო, მეუბნებოდა. აქ სიმშვიდე არისო, სხვას არაფერს ამბობდა. არაფერზე ინერვიულოთ წყნარად ვართო.

ბოლოს 7 აპრილს ვნახე. ჩემთან სახლში მოვიდა. ხალისიანად იყო, მაგრამ მეზობლებთან იძახდა, მივდივარ, მაგრამ არ ვიცი იქიდან ცოცხალი თუ ჩამოვალო. გრძნობდა და ხმამაღლა არ ამბობდა ჩემთან. მე ავადმყოფი შვილი მყავს და არასოდეს არ უთქვამს, რომ არ მენერვიულა. ყოველთვის კარგი განწყობით მოდიოდა ჩემთან, რომ მეც გავეხალისებინე... ძალიან კეთილი და თბილი ძმა იყო... შეყვარებული ჰყავდა, ერთი წელი უყვარდათ ერთმანეთი. რომ ჩამოვიდოდა, ცოლად უნდა მოეყვანა. ერთი წლის შემდეგ ქორწილი უნდა ყოფილიყო“...

ოთარ გურგენაშვილი, ზურა გურგენაშვილის ბიძა:

– ჯარში, სამი წელი იმსახურა. კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული და ბოლო ორი თვე, ავღანეთში წავიდა. ამბობდა, ახლა ავღანეთს რომ მოვივლი, მერე უნდა დავქორწინდეო. პირველად წავიდა ავღანეთში. ორი თვის წასული იყო და სექტემბრის ბოლოს უკან ველოდებოდით...

ალექსი სუხიტაშვილი, ზურა გურგენაშვილის მეგობარი:

– ზურა უსაყვარლესი ადამიანი იყო, ერთად გაზრდილები ვიყავით, გაჭირვებაში გაიზარდა, საწყალ ოჯახში, ჰყავს დედა, მამა, ძმა და ორი და. ფიზიკურ სამუშაოსაც არ თაკილობდა, მუშად მუშაობდა, ხან ყანას მარგლიდა, ხან ბარავდა, თონეშიც იმუშავა კარგა ხანს პურის მცხობელად. არაფერი უთაკილია ცხოვრებაში. ჯარში წასვლა საქართველოს სიყვარულით გადაწყვიტა. მეგობრებს გვითხრა, იქიდან რომ დავბრუნდები დავქორწინდები და მსახურს აქ გავაგრძელებო... შეყვარებული ჰყავდა, არ მინდა ცოლი ისე მოვიყვანო, რომ ვიღაცის დასაცინი გავხდეო. ამიტომაც ბინა იყიდა. წასვლის წინ გვითხრა, რომ ჩამოვალ, ახალსახლობას გადავიხდი და თან ცოლსაც მოვიყვანო. დღეს მთელი საქართველო გლოვობს.

ილია ტიელიძე, ზურა გურგენაშვილის სიძე:

– ნოემბერში მისი პირველი ოთხწლიანი კონტრაქტი ამოიწურებოდა. სავალდებულო მოხდილი ჰქონდა. ავღანეთიდან სექტემბერში ველოდით. ბანკიდან გამოტანილი სესხით იყიდა სახლი. შეყვარებული ჰყავდა, კარალეთში სახლი იყიდა და ოჯახის შექმნას აპირებდა. მის ნაყიდ სახლში ერთი ღამე არ გაუთენებია, რადგანაც რემონტს აპირებდა და რომ ჩამოვიდოდა, ცოლი უნდა შეერთო. ისე შემოტრიალდა მისი ცხოვრება, რომ ახლა იქ უნდა დავასვენოთ, მის სახლში. ძალიან გაჭირვებული ოჯახია. ვინც იცნობდა ამ ადამიანს, ვერავინ იტყვის მასზე ცუდს. ჩვენ ორ დღეში ერთხელ მაინც ვესაუბრებოდით. ცოტა ხნის წინ სამი ჯარისკაცი რომ დაიღუპა, მაშინ, მეორე დღესვე დაგვირეკა და გვითხრა, ნუ გეშინიათ მე ცოცხალი ვარო! სანამ დაიღუპებოდა, წინა დღეს ვესაუბრეთ.

ავღანეთში გამგზავრებამდე ზურამ საკუთარი სახლი შეიძინა, რომელშიც ერთი ღამეც არ დარჩენილა. ახალ სახლში გადასვლას სწორედ ჰელმანდიდან დაბრუნების შემდეგ გეგმავდა...

2 თებერვალს ზურა გურგენაშვილი 32 წლის უნდა გამხდარიყო. ამ დაბადების დღეს ის ყველაზე მეტად ელოდა. მისი ახლობლების თქმით, ეს იქნებოდა პირველი წელი, როცა საკუთარ დაბადების დღეს იუბილარი საკუთარ სახლში, საკუთარ მეუღლესთან ერთად შეხვდებოდა...

მეოთხე

რიგითი

მიხეილ ნარინდოშვილი

25.12.1986 - 06.06.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2012 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

იმ დილით მიხეილი დედას ელაპარაკა, გაამხნევა და უთხრა, სიცოცხლის ბოლომდე ქართულ ჯარში ვაპირებ მსახურსო. სიცოცხლე კი იმაზე ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე წარმოიდგენდა. გმირულ სიკვდილამდე მას სულ რაღაც რამდენიმე საათი აშორებდა.

6 ივნისს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები რუსთავში, ნარინდოშვილებსაც ესტუმრნენ. ოჯახს მათ ჰელმანდის პროვინციიდან მიღებული თავზარდამცემი შეტყობინება გააცნეს და საქართველოს სახელმწიფოს სახელით სამძიმარი გამოუცხადეს. 26 წლის რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი ერთ-ერთია იმ 7 ქართველ სამხედრო მოსამსახურეს შორის, რომელიც ავღანეთში თალიბანის თავდასხმას ემსხვერპლა.

როგორც მიხეილ ნარინდოშვილის დედა ამბობს, შვილს დილით სკაიპით ესაუბრა, საღამოს კი თავდაცვის სამინისტროდან მისი დაღუპვის შესახებ შეატყობინეს.

„დილით სკაიპით ველაპარაკე, ასე მითხრა, – კარგი შვილი გყავს, მე სამხედრო მოსამსახურე ვარ და პენსიაში გასვლამდე, ან სიცოცხლის ბოლომდე ჯარში უნდა ვიმსახ-

ურეო“, – ასე იხსენებს დედა შვილთან უკანასკნელ საუბარს.

ბევრი გეგმა ჰქონდა... სამშობლოს სადარაჯოზე სამშობლოდან საკმაოდ მოშორებით იდგა. დებდა ერთ აგურს ქვეყნისა და საკუთარი შვილების მომავლის შენებაში. მიხეილს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ავღანეთში კონტრაქტის ვადა 3 თვეში ეწურებოდა. სამშობლოში დაბრუნებულს ბინის ყიდვა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა სიკვდილი წამოეწია.

ფიქრია ცალუღელაშვილი – ნარინდოშვილის დედა: - დედისერთა იყო, ჯარში საერთოდ არ იყო ნამყოფი. სამშობლოს სიყვარულით წავიდა ჯარში. დედისერთა რადგან იყო, სავალდებულო სამხედრო სამსახური არ მოუხდია, პირდაპირ საკონტრაქტოზე წავიდა. ეს მისი გადაწყვეტილება იყო. სამი შვილი დაგვიტოვა, ორი გოგო სალომე, ანა–მარია და გიორგი. დაობლებულ შვილიშვილებს ახლა მე ვზრდი.

რუსთავის მეცხრე საშუალო სკოლა დაამთავრა. მამასთან საერთოდ არ ჰქონია კონტაქტი. მე და დედაჩემმა გავზარდეთ. სულ შრომობდა, ერთი წუთით არ მდგარა უსაქმოდ ქუჩაში, საწყალი ბედის პატრონი იყო ჩემი შვილი.

თავიდან მის გადაწყვეტილებას სკეპტიკურად ვუყურებდი. არ მეგონა ჩემი შვილი კარანტინს თუ გაუძლებდა, მაგრამ როგოც ჩანს ძალიან ძლიერი ბიჭი გავზარდე. აღფრთოვანებული იყო ჯარის ცხოვრებით. მეუბნებოდა რომ პენსიამდე ჯარში უნდა ვიმსახუროო. მარტოხელა დედა ვიყავი და მარტომ გავზარდე ჩემი ვაჟკაცი.

წინააღმდეგი ვიყავი მისი ავღანეთში წავსლის, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ძალიან ვაჟკაცი იყო. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც წავიდა. დედაჩემის დატოვებულ ბინაში ვცხოვრობდით და ამბობდა, რომ დავბრუნდები ეს ბინა გავყიდოთ და ჩემი დანაზოგი ფულით ახალი ბინა შევიძინოთო, მე,

შენ და ჩემმა შვილებმა ერთად ბედნიერად ვიცხოვროთო. მისი ოცნება იყო რომ შვილებისთვის მიეხედა და გზაზე დაეყენებინა. არ დასცალდა არაფერი....

5 ივნისს ვესაუბრე ბოლოს და 6–ში ეს უბედურება დატრიალდა. ჩვენი ბოლო საუბარიც შვილებს შეეხებოდა, განიცდიდა მისი შვილების მდგომარეობას და მთხოვდა რომ მათთვის მიმეხედა. ველოდებოდი მის უვნებლად დაბრუნებას, კი მეშინოდა, მაგრამ ცუდზე არ ვფიქრობდი.

სანამ ამ ამბავს გავიგებდი, ძალიან ცუდად ვიყავი, მთელი სხეული მტკიოდა. იმ დღეს როდესაც ჩვენთან სამხედრო მანქანა მოვიდა, საშინლად ცხელოდა და მე საბანში გახვეული საწოლში ვიწექი. მეზობლის გოგომ დამიორეკა, რომ შენთან უნდა ამოვიდეო. სახლის კარები რომ გავხსენი სამი ფორმიანი იდგა. ორი საათის განმავლობაში თურმე ქვემოთ იდგნენ და ვერ ამოდიოდნენ. დედას როგორ ვუთხრათ რომ მისი შვილი ცოცხალი აღარ არისო... ასე გავიგე ჩემი შვილის უბედურება და მერე აღარაფერი აღარ მახსოვს. მითხრეს, რომ თქვენი შვილი გმირულად დაეცა ავღანეთის მიწაზეო.

მზია ცოფურაშვილი, დეიდა:

„უაღრესად პატიოსანი ბიჭი იყო, გერმანიაში გაიარა სასწავლო კურსი, ორ კვირაში კი ავღანეთში გაემგზავრა. დედას ესაუბრა წინა დღეს, არაფერზე ინერვიულო, ბავშვებს მიმიხედეო. ბოლომდე სამხედროში სამსახური ჰქონდა გადაწყვეტილი. ყველას უყვარდა. სამხედრო სამსახური მისი არჩევანი იყო, ძალიან უყვარდა ეს საქმე, თავის ქვეყანაზე იყო შეყვარებული. ოთხწლიანი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ კიდევ აპირებდა კონტრაქტის გაგრძელებას. რამდენჯერაც დაუკავშირდა ოჯახს“.

დღეს მიხეილისა და მასთან ერთად გარდაცვლილი ბიჭების საქმეს კვლავაც აგრძელებენ მსოფლიოს ყველაზე ცხელ ნერტილში მყოფი ქართველი ჯარისკაცები. მათ იცოდნენ, რომ იქ ომი დახვდებოდათ, თუმცა ეს ნაბიჯი გადადგეს. და რომ არა სამშობლოს სიყვარული, ვერანაირი მატერიალური ანაზღაურებით ვერ დააყენებდნენ საკუთარ სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ. არც მიხეილ ნარინდოშვილისთვის ყოფილა ფინანსური დაინტერესება ავღანეთში ყოფნის მთავარი მოტივი. მისი და სხვა ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის შემდეგ, ავღანეთში დარჩენილი თანამებრძოლები ერთ რჩევას აძლევენ მათ, ვინც მატერიალურ დაინტერესებაზე მიანიშნებს.

სოფო მოსიძე

რა სჯობს - იყო გარდაცვლილი გმირი თუ ცოცხალი ადამიანი?

ამას წინათ ჩემი ბავშვობისდროინდელი ერთი ეპიზოდი გამახსენდა. მთელი ოჯახი სიგარეტის კვამლით გაბუღულ დიდ ოთახშია შეკრებილი. კადრებად ვხედავ- ხელიდან ხელში მელნის შტამპიანი ფურცელი გადადის, დეიდაჩემი ტირის, ბაბუა იგინება, სხვები ბუტბუტებენ. მაგიდას ახალგაზრდა ბიძაჩემი უზის, ექიმია, ძალიან ლამაზი ცოლი, ორი შვილი და სალათისფერი 06 ჰყავს, უყვარს კონიაკი და გიტარაზე დაკვრა. მორიგეობიდან დაბრუნებული ერთსა და იმავე ფრაზას იმეორებს ხოლმე: „день был адским, но жизнь спасена!“ ბიძაჩემმა მოგზაური ფურცელი მოითხოვა, ალბათ, მეასედ გადაიკითხა და თქვა: „მე ომში ვერ წავალ“.

ეს ეპიზოდი შორეული 80-იან წლების დასაწყისში, მთაწმინდის იტალიური ეზოს მესამე სართულზე მოხდა. მახსოვს, მაშინ სიტყვა ომმა ჩემში შიში კი არა, ინტერესი გამოიწვია. ვერაფრით ვერ მივხვდი, რომელი ომი იყო და სად ისროდნენ.

მერე, არ ვიცი რა მოხდა, ბაბუას გავლენა და ფინანსები სადამდე გასწვდა და ვის გადასწვდა, მაგრამ ბიძაჩემი ავღანეთის ომში არ წასულა.

***

ნიუს რუმში ჩვეულ ქაოსზე მეტია. რვას წამები აკლია, თავდაცვის სამინისტროდან პირდაპირი ჩართვა გვაქვს. უკვე ვიცი რაც მოხდა. „მოამბე“ დაიწყო. დაიწყო პირდაპირი ჩართვაც. მაყურებელთან ერთად ვისმენთ: „ყველაზე მასშტაბური თავდასხმა“... „ავღანეთი, შირგაზა“... „გამთენიისას...“, „დაიღუპა შვიდი...“ „კაპრალი, რიგითი, კაპრალი, ოფიცერი...“ მოძრავი, ჩქარი, ხმაურიანი ნიუს რუმი გაფითრდა, გაქვავდა.

მეორე დღეს იმავე ეთერში:

ერთის დედა დაღუპულ შვილს ტირის - ერთადერთ შვილს - როგორ მომენატრებიო, მოსთქვამს.

ერთის მეზობელი ყვება - შრომა უყვარდაო. ღორების ფერმა ჰქონდა, ჭირმა გაუწყვიტა, ვალში გადავარდა, იფიქრა, წავალ და ფულს ვიშოვი, მევალეებს გავისტუმრებო.

ერთის ძმას ლაპარაკი უჭირს - ჩვენს შორის ყველაზე პატარა იყო, ჩემი გაზრდილია, ცოლის მოყვანას აპირებდა და იფიქრა, გოგოს ოჯახს თავს მოვაწონებო.

ერთის სოფლის გამგებელი ამბობს - გმირი იყო, მთელ სოფელში გამორჩეული ვაჟკაცი, მთელი ცხოვრება ჯარში მსახურობდა - მოწოდებით იყო სამხედრო...

ერთის მამა ვერაფერს ამბობს...

მერე დიდხანს ვფიქრობ, როგორ უნდა გაამართლო მათი სიკვდილი?

ღირს თუ არა „სხვის ომში“ ბრძოლა? რა სჯობს - იყო გარდაცვლილი გმირი თუ ცოცხალი ადამიანი? ვუყურებ კადრებს, მათ ფოტოებს და უბრალოდ, ყოველგვარი ახსნის გარეშე, პატივს ვცემ მათ არჩევანს, უშიშრობას, ვაჟკაცობას, მათ სურვილს, ოცნებას, მიზანს, იმედს - რამაც ისინი ომში წაიყვანა და მადლობას ვუხდი ჩვენი მომავლისათვის!

აი, ბიძაჩემი კი ომში არ წავიდა. ისევ ექიმია, ისევ უყვარს კონიაკი და გიტარაზე დაკვრა. თუმცა დიდი ხანია მორიგეობებზე აღარ დადის „возраст не тот“, სამსახურიც დიდი ხანია არ ხიბლავს, ინტერესი დაკარგა - არც ხელფასი აქვს დიდი და არც მადლობებს ისმენს პაციენტებისაგან - ბიძაჩემი ხომ სურდოლოგია- სმენადაქვეითებულთა ადაპტაციის ექიმი.

მეოთხე

პირველი კლასის რიგითი

გიორგი ღუჭაშვილი

10.12.1991- 06.06.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2010 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

ავღანეთში 6 ივნისს გმირულად დაღუპული 7 ქართველი ჯარისკაციდან მეორე, ყველაზე ახალგაზრდა გიორგი ღუჭაშვილია. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ის 18 წლიდან ირიცხებოდა. ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი ტერაქტის შემდეგ გიორგი ღუჭაშვილს თანამებრძოლები ნანგრევებში დიდხანს ვერ პოულობდნენ და რამდენიმე საათი დაკარგულად მიიჩნეოდა, თუმცა საძიებო სამუშაოების შემდეგ მისი ცხედარი ნანგრევებში აღმოაჩინეს. 22 წლის ახალგაზრდა გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფიდან იყო. სოფელში მას დედა და ორი ძმა დარჩა. მამა მის გმირობას ვერ მოესწრო... მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მოვლა-პატრონობა გიორგიმ საკუთარ თავზე აიღო და თავისი მომავალი ქართულ ჯარს დაუკავშირა.

ლეილა ღუჭაშვილი, გიორგის დედა: - გიორგიმ ჯარში წასვლის გადაწყვეტილება მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. 6 დეკემბერს დაიღუპა ჩემი მეუღლე და 10 დეკემბერს გიორგის დაბადების დღეზე დავკრძალეთ. გიორგი 18 წლის სკოლაში გახდა. როგორც კი სრულწლოვანი გახდა მითხრა, რომ ჯარში წასვლა სურდა. მივხვდი, რომ გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა და წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი. ძალიან ვღელავდი ამ ყველაფრის გამო, მაგრამ მარწმუნებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება და აუცილებლად დავბრუნდებიო. ძალიან ბედნიერი და ენერგიული ბიჭი იყო. ყველას მიმართ სითბოს და სიყვარულს გამოხატავდა. ყველას მიმართ თანადგომის და დახმარების სურვილს გამოთქვამდა. როგორც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა.

დამოუკიდებლად იღებდა ყველა გადაწყვეტილებას. ავღანეთში წასვლაც თვითონ გადაწყვიტა. მე ძალიან ვღელავდი და ვეუბნებოდი, შვილო, არ წახვიდე-მეთქი. გიორგის გარდა კიდევ ორი ბიჭი მყავს და ბავშვობიდან ისე ვზრდიდი მათ, რომ ერთი დღე არსად არ დამიტოვებია. ამიტომაც ვთხოვდი, რომ არ წასულიყო. ვუთხარი, შვილო, მე ექვსი თვე ვერ გავძლებ და არ წახვიდე მეთქი, მაგრამ არაო! დამამშვიდა ჩამიხუტა და მითხრა, ნუ გეშინია, დავბრუნდებიო!... დღესაც თვალწინ მიდგას ის წამები, როდესაც სახლიდან გავაცილე, პირჯვარი გადავსახე და ღმერთს ვევედრებოდი მის დაბრუნებას! შიში მქონდა ყოველთვის, ეტყობა დედის გული გრძნობდა ამ უბედურებას, რაც მომივიდა! მართლაც ასე მოხდა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მოვიდნენ და გვითხრეს რაც დაგვემართა.

რამდენი რამ ვერ მოასწრო. შვილები მაინც დარჩენოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობრებმა და უახლოესმა ადამიანებმა მითხრეს, შეყვარებული ჰყავდა და ოჯახის შექმნაზე ფიქრობდაო. მაგრამ მერე ეს უბედურება მოხდა და აღარ დასცალდა. გიორგის გარდაცვალება ძალიან მძიმე იყო მთელი ოჯახისთვის. გიორგის გარდა კიდევ ორი ბიჭი მყავს, სოსო და ამირანი. ამირანი ყველაზე პატარაა, როგორც ყველას, მასაც ძალიან უმძიმს, იმდენად გაუჭირდა, რომ ტაძარში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. მამაოებთან არის და მისი ძმის სულის მოსახსენიებლად ლოცულობს!

მერი შინდიკაშვილი, რძალი: - გიორგისთვის ეს პირველი საკონტრაქტო იყო.

ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილება რომ მიიღო, წინააღმდეგობის გაწევა არც გვიფიქრია, რადგანაც ის მის გადაწყვეტილებაში კატეგორიული იყო. ჩასვლისთანავე დაგვიკავშირდა, დაგვამშვიდა, არაფერზე ინერვიულოთ ყველაფერი კარგად იქნებაო. ამ ამბიდან რამდენიმე დღით ადრე ვესაუბრეთ... გვარწმუნებდა, რომ ყველაფერი წყნარად იყო და არაფერზე უნდა გვენერვიულა. ძალიან ყურადღებიანი და გამორჩეული იყო, ყველაფერში დამოუკიდებელი ადამიანი. განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ოჯახის მიმართ. ერთი შვილი მყავს და მასზე გიჟდებოდა. ყველაფერს უსრულებდა და განსაკუთრებულ მზრინველობას იჩენდა მის მიმართ. თავად კი არ დასცალდა ოჯახის შექმნა და ვერც შვილებს მოესწრო, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან“...

გიული ღუჭაშვილი, გარდაცვლილი გმირის მამიდა: „გიორგის ორი ძმა ჰყავს, ერთ ეზოში ორი დიდი სახლი ძმებს მამამ აუშენა. ერთ სახლში ერთი ძმა ცხოვრობს ოჯახით, გიორგიმ კი ვერაფერი მოასწრო. მამის გარდაცვალების შემდეგ დედაზე და უმცროს ძმაზე პასუხისმგებლობა თვითონ აიღო და ჯარში წავიდა. დედამისს უთხრა, შენ აღარ იმუშავო და მართლა არაფერს აკლებდა ოჯახს. სამხედრო სამსახურისადმი ინტერესით ძმებს შორის ყველაზე მეტად გიორგი გამოირჩეოდა. მეზობლის ბიჭებს, რომლებიც ჯარში მსახურობდნენ, ხშირად ესაუბრებოდა იქაურობაზე და ჩვენც ვამჩნევდით, რომ ინტერესი დიდი ჰქონდა. როცა ხედავდა, მასზე დიდები მიდიოდნენ ჯარში, ამბობდა, მეც მალე წავალო. როდესაც სამხედრო სამსახურში წასვლა გადაწყვიტა, მე წინააღმდეგი წავედი, მაგრამ მის შეჩერებას ვერავინ შეძლებდა და არაფერი გამოგვივიდა! ამბობდა, ჯარი ვაჟკაცების საქმეა და ვერ გავჩერდებიო! მართალი აღმოჩნდა გიორგი, ჯარი მართლაც ვაჟკაცების საქმეა და დღეს ჩვენს ვაჟკაც ბიჭს მთელი ქვეყანა გლოვობს“!

სოსო ღუჭაშვილი, გიორგის ძმა: „გიოს დაღუპვამდე სამი დღით ადრე ვესაუბრე „სკაიპით“. ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მითხრა, კარგად ვარ, არ ინერვიულოთო. რას წარმოვიდგენდი, თუ სამ დღეში ასეთი უბედურება დაგვატყდებოდა თავს. იდეალური ადამიანი იყო და ვამაყობ, რომ ასეთი გმირი ძმა მყავს, ვერავინ იტყვის მასზე ცუდს“.

ლევან იორდანაშვილი, მამიდაშვილი: „მიხარია, რომ ასეთი გმირია ჩემი ბიძაშვილი. გმირობა და ვაჟკაცობა უნდა ჯარში წასვლას და სამშობლოს სამსახურში ყოფნას. სანამ წავიდოდა, წინა დღეებში ვნახე. შიში არასდროს დაუფლებია. პირიქით, მეტი ინტერესი ჰქონდა, სულ ამბობდა, ნეტავ, როდის წავალო. წავიდა და სამუდამო გმირად დაბრუნდა უკან!“

„ჩემი გამორჩეული შვილი, ჩემი გმირი ბიჭი, შენი სახე მენატრება, დედი!“ – ასე ტირის დღეს გიორგი ღუჭაშვილის დედა, რომელსაც ავღანეთში მყოფმა ქართველმა სამხედროებმა, გიორგის მეგობრებმა ლექსიც კი მიუძღვნეს:

„დედი, გიკვდები,
ხვალ უჩემოდ შეხვდები დილას...
დედი, ქართველი
იავნანით გამიშვი მიწას,
დედი, სამშობლო დავიცავი,
სამშობლო მიყვარს,
დედი, ბოლოჯერ ჩამეხუტე,
ნაომარს მძინავს!“

მეოთხე

კაპრალი

თეიმურაზ ორთავიძე

07.01.1988 - 06.06.2013



საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2009 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში დისლოცირებული ქართული ბაზა ტერორისტების მორიგი თავდასხმის სამიზნე გახდა. გავრცელდა ცნობა გარდაცვლილების და დაჭრილების შესახებ... იმ დღეს ამ სენსაციური ინფორმაციით დაიწყო დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებები. რედაქციაში ყველა ტელევიზორს მივუსხედით და ნერვიულად ველოდით, როდის გვამცნობდნენ გარდაცვლილთა და დაშავებულთა შესახებ რაიმე ინფორმაციას. თავდაცვის უწყებაში განცხადების გაკეთებას არ ჩქარობდნენ, სოციალური ქსელი მთლიანად ამ შემზარავმა ამბავმა მოიცვა... ხალხი დროულად ითხოვდა ინფორმაციის მიწოდებას. განცხადება მხოლოდ მას შემდეგ გაკეთდა, რაც თითოეული გარდაცვლილის ოჯახს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მომხდარი პირადად შეატყობინეს.

6 ივნისს სამხედრო ჩინოსნებმა ორთავიძეების კარზეც მიაკაკუნეს და ოჯახს თემურის გმირული გარდაცვალება შეატყობინეს. 24 წლის კაპრალი ყვარლის რაიონის სოფელ ენისელიდან გახლდათ. რამდენიმე წუთში ორთავიძეების სახლში თითქმის მთელი სოფელი შეიკრიბა. ამბავს გულგრილი არავინ დაუტოვებია. ოჯახის ახლობლები ყვებიან, რომ სამხედრო სამსახური თემურს ბავშვობიდანვე იზიდავდა, სკოლის დამთავრებისთანავე ჯარში წავიდა და შემდეგ „კომანდოში“ მსახურობდა. ახალგაზრდა ჯარისკაცმა ხანმოკლე სიცოცხლეში დაოჯახებაც მოასწრო, თუმცა შვილი არ ჰყოლია.

გმირი შვილის განვლილ ცხოვრებას მამა დღეს სიამაყით იხსენებს.

თეიმურაზ ორთავიძის მამა – თამაზ ორთავიძე: – სავალდებულო ჯარის მოხდის შემდეგ ჩემი შვილი ჯარში თავისი სურვილით დარჩა. არასოდეს არანაირი შიში არ ჰქონდა ჯარში ემსახურა და ქვეყნის სამსახურში ყოფილიყო. თავიდანვე დიდი ინტერესი ჰქონდა ჯარისადმი. სკოლის დამთავრების შემდეგ, სავალდებულო სამსახური უკვე ორხევში მოიხადა... იქიდან რომ დაბრუნდა შემდეგ საკონტრაქტოზე წავიდა...

პატრიოტი ადამიანი იყო და ქვეყნის სიყვარულის გამო გადაწყვიტა ავღანეთში წასვლა. არც ოჯახს გაგვიწევია წინააღმდეგობა. ეს მისი გადაწყვეტილება იყო და ყველა ვეთანხმებოდით. ძალიან პრინციპული ადამიანი იყო და ჩვენც მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემდით.

გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე ვესაუბრეთ. კარგად ვარ და არაფერზე ინერვიულოთო, აქეთ გვამხნევებდა ყოველთვის. მას არაფრის შიში არ ჰქონდა. ბავშვობიდან უყვარდა სამხედრო საქმე და იარაღი. სპორტსმენი იყო, საქართველოს ჩემპიონი იყო კინგბოქსში. ძალიან ძლიერი პიროვნება იყო ფიზიკურადაც. ბავშვობიდან მისდევდა სპორტს.

არ უყვარდა თავის პირად თემებზე ოჯახის წევრებთან საუბარი. მეუღლე ერთი წლის მოყვანილი ჰყავდა. შვილი არ ჰყოლიათ. უშვილოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. მის გარდა ერთი გოგო მყავს კიდევ. ძალიან გვიმძიმს მის გარეშე ცხოვრება, მაგრამ გულს იმით ვიმშვიდებთ, რომ გმირი შვილი გავზარდეთ და სამშობლოს შევწირეთ.



უამრავი ხალხი იყო დაკრძალვაზე ჩამოსული. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და სამინისტროს თანამშრომლები ჩამოვიდნენ. უკანასკნელ გზაზე დიდი პატივით გააცილეს ჩემი გმირი შვილი...“

ირაკლი გზირიშვილი, თემურის ბიძა:

„ავღანეთში ამ ტრაგედიიდან ორი თვით ადრე გაემგზავრა. თემოს გარდაცვალებას არამხოლოდ მთელი სოფელი, მთელი საქართველო გლოვობდა. სანათესავოში იშვიათია ისეთი ახალგაზრდა, როგორიც ის გვყავდა. რომ გაზრდი და იტყვი, კარგი შვილი გავზარდეო, ასეთი იყო. ყველა ამაყობდა ამ ვაჟკაცით. ამიტომაც ვერ წარმომიდგენია, რაც მოხდა, მაგრამ ეს არის გმირობა. ვაჟკაცი კაცი იყო და ვაჟკაცურად წავიდა ამ ქვეყნიდან. დამსახურებულად იწოდება გმირად ახალგაზრდა, რომელიც სამშობლოსთვის თავს ასე გაწირავს. ეს გვანუგეშებს. თავისი პრინციპით წავიდა იქ! ძალიან მწყინდა, იქ რომ მიდიოდა, თითქოს გული მიგრძნობდა! მაგრამ ძალიან პრინციპული ახალგაზრდა იყო. რომ იტყოდა, თავის სიტყვას არ გადაუხვევდა!“

კაპრალ თეიმურაზ ორთავიძისთვის შეურაცხმყოფელი გახლდათ იმაზე საუბარი, თითქოს ავღანეთში ქართველი ბიჭები მხოლოდ ფინანსური დაინტერესების გამო მიდიოდნენ. მისი მთავარი მოტივაცია ქვეყნის სამსახური იყო. საკუთარი მოტივაციის შესახებ ბიძას ავღანეთში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ესაუბრა.

„სანამ წავიდოდა, ერთი კვირით ადრე ვესაუბრე. სულ ჯარზე ლაპარაკობდა. ნამდვილი მეომარი იყო და არასდროს არაფრის შიში არ ჰქონია. ჯარზე იმდენად იყო შეყვარებული, რომ ამბობდა, მთელი ჩემი ცხოვრება ჯარში უნდა გავატაროო. სკოლის დამთავრებიდან სულ სამხედრო ფორმაში იყო“, – გვიყვება თემურის ბიძა.

ვერ გეტყვით, წინათგრძნობა იყო თუ უბრალო დამთხვევა, მაგრამ ოჯახს გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე დაუკავშირდა, დაამშვიდა და დაემშვიდობა.

„ტელეფონით ესაუბრა მშობლებს და ახლობლებს. უთხრა: ჩემზე არ იფიქროთ, არ ინერვიულოთ, მე ძლიერად ვარ, კარგად ვარ და თქვენზე მეფიქრებაო. მეუღლე ახალი მოყვანილი ჰყავდა და ასე გაგვიუბედურდა ის გოგოც. ისეთ დღეში ვართ, არ ვიცი, როგორ გადავიტანთ ამ ყველაფერს. პაპის გაზრდილია და პაპამისი გადარეული იყო. ვეხვეწებოდი, არ წახვიდეო და მეუბნებოდა, – არა, წავალ და ჩვეულებრივ ჩამოვალო! რა ვიცი, ბედისწერის ამბავიც არის, ალბათ!“

თეა სიჭინავა

იმ დღეს მეც ჭირისუფალი ვიყავი

ცხრას აკლია ოცი წუთი... მე ეთერში ვარ, სტუმრებთან ერთად ვმსჯელობთ პოლიტიკურ თემებზე. ჩემი პროდიუსერი მაია თაბაგარი კადრს მიღმა მატყობინებს, რომ რამდენიმე წუთში თავდაცვის მინისტრის საგანგებო ბრიფინგი იგეგმება და რა დროც არ უნდა იყოს ის ეთერში უნდა გავუშვათ...

ნეტავ რა ხდება? - დავიწყე ფიქრი.

საგანგებო ბრიფინგი... თან თავდაცვის მინისტრის. როგორც ჩანს, საქმე სერიოზულ საკითხს ეხება.... დავიძაბე. ფიქრებით ჩემი გადაცემის თემას მოვწყდი, სტუმრებსაც აღარ ვუსმენ. კითხვის დასმა მინდა: რა თემაზეა ბრიფინგი, მაგრამ ეთერში ვარ და ვერ ვახერხებ.

ავღანეთი?...

არა, ავღანეთში სულ ახლახანს გვქონდა მსხვერპლი, თვეც არ გასულა, - ვეკამათები საკუთარ თავს?!

როგორც იქნა პროდიუსერი მატყობინებს, რომ მინისტრი უკვე ტრიბუნასთან დგას:

ჰელდმანის პროვინცია, 6 დაღუპული, 20-მდე დაჭრილი, ერთი დაკარგულია...

ეს ის მომენტია, როდესაც საკუთარი ემოცია უნდა მართო. განსაკუთრებით რთულია ამის მოხერხება პირდაპირ ეთერში. მწუხარება, ტკივილი, გაბრაზება, ყველაფერი ერთმანეთში ირევა. მერე უფრო რთულდება, როდესაც შესაბამისი სიტყვების მოძებნა გიჭირს, ხანდახან სულაც ვერ პოულობ. ერთადერთი, რასაც თავი მოვაბი - ეს სამძიმარია.

აღმოჩნდა, რომ ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ მე არ ვარ. ინფორმაციის მიღების შემდეგ ჩემს სტუმრებს აზრის გადმოცემა ჩემზე მეტად გაუჭირდათ.

კითხვები, რომლებიც იმ მომენტში გებადება, ასე ჟღერს: მერამდენედ? რატომ? ვის ომში? თუმცა ყველა კითხვის ხმამაღლა დასმა არაკორექტულიცაა, იმიტომ რომ მათ, ვინც ასე შორს წასვლა გადაწყვიტეს, ალბათ, ამ კითხვებზე პასუხიც აქვთ. თუნდაც არ ჰქონდეთ, ეს მათი არჩევანია, ამ არჩევანის პატივისცემა კი ჩვენი ვალი.

გადაცემის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ მეშვიდე ჯარისკაციც დაღუპული იპოვეს...

ამ თემას ზედმეტი სიტყვები არც უხდება. ეს ისეთი ტკივილია, როდესაც მთელი საქართველო, თუნდაც ჩვენთვის უცნობი ადამიანების დაკარგვის გამო, ჭირისუფალი ხდება. იმ დღეს ჭირისუფალი ვიყავი მეც, სამწუხაროდ, პირველად არა, მაგრამ იმის იმედით, რომ პირდაპირ ეთერში აღარასოდეს მომიწევს ასეთი მძიმე გადაცემის წაყვანა და საჭირო სიტყვების ძებნა...

მეოთხე

კაპრალი

გიორგი ადამოვი

23.05.1990 - 06.06.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2009 წლიდან. დაიღუპა 2013 წლის 6 ივნისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

6 ივნისი, ავღანეთი, ჰელმანდის პროვინცია, 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ბაზა, საქართველოს დროით - 4 საათი... თვითმკვლელმა ტერორისტმა ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტი განახორციელა. თავდასხმას 7 ჯარისკაცი შეეწირა. მათ შორის იყო გიორგი ადამოვი.

გიორგი სამხედრო სამსახურში 2009 წლიდან მსახურობდა. ეს მისი პირველი გასვლითი მისიის შესრულება იყო, რომელსაც წინ მოსამზადებელი კურსების გავლა უძღოდა. სპეცმომზადება ადამოვმა გერმანიაში გაიარა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო უფლება ავღანეთში მოეხადა საკუთარი ვალი ქვეყნის წინაშე.

ჯარისკაცობა გიორგის ბავშვობის დროინდელი ოცნება იყო. გმირობის შესახებ ისტორიებს მისი ბიძა უყვებოდა, რომელიც ასევე სამხედრო იყო და რომლის გამოც მისი მშობლები სულ ამაყობდნენ. სწორედ ბიძის სიყვარულით და მისი ისტორიების გამო გადაწყვიტა პატარა გიორგიმ სამხედრო გამხდარიყო. მასაც უნდოდა მის მშობლებს საკუთარი მოღვაწეობით ეამაყათ. ის საქართველოს გმირია და მისით, არამხოლოდ მშობლები, მთელი საქართველო იამაყებს.

გიორგის მამა ნუგზარ ადამოვი ყოველთვის სიამაყით ამბობდა, რომ მისი შვილი ავღანეთში მსახურობდა. გიორგი ხშირად ახერხებდა მშობლებთან დარეკვას და მათ დაწყნარებას. ბოლოს მაშინაც დარეკა, როცა ავღანეთში სამი ჯარისკაცი დაიღუპა. ოჯახმაც კიდევ ერთხელ ამოისუნთქა, ამჯერადაც გადავრჩითო, თუმცა ეს ბოლო იღბლიანი დღე აღმოჩნდა... გიორგი ოჯახის ერთადერთი ბიჭი იყო... უფროსი და დღეს ძმის გმირულ ამბავს თვალცრემლიანი იხსენებს...

დალი ადამოვი (გიორგი ადამოვის და): -მე ჩემს ძმაზე 11 წლით დიდი ვარ. ძალიან საყვარელი, თავიდანვე უცნაური ბავშვი იყო, კეთილი, არაჩვეულებრივი. ჩვენი ოჯახი გაჭირვებული არასოდეს ყოფილა. თბილი და მოსიყვარულე ოჯახი გვქონდა. ისეთი მშობლები გვყავდა ხმამაღალი სიტყვა სახლში არ თქმულა. სულ სითბოში და სიყვარულში ვიზრდებოდით. გიორგიმ სკოლა კარგად დაამთავრა, ფრიადოსანი არ ყოფილა, მაგრამ კარგი ბიჭი იყო ყოფაქცევით, ქუჩაში არ მდგარა არც ერთი წუთით. როცა გაიზარდა, აირია ქვეყანა. უმაღლესში არ ჩააბარა. ნიჭიერი ბიჭი კი იყო, მაგრამ არ იყო მისი მისწრა-

ფება, მაინცდამაინც დიპლომი ჰქონოდა. უფრო ვაჟკაცური სულის იყო, პერიოდიც ისეთი დაემთხვა, რომ სულ სამხედრო სამსახურისკენ მიუწევდა გული. ტელევიზორშიც სულ აცხადებდნენ, რომ მიღებები იყო ჯარში. ერთხელ მოუსმინა, ორჯერ და ერთხელაც თქვა, სახლში რა უნდა გავაკეთოო. სახლში არასდროს ყოფილა, ხან ეკლესიაში მუშაობდა სხვადასხვა საქმეებზე, სულ რაღაცას აკეთებდა. თოხზე და ბარზეც შეეძლო ემუშავა. არასდროს ყოფილა ისე, რომ დედისგან მოეთხოვა ფული. მან გადაწყვეტილება მიიღო სამხედრო სამსახურში წასულიყო. ვცდიო, თუ შევძლებ შევძლებო. დედამ, ოღონდ ჯარი არ მიხსენო შვილო და რაც გინდა ის გააკეთეო. ჩუმად გააკეთა საბუთები, სულ დამოუკიდებლად, არც ვიცოდით. თქვა, რომ ერთი დღით თბილისში ჩავალო და მალე წამოვალო. დაჟინებით რომ ვკითხეთ რა გინდა თბილისშიო, ასე და ასეო, საბუთები გავაკეთეო და ნორმატივები უნდა ჩავაბაროო. ჩავიდა და საღამოს ჩამოვიდა. ისე უხაროდა... ჩემს გარდა ვერავინ შეძლო ჩაბარება, მარტო მე მიმიღესო... მართლაც მხედრული სულისკვეთებით შევიდა ჯარში. შევიდა და შევიდა, მერე წინააღმდეგობასაც ვეღარ ვუწევდით. მერე კარანტინიც კარგად, ვაჟკაცურად გაიარა და ჩაირიცხა ვაზიანში 42-ე ბატალიონში. შეუყვარდა ჯარი, მეგობრები, ძმაკაცები იქაც ყველას უყვარდა და ძალიან პატივს სცემდნენ. რომ ამბობენ, ავღანეთში გაჭირვების გამო მიდიანო, ეს ასე არ ყოფილა, ამ ერთადერთ შვილს ვფიცავარ, უბრალოდ, ასეთი ვაჟკაცი ბიჭი იყო. უნდოდა თავისი ქვეყნის სამსახურში ყოფნა. როცა ავღანეთში დააპირა წასვლა, ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით, მაგრამ გვითხრა, რომ მოვკვდე, მაინც წავალ, თავს არ შევირცხვენ და უარს არ ვიტყვიო.

საცოლე ჰყავდა. ფიქრობდა, ჩამოვიდოდა და ცოლად მოიყვანდა, უგონოდ უყვარდა, ჩემს სიცოცხლეზე მეტად მიყვარსო - ერთხელ გვითხრა. ძალიან მიყვარდა ჩემი ერთადერთი ძამიკო და მინდოდა, რომ ძალიან ბედნიერი ყოფილიყო.

სანამ ავღანეთში წავიდოდა, ერთი კვირით ადრე, თავისი საცოლე ჩამოგვიყვანა, გაგვაცნო. წასვლამდე ორი დღით ადრეც ჩამოვიდა, ისეთი ბედნიერი იყო, ლიზიც თან ჰყავდა. ლიზი ჰქვია ჩემი ძმის საცოლეს... ვიდეოც გვაქვს გადაღებული. ეს გაცილება თვალებიდან არ გამომდის, სულ ცეკვავდა, სულ მხიარულობდა, არც ერთი ცრემლი არ დავინახოო. რომ ჩამოვალ, მერე მე ვიცი რასაც ვიზამო და დილით, უთენია, 4 საათზე ადგა, დაგვემშვიდობა ყველას, ჩაგვეხუტა და აღარც მოიხედა, ისე წავიდა... ცრემლი არ დამანახოთო... მერე დარეკა, ჩავედითო. ერთ დილას დარეკა და ყველას გველაპარაკა, მეც, დედასაც, მოგვიკითხა, მენატრებითო, მალე ჩამოვალო და რამდენიმე საათში მოვიდნენ, რომ გარდაიცვალაო და აღარ არისო.

ეს ჩვენთან ბოლო საუბარი აღმოჩნდა, დილის შვიდ საათზე ველაპარაკეთ, თან გამაღვიძა და მაშაყირებდა გაგაღვიძე არაო? ხომ ხედავ აქაც არ გასვენებო, გამეხარდა გიორგის ხმა, სულ დაწყნარებული ვიყავი. მერე გადავურეკეთ ერთმანეთს და ყველას ელაპარაკა თურმე. ჩვეულებრივი დღე იყო... მისი ხმა რომ გავიგეთ დავმშვიდდით... დღის ბოლოს კი მოვიდნენ და ეს საშინელი ამბავი შეგვატყობინეს... ჩვენ სახლში ამის მერე აღარავის გაუცინია...

ძალიან თბილი ადამიანი დავკარგეთ, სიგიჟემდე უყვარდა თავისიანები და სულ უნდოდა, რომ ყველასთვის რაღაც პატივი ეცა. მიზნად ჰქონდა, ცოლს მოვიყვან, შვილები მეყოლება და სახლს ლამაზად გავაკეთებო, ცალკე ვიცხოვრებო.

ძალიან თავისებური იყო, არასოდეს იტყოდა, რომ რაღაც სჭირდებოდა. თავის მიზანს თვითონვე აღწევდა. ძალიან ალალი იყო, შეეძლო თავისი საკუთარი მაისური გაეხადა და სხვისთვის მიეცა და

გულიც არ დაწყდებოდა. ძალიან ცელქი ბიჭი იყო, ძალიან ბევრი მეგობრები ჰყავდა, უამრავი. ბავშვობაში არასდროს გამოუთქვამს პრეტენზია, რომ რაიმე უნდოდა. სკოლა რომ დაამთავრა დამოუკიდებლად გადაწყვიტა სამხედროში წასვლა. ალბათ, ჯარისკაცის გზა იყო მისი უმთავრესი მიზანი და მიაღწია კიდეც. დღეს მე გმირი ძმის და ვარ, მაგრამ ძალიან მტკივნეულია მის გარეშე ყოფნა...

ზვიად ნადიბაიძე, გიორგი ადამოვის მეზობელი:

- გიორგის ძალიან კარგი მშობლები ჰყავს, დაოჯახებული არ იყო და შესაბამისად, თვითონ არც შვილი დარჩენია და არც ცოლი. ახალგაზრდა მშობლები ჰყავს, წყნარი, ზრდილობიანი, კულტურული და შეუმჩნეველი ხალხი იყვნენ მთელს სამეზობლოში. ჯარში დიდი ხანი არ იყო რაც მსახურობდა. ავღანეთში აპრილში წავიდა. თავიდან სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა და შემდეგ უკვე კონტრაქტი გააფორმა. 4 წელი მსახურობდა ჯარში და ახლა მოუწია ავღანეთში წასვლა.

ყოველთვის უნდოდა სამხედრო სამსახურში ყოფილიყო. ბავშვობიდან იტაცებდა ეს საქმე, სულ ამბობდა, უნდა წავიდეო. როცა ავღანეთში გადაწყვიტა წასვლა, თავიდან ამბობდა, ოჯახის წევრებს არ ვეტყვი, ინერვიულებენო... მაგრამ ოჯახმა მაინც გაიგო და წინააღმდეგობა არც გაუწევიათ. პირიქით, ძალიან ამაყობდნენ თავიანთი შვილით.

მამამისი ყოველთვის სიამაყით ამბობდა, ჩემი შვილი ავღანეთში მსახურობსო... დედამისი ძალიან მძიმედ არის, შვილის დაღუპვის ამბავი რომ გაიგო, თავის მოკვლა უნდოდა და ფანჯრები აუჭედეს, რომ ჩუმად არ მოეკლა თავი. თვითონ გიორგი ძალიან წყნარი და უწყინარი ბავშვი იყო. ძალიან უყვარდა ყველას, ძალიან კეთილი იყო. ძალიან კარგი, ვაჟკაცი მეზობელი დავკარგეთ.

მეოთხე

კაპრალი

ნუგზარ კალანდაძე

27.07.1989-30.09.2010

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს, სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

2010 წლის 30 სექტემბერს კალანდაძეების ოჯახი ავღანეთიდან შვილის ზარს ელოდა. იცოდნენ დარეკავდა და თავის ამბებს მოუყვებოდა, შემდეგ, შეშინებულ დედას დაამშვიდებდა და დაბრუნების პირობას მისცემდა. ზარი იგვიანებდა... იმ დღეს დედამ შვილის ხმა ვერ გაიგო... სატელეფონო ზარის ნაცვლად, კალანდაძეების ოჯახში უამრავი ადამიანი მივიდა, მწუხარების გასაზიარებლად...

კაპრალი ნუგზარ კალანდაძე ბავშვობიდან სამხედრო შემართებით იზრდებოდა... ეს თავად მოუნდომებია... ბავშვობიდან სამხედრო სამსახურის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გამოუმჟღავნებია და გადაწყვეტილებაც ყრმობის ასაკში მიუღია - ის ჯარისკაცი უნდა გამხდარიყო. საყვარელ საქმესთან ურთიერთობა სავალდებულო სამსახურით დაიწყო. სავალდებულო სამსახურის წარმატებით დასრულების შემდეგ, ნუგზარ კალანდაძემ, სამხედრო სამსახურში დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო. როგორც დედა, მარო კალანდაძე ამბობს, „ნუგოს“ თავისი საქმე ყველაზე მეტად უყვარდა... დედა გრძნობდა, რომ ის სამშობლოს ახალ ქართველ გმირს უზრდიდა...

მარო კალანდაძე, ნუგზარის დედა: „სკოლის დასრულებისთანავე ჩემმა შვილმა სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. იარაღისადმი განსაკუთრებული ინტერესით ნუგზარი ბავშვობიდან გამოირჩეოდა, პატარა იყო, მაგრამ სანადიროდ წასული ისეთი ნანადირევით დაბრუნდა სახლში, გაოცებას ვერ ვმალავდით. ბავშვობიდან ჯარისკაცების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. ყურადღებიანი, ერთგული, თბილი და მოსიყვარულე იყო. ტელევიზორში სულ სამხედრო თემატიკაზე მომზადებულ ფილმებს უყურებდა და მეც ვამჩნევდი, რომ ინტერესი ჰქონდა. ამ ინტერესს კი მუდამ შიშით შევცქეროდი, ვგრძნობდი, რაც უნდა მომხდარიყო და, ალბათ, ამით იყო განპირობებული ჩემი შიში ამ საქმის მიმართ. ჯერ კიდევ სავალდებულო სამსახურში ყოფნის დროს გამანდო გადაწყვეტილება... დედა, ეს არის ადგილი სადაც მე უნდა ვიყო, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს და გეხვეწები არ შემეწინააღმდეგოო... წინააღმდეგობის გაწევა არც მიფიქრია, რადგან ვგრძნობდი, ვერაფერს გავხდებოდი. როდესაც ავღანეთში წასვლის შესახებ გავიგეთ, ასე მითხრა, დედა, ავღანეთში ახლაც წავალ და შემდეგ მისიებსაც გავყვებიო... არავითარი შიში არ ჰქონია. „ნუგო“, ასე ვეძახდით ოჯახის წევრები, ნუგოსთვის ეს პირველი საკონტრაქტო სამსახური იყო. მახსოვს, 2008 წლის მოვლენების დროს კოდორში ჰყავდათ წაყვანილი, იქიდ-

ან დაბრუნებული, ორი თვის მანძილზე იყო სახლში... ყოველდღე ურეკავდა მეგობრებს, რას შვრებით ბიჭებო, არ უნდა გამომიძახოთო... ძალიან ღელავდა... ერთ დღეს გახარებული მოვიდა სახლში, დედა, გამომიძახეს და ისევ ჯარში მივდივარო! მაგრად ჩავიხუტე ჩემი შვილი, ვგრძნობდი, რომ ბედნიერებისგან ქვეყანაზე არ იყო! ზუსტად ასეთივე შემართებით წავიდა ავღანეთში, იქ ჩასვლის შემდეგ ხშირად გვირეკავდა, გვეკონტაქტებოდა, ყველაფერი კარგად არის, არაფერზე ინერვიულოთო... სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, რამდენიმე დღით ადრე ველაპარაკე. მითხრა, დედა, ველარ დაგირეკავ, ისეთ ადგილას მივდივარ, იქ ტელეფონი არ იჭერს და რომ ჩამოვალ აუცილებლად დაგირეკავო. 30 სექტემბერს, იმ ავბედით დღეს, ველოდი მე ჩემი ვაჟის ზარს, ველოდი, რომ დამირეკავდა და მეტყოდა, დედა, კარგად ვარ მალე ჩამოვალო! მაგრამ 30 სექტემბერს სულ სხვა რამის მოწმე გავხდი... ჩემი სახლის ტელეფონზე ავღანეთიდან ჩემი შვილის ზარი არ შემოსულა... სამაგიეროდ ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა ჩემთან... 30 სეტემბერს, ღამის ორ საათზე გავიგე ეს ყველაფერი, იაშვილის კლინიკაში ვმუშაობდი, იქ მომაკითხეს სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა და იქ მითხრეს მომხდარის შესახებ.

ისე წავიდა ჩემი შვილი ამ ქვეყნიდან, რომ არაფერი დარჩენია, მაგრამ ჩემმა შვილმა გმირობის მაგალითი დატოვა და მე ამ გმირობით ვცოცხლობ დღეს...

ერთ თვეში ავღანეთში მისი მისია იწურებოდა. ერთ თვეში ის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო გამარჯვებული, იმით, რომ საქმეს თავი წარმატებით გაართვა. ამაყი იყო, რომ ასეთ მნიშვნელოვან მისიას ასრულებდა და ზუსტად იცოდა, რომ ამას მისი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვ-

ის აკეთებდა. ვაჟკაცი იყო გულით, სული კი პოეტური ჰქონდა... დედას უკანასკნელი სახსოვარიც გაუკეთა, ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსის კითხვისას, დღეს, გმირის დედა, ტკივილთან ერთად, სიმაყესაც გრძნობს, მისი ნუგზარი გმირია, რომელიც სამაგალითო უნდა გახდეს მომავალი თაობისთვის და მისი ნათესავებისთვის...

ზურაბ კალანდაძე, ბიძაშვილი: „ნუგზარი გამოირჩეოდა ჩვენს ნათესაობაში. ძალიან კარგი ადამიანი იყო და ბიძაშვილობაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა. ავღანეთში წასვლამდე გერმანიაში გადიოდა სწავლებას. ძალიან უხაროდა სამხედრო სამსახურში ყოფნა. ერთი თვე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ ამ ერთ თვეში მოხდა ეს უბედურება და ასე დაასრულა სიცოცხლე... ნუგზარი ამ საქმისთვის იყო დაბადებული“.

ვეფხვია მაჭარაშვილი, ბიძა: „ნუგო ჩემს ხელში გაიზარდა, ჩემ თვალწინ აიდგა ფეხი, განსაკუთრებულად მიყვარდა... დღეს ძალიან ამაყი და ბედნიერი ადამიანი ვარ იმით, რომ ასეთი გმირი ბიჭი გავზარდეთ... ყველასთვის სამაგალითო და მთელი ქვეყნისთვის საამაყო“...

დედისთვის მიძღვნილი ლექსი ქალბატონმა მარომ ნუგზარის გარდაცვალების შემდეგ მის დღიურში იპოვა, და დღესაც უბის წიგნაკით ატარებს...

დედა

„შენით ღამდება, შენით თენდება,
ჩემო ძვირფასო დედავ,
გთხოვ, მაპატიე შენი სიცოცხლე
მე თუ გიქციე ცრემლად...
დედა, შვილისთვის ყველაფერია,
შვილი დედისთვის - სევდა...
ფიქრით გაჭაღარავდი
განა ვერ გამჩნევ, გხედავ,
გკოცნი, გეხვევი, გეალერსები,
თვალცრემლიანს რომ გხედავ.
შეცდომებს აღარ გავიმეორებ
თუ კი მეორედ მოვალ!
უცებ ბავშვივით გადავიქცევი,
როცა მომაპყრობ მზერას.
წარსულს, დღევანდელს და მომავალსაც,
ბავშვის თვალებით ვხედავ!
იმედიანი დღე ხვალინდელი,
თუ გათენდება ნეტავ...
ქვეყნად ორია ჩემი მშველელი,
მაღლა ღმერთი, აქ - დედა“.

ნუგზარ კალანდაძე

არჩილ გამზარდია

ავღანეთში დაღუპული ბიჭების სამახსოვროდ

ჩემი ბავშვობის ამხანაგი ორიოდე წლის წინ შემთხვევით შემხვდა ქუჩაში, გაზრდილი და დაკაცებული, თუმცა, ბავშვობის დროინდელი ემოციითა და გულწრფელობის შენარჩუნებით... ასეთ შეხვედრებს ასაკი არ ცვლის ხოლმე... შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენს ცნობიერებაში წლები არ გადის ხოლმე და კვლავ ბავშვობის ასაკს ვუბრუნდებით, შეიძლება იმიტომაც, რომ გაზრდით გაუცხოებაში ძველს, ნაცნობსა და ახლობლურს ვეძებთ ხოლმე.

მომიყვა, რომ ავღანეთში მსახურობდა, სამხედროს კარიერას ეუფლებოდა. ვერ ვიტყვი, რომ მისალოც ფაქტად მივიღე სიახლე, მაგრამ როგორც ვაკეთებთ ხოლმე, სასიამოვნო ფაქტის ელფერი მივეცი და წარმატება მივულოცე. საუბარს მაინც მოვაყოლე, რომ ძალიან ძნელი იქნებოდა, ოჯახისა და სამშობლოს იქით გადახვეწილისათვის მოღვაწეობა, მით უმეტეს, როდესაც სამსახურს სამუშაო კიარა, მსახურება ერქვა, რისკიცა და უმადლობო თავგანწირვაც ნაკლებმოტივაციური და ანაზღაურება კი ისეთი, საშუალოდ საზღვარგარეთ წამსვლელისათვის შესაფერისი, საქართველოში არსებულ ანაზღაურებაზეც რომ ბევრთან ვერ მოიწონებდა თავს.

ამის შემდეგ მისი ნახვა აღარც მოხერხებულა, მხოლოდ ერთ დღეს მისი ფოტო გარდაცვლილთა სიაში ვნახე და ჩვენი საუბარი გამახსენდა იმ მოყოლილ კომენტარებს, რაც ავღანეთში ქართველების მსახურებას შეეხებოდა;

ავღანეთში ქართველების ტრაგედიისთვის საქართველოს არ უპასუხია ღირსეულად, არც შესაფერისად, არც თანაგანცდითა და არც ადეკვატურობით: ზოგმა მათი სიკვდილიც კი გაასაიდუმლოვა, რათა ჩვენ ერს არ გაეგო შესაძლო პოლიტიკური ინტერესების ტრაგიკული ფასი. ზოგმა სხვის ომში მეომრებად მოიხსენია ჩვენი ბიჭები და ფულად გაყიდვადაც მონათლა, ზოგმა ჯერ არ ნახულ გმირობად შეაფასა, ზოგმაც პოლიტიკურ ინტერესებად; თავად პოლიტიკოსებიც, ჩანს, არც ისე ბუნებრივად მიყვნენ პროცესებს და სარფიანი აქტივობის შანსიც გამოიყენეს, დაქირავებულ ფოტორეპორტიორების იმედად პრომოაქტებსა და თვითპრეზენტირებას ეწეოდნენ... ერთი სიტყვით, ფაქტები ფაქტად მოხდა და მაყურებლებმა კი ლამის ჩვენ ჩვენი წილი ინტერესი გავატარეთ ამბავში.

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ დავფიქრდი, ან მათთვის რა იყო ავღანეთი? - მხოლოდ სამუშაო?.. ქვეყნის მსახური?.. პირადი ინტერესი?.. პროფესიული ვალდებულება?.. ან ჩვენთვის რა იყო მათი ავღანეთი? - სათქმელის მიზეზი ნებისმიერი კომენტარისათვის?.. პოლიტიკოსთა გაქილიკების ან ზოგადად, ჩვენი შინაგანი აგრესიის გამოხატვის კიდევ ერთი საშუალება?.. ჩვენი იდენტობის მტკიცება თუ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება?..

ალბათ, ამ შეკითხვებზე პასუხის მოძებნა მხოლოდ ინტუიციურად იქნება ადვილი, შესაგრძნობად კი ბევრად ძნელი.

მომხდარი, ჩემთვის არც ჯერ არ მომხდარი გმირობის ტოლფასი გახდა... არც სხვის ომში ბრძოლა... მით უმეტეს არც ფულის გამო მსახურება... ჩემთვის ეს ყველაფერი ჩემი ძველი ამხანაგის ერთ ნათქვამად დარჩა, როდესაც ვკითხე, ასე შორს, რა ინტერესი ან რა თანხად ღირდა მსახურება ან ცხოვრება, მაშინ ჩემმა ამხანაგმა მშვიდად მითხრა: „ოჯახის რჩენა ნებისმიერი ოჯახის მამის ვალდებულებაა, მაგრამ შემოსავალიც შეიძლება მრავალნაირად მოიძიო, მათ შორის ღირსეული საქმითაც და უღირსოთიც, რომელიც ხშირად ბევრად უფრო ანაზღაურებადია ან ნაკლები რისკითა და ნაკლები ტრაგიზმით და არა ოჯახსა და ქვეყანას მოშორებულად, სიკვდილთან ბრძოლაში... მაგრამ... აი, რა გითხრა, მგონია, რომ საქმე მადლიანია, თუ კი ქვეყნის სახელით გამოდიხარ... და თუ მისია ბოლომდე შესრულდა, ქვეყანაც მოიგებს და შთამომავლობაც დამიფასებს“...

ჩემი დაბადებიდან მოყოლებული, სამშობლო ჯერ მოგებული არაფერში მინახავს, არც შეწირულთა სულების მადლიერება შემიმჩნევია, მცირე პერფორმანსებისა და პოლიტიკოსების კეკლუცობის ივენთების იქით...

ტრაგიკული დღეები და დაობლებული ოჯახები კი არაერთი, საქართველოსთვის შიდა ომებიდან დაწყებული - საქართველოსათვის გარე ბრძოლებით დასრულებული...

ავღანეთიც ერთი უბრალო და რიგითი, ჯერჯერობით უშედეგო, მაგრამ საჭირო მისიად დარჩა... რომელმაც შესაძლოა, დღეები ისე მიითვალოს, შეპირებული გასამრჯელოც ვერ მიიღოს საქართველომ.

მეოთხე

კაპრალი

გიორგი კოლხიტაშვილი

3.03.1989 - 30.09.2010

მესამე ქვეითი ბრიგადის 31- ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს სამხედრო დავალების შესრულების დროს, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

21 წლის კაპრალმა გიორგი კოლხიტაშვილმა სამშობლოს სამსახურში ყოფნის გადაწყვეტილება 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიიღო. იმხანად, გიორგის უფროსი ძმა, გელა კოლხიტაშვილი, სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა და ომში იბრძოდა. ოჯახის წევრები გიორგის სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ბავშვობიდან ამჩნევდნენ, მაგრამ, იმის გამო, რომ ერთი შვილი სამხედრო იყო, დედა მეორე ბიჭს ჯარში წასვლაზე წინააღმდეგობას უწევდა. წინააღმდეგობა ოჯახის მხრიდან იქამდე გაგრძელდა, სადამდეც შესაძლებელი იყო. 2008 წლის აგვისტოში გიორგი ოჯახის წევრებს სახლიდან გაეპარა და ომში წავიდა. მიუხედავად ქართველი ახალგაზრდის განსაკუთრებული აღტკინებისა, გიორგიმ ბრძოლის ველამდე ვერ მიაღწია. სამხედრო პოლიციის თანამშრომლებმა კონფლიქტის ზონის მისადგომებთან მისული ახალგაზრდის შემჩნევა და შეჩერება ოპერატიულად შეძლეს და სახლში დააბრუნეს. როგორც გიორგის დედა, ნათელა კოლხიტაშვილი, იხსენებს, იმ წუთიდან მისთვის უკვე ნათელი იყო, რომ ის შვილის გაჩერებას ვერ შეძლებდა. აგვისტოს ომი დასრულდა და გიორგი ქართული არმიის რიგებში 33-ე ბატალიონში ჩაირიცხა. სამხედრო სამსახურში თავიდანვე განსაკუთრებული მობილიზებით გამოირჩეოდა, მუდამ მოწესრიგებული და საქმეზე ორიენტირებული იყო. იმხანად ავღანეთში წასასვლელად 31 ბატალიონი ემზადებოდა, გიორგი კი 33-ში ირიცხებოდა. ახალგაზრდა, სამხედრო მოსამსახურემ ავღანეთში წასასვლელად ენერგია და მონდომება არ დაიშურა, სპეციალური მომზადების კურსები საკუთარი სურვილით გაიარა, ყველა გამოცდას წარმატებით გაუძლო, 31-ე ბატალიონში გადავიდა. ავღანეთში წასვლიდან რამდენიმე თვეში კი იწყება ქართველი გმირის გიორგი კოლხიტაშვილის გმირობის რეალური ისტორია...

ნათელა კოლხიტაშვილი, გიორგი კოლხიტაშვილის დედა: „გიორგის სამედრო სამსახურისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ბავშვობიდან ვამჩნევდი, იარაღისადმი სიყვარული და ჯარისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, მიუხედავად ამისა, მე ჯარში მისი წასვლის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ჩემი უფროსი შვილი, გელა, სამხედრო სამსახურში ირიცხებოდა, კარგად ხედავდა გიორგი როგორ ვღელავდი მასზე და

ამიტომაც სანამ შესაძლებელი იყო მისი შეჩერება, მაქსიმალურად შევაჩერე. 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორც ყველამ, ჩემმა ოჯახმაც გამოიარა. ჩემი მეორე შვილი ამ პერიოდში აგვისტოს ომში იბრძოდა, გიორგის კი ამ ომის დროს უფრო მეტად ჰქონდა მომძლავრებული ომში წასვლის სურვილი. როდესაც ტელევიზიით კადრებს გადმოსცემდნენ, ვხედავდი, რომ განსაკუთრებით ღელავდა, აშკარა იყო, რომ ჩემს შვილს ომში სურდა ყოფნა, სამშობლოს სამსახურში ხედავდა საკუთარ თავს, ალბათ, ამიტომ. ცოტა ხანში რუსებმა სენაკის ბაზა აიღეს, ამ ბაზიდან ბევრ სხვა ნაქურდალთან ერთად ჩემი შვილის გელას ტელეფონიც წაუღიათ. გიორგი სულ ურეკავდა თავის ძმას და ერთ-ერთ ზარზე რუსმა სამხედრომ უპასუხა. გიორგიმ ჩათვალა, რომ მისი ძმა უკვე ცოცხალი არ იყო და სახლიდან გაიპარა. მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ვერ წარმომედგინა თუ ომში გამეპარებოდა. ორი დღე ფეხით უვლია, იმისთვის, რომ ომის წერტილამდე მისულიყო, თუმცა იქამდე მიღწევა ვერ შეძლო, რადგან სამხედრო პოლიციას მისი შემჩნევა

არ გასჭირვებია და უკან მოაბრუნეს. საერთოდ, ძალიან უშიშარი ბიჭი იყო და ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილება მისთვის განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენდა. აგვისტოს ომიც დასრულდა და გიორგის შეჩერება ვერავინ შეძლო. მითხრა, დედა მე სამხედრო სამსახურში მივდივარ და ამ აზრს უნდა შეეგუოო.

მალევე მიიღო ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილებაც, ეს პირველი საკონტრაქტო იყო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ იმ ბატალიონში მიეღოთ, რომელიც ავღანეთში მიდიოდა. აგვისტოს ომი ჩავლილი იყო და მერე მეც ვიფიქრე, ომმა ჩაიარა და ანი რაღა უნდა მოხდეს-მეთქი. თავიდან საცდელ სწავლებას ქუთაისში გადიოდა, ავღანეთში წამსვლელი იყო 31-ე ბატალიონი, გიორგიმ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ამ ბატალიონში გადასულიყო, სანამ არ დაამტკიცეს, ქუთაისიდან გორში გარკვეული პერიოდი არ ჩამოსულა. გიორგის კატეგორიული მოთხოვნა იყო ავღანეთში წასვლა და წავიდა კიდეც. ჩემი ძალიან ახლო ნათესავი მყავდა თბილისში, დედის გული ხომ იცით, ალბათ, ვგრძნობდი, რომ რაღაც უბედურება მელოდა და ვღელავდი, ვიფიქრე, იმას შევაწუხებ და იქნებ ჩუმად შეუშალოს გიორგის წასვლაში ხელი მეთქი, მაგრამ გიორგი ისეთი აღტკინებული იყო, მივხვდი, არაფერი გამომივიდოდა და გავჩერდი. გიორგი ძალიან ძლიერი და მომზადებული იყო ფიზიკურად, ტყვედ რომ ჩავარდნილიყო ავღანეთში, დარწმუნებული ვარ, თავს მაინც უშველიდა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი ღიმილიანი, სიხარულით სავსე თვალები და ის წამები, როდესაც დავემშვიდობე, თვალზე ცრემლი მადგებოდა, მითხრა, ახლა შენი ცრემლები არ დამანახოო და კიბეებზე სიხარულით ჩაირბინა. ასე სირბილ-სირბილით გავაცილე ჩემი ვაჟკაცი სამშობლოს სამსახურში და რას წარმოვიდგენდი, რომ უკანასკნელად ვხედავდი. ეზოში უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი, მეზობლ-

ებს დაემშვიდობა, არავითარი შიში და აღელვება არ ჰქონია, პირიქით, ძალიან ბედნიერი იყო იმით, რომ საწადელს მიაღწია. არ მახსოვს რამეზე დაეწუწუნოს. არასდროს არ უნანია ავღანეთში ყოფნა, პირიქით, ძალიან კმაყოფილი იყო, ამბობდა, მე კარგად ვარ, თქვენ არ ინერვიულოთ აქ არაფერი საშიში არ არის და ერთმანეთს გაუფრთხილდით, მალე ჩამოვალო. მახსოვს 10 სექტემბერს დაგვირეკა ბოლოს და გაგვაფრთხილა, თვის ბოლომდე მეტს ვეღარ დაგელაპარაკებით, რადგან ტელეფონზე ბალანსის შევსებას ვერ შევძლებო... მე დავიჯერე, იმან იცოდა, ალბათ, რომ მისიის შესასრულებლად მიჰყავდათ, მაგრამ ჩვენ არ გვანერვიულა და ამის შესახებ არაფერი გვითხრა. ეს იყო ჩვენი ბოლო საუბარი, დედა-შვილი ერთმანეთს იმედიანად დავემშვიდობეთ... თვის ბოლოს კი, ზუსტად 30 სექტემბერს, ამ უბედურების შესახებ მაცნობეს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების დანახვისთანავე ჩემთვის უკვე ნათელი იყო იმ უბედურების შესახებ, რაც თავს დამატყდა.

არადა, ძალიან ბევრი გეგმები ჰქონდა... შეყვარებულიც კი არ ჰყოლია, სად ეცალა ამისთვის, სულ ოჯახზე ფიქრობდა და ჩვენზე ზრუნავდა, ბიჭებისთვის უთქვამს, სამშობლოში რომ დავბრუნდები ოჯახისთვის მანქანას ვიყიდიო... ჩემი შვილი მხედრული, მამაცი სულის პატრონი იყო და ის სიცოცხლის ბოლომდე სამხედრო სამსახურში აპირებდა ყოფნას. ალბათ, ასეთი იყო ღვთის ნება, რომ მას გმირულად დაესრულებინა სიცოცხლე... დღეს მე ვიცი, რომ ჩემი შვილი ცოცხალი აღარ არის, დავდივარ მის საფლავზე და ვეფერები... ჩემთვის მთავარი მისი სახელის უკვდავყოფაა... ღმერთმა ნათელში მიმყოფოს მისი სული, ამისთვის ვლოცულობ დაჩოქილი... გიორგი, დე, ძალიან მენატრები“!..

მეოთხე

კაპრალი

ბესიკ ნინიაშვილი

02.10.1988-30.12.2011

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 30 დეკემბერს ნაღმზე აფეთქების შედეგად , ჰელმანდის პროვინციაში.

„დედა, მე ძალიან კარგად ვარ და არაფერზე ინერვიულო, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, ძალიან მეცოდება ავღანელი ბავშვები, ვმეგობრობთ მათთან და შეძლებისდაგვარად ყურადღებას ვაქცევთ, თუ რამის გამოგზავნას დააპირებ ჩემთვის, გთხოვ, ფერადი ფურცლები და ლამაზი პასტები გამომიგზავნე, ეცადე პასტები რკინის არ იყოს, რადგან შემდეგ ჩვენ წინააღმდეგ ნაღმების დასამზადებლად არ გამოიყენონ, სხვას არაფერს არ გთხოვ, ძალიან კარგად ვარ, ჩემზე არ ინერვიულო“... - ეს წერილი ქართველმა გმირმა კაპრალმა ბესიკ ნინიაშვილმა დედას, მარინა ნინიაშვილს, ავღანეთიდან გამოუგზავნა.

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი, კაპრალი ბესიკ ნინიაშვილი 1988 წელს ქარელში დაიბადა. ადიგენის რაიონის სოფელ უდეს პირველი საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ნინიაშვილების ოჯახის ერთადერთმა ვაჟიშვილმა, სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ბესოს გადაწყვეტილებას კახა ნინიაშვილი და მისი მეუღლე მარინა ნინიაშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ თუმცა ახალგაზრდამ, 2007 წელს, პირველი ოფიციალური კონტრაქტის გაფორმება მაინც შეძლო... აგვისტოს ომის სიძნელის, მიღებული ტრავმების მიუხედავად, სამხედრო სამსახურისადმი ინტერესი არასდროს განელებია. მეტიც, ქართველმა ჯარისკაცმა ჯვარი სამხედრო ფორმაში დაიწერა. ავღანეთში უკვე მეორე მისიით იმყოფებოდა და სამხედრო სამსახურში ბოლომდე აპირებდა ყოფნას.

კახა ნინიაშვილი ბესიკ ნინიაშვილის მამა: „ბესო 2007 წელს წავიდა პირველად სამხედრო სამსახურში. მანამდე სამხედრო სამსახურთან არანაირი კონტაქტი არ ჰქონია, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ ისეთი შემართებით იყო, მისი შეკავება ვეღარ შევძელით. პირველი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მეორე კონტრაქტის გაგრძელებაზე მიიღო გადაწყვეტილება. 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეობდა და ფეხში იყო დაჭრილი მაშინ და ვთვლიდით, რომ სამხედრო სამსახურისთვის უნდა დაენებებინა თავი. ერთადერთი ბიჭი მყავდა და ნამდვილად არ მინდოდა ასე დასრულებულიყო ყველაფერი. თვითონ კატეგორიულ უარზე იყო, ასე ამბობდა, გაიგეთ, მე ჩვეულებრივი ჯარისკაცული ცხოვრებით უნდა ვიცხოვრო ბოლომდე და ბიჭებს ვერ მივატოვებო. ჩვენ, 2008 წლის ომში ცოლის ძმა დავკარგეთ და ამიტომაც ეს შემზარავი ფაქტი სახეზე გვქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, ვერაფერს გავხდით, ვერ ვუშველეთ... საერთოდ კი ჯარის ცხოვრებაზე სახლში არასდროს ყვებოდა, ვიცოდით, რომ მაინც არაფერს იტყოდა და ჩვენც აღარ ვეკითხებოდით. ბავშვობიდან განსაკუთრებული თვისებებით იყო გამორჩეული, დაუზარელი იყო

და ოჯახს ყველაფერში ეხმარებოდა... ჯარისადმი ინტერესს ბავშვობიდან იჩენდა, განსაკუთრებულად უვლიდა სამხედრო სამოსს, ჯვრისწერის დღეს სადღესასწაულო სამოსი გავუმზადეთ, მაგრამ მკაცრად გამოგვიცხადა, ან სამხედრო ფორმაში დავიწერ ჯვარს თუ არადა ჯვრისწერა ჩაიშლებაო... რა უნდა გვექნა, წინააღმდეგობას ხომ ვერ გავუწევდით და სამხედრო ფორმაში შედგა ჯვრისწერა...

მარინა ნინიაშვილი, ბესო ნინიაშვილის დედა: „დღესაც თვალწინ მიდგას ის დღე, როდესაც ბესოს დავემშვიდობე, თბილისის „დინამოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დავშორდით ერთმანეთს, მე, ჩემი მეუღლე და ჩემი რძალი ვიყავით, გვითხრა წადითო, მაგრამ არ გავნძრეულვარ იქიდან, ალბათ, გული მიგრძნობდა, რომ ბოლოჯერ ვხედავდი... ვიდექი და ვიყურებდი როგორ წავიდა ჩემგან... მეშინოდა და ვღელავდი, თვითონ დიდი ემოციებით მიდიოდა და ამბობდა, ჯარი ჩემთვის ყველაფერია და მე ჩემს ბატალიონს ვერასდროს მივატოვებო... ყველაფერი გავაკეთეთ მის შესაჩერებლად, მაგრამ მაინც წავიდა... ავღანეთში ჩასვლის შემდეგ დაგვიკავშირდა კმაყოფილი იყო, ამბობდა, აქ ყველაფერი წესრიგშია, არაფერზე ინერვიულოთო... განსაკუთრებით უყვარდა ავღანელი ბავშვები, ყოველთვის მათზე ლაპარაკობდა, თუ კი აქედან რამის გაგზავნას დავაპირებდი, მთხოვდა, ფანქრები, პასტები და ფერადი ფურცლები გამეგზავნა... თვითონ, მეორე მისიით რომ წავიდა ავღანეთში, ბევრი ტკბილეული და სახატავი ფურცლები წაიღო, ავღანელ ბავშვებს უნდა დავურიგო, ხატვა უნდა ვასწავლოო... სანამ ეს უბედურება მოხდებოდა, რამდენიმე საათით ადრე ვესაუბრეთ „სკაიპით“. 30 დეკემბერი იყო და ახალი წელი დგებოდა... ეტყობა გულმა მიგრძნო და ყველაფრის გაკეთების სურვილი დავკარგე. ბესომ ეს ყველაფერი სწრაფად, შეამჩნია, დედა რა ხდება, რა მოწყენილი ხარ არ ემზადები ახალი წლისთვისო, ვუპასუხე, შვილო შენ აქ არ ხარ და არაფრის ხალისი არ მაქვს, არ მაქვს ამის თავიმეთქი... ძალიან ეწყინა, გაბრაზდა და ასე მითხრა, 31-ში დაგირეკავ და თუ

ისეთივე მობილიზებული არ იქნები და გაკეთებული არ გექნება ყველაფერი, როგორც ყოველ ახალ წელს ხდება, ძალიან გავბრაზდებიო! სხვა რა უნდა მექნა, შვილს ხომ არ ვაწყენინებდი და შევუდექი აქტიურ სამზადისს, მაგრამ ვაი, მაგ მომზადებას, რამდენიმე საათში სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები მოვიდნენ და საზარელი ამბავი მომიტანეს“...

ბესოს გარდაცვალების შემდეგ მისმა მეუღლემ დამოუკიდებლად გააგრძელა ცხოვრება... დამ, ნათია ნინიაშვილმა კი სამხედრო სამსახურში გააგრძელა საქმიანობა.

ნათია ნინიაშვილი, ბესოს და: „უფრო მეტი შემართებითა და პასუხისმგებლობით ვმუშაობ დღეს სამხედრო სამსახურში, პროფესიით ექთანი ვარ და ჩემი კრედოა, უფრო მეტ ჯარისკაცს დავეხმარო ცხოვრებაში... სანამ შეიძლება, იქ მინდა ვიყო. რათა ბევრი სამხედრო გადავარჩინო და ჩემი ძმის ხსოვნას მივაგო პატივი... მე ხომ ამ ბიჭებში ჩემს ძმას ვხედავ“...

ქართველი გმირი, კაპრალი ბესიკ ნინიაშვილი სიცოცხლეში აგვისტოს ომში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის პრეზიდენტმა სამხედრო მამაცობისთვის დააჯილდოვა. მოგვიანებით კი მან რამდენიმე ჯილდო ავღანეთში გმირული საქმიანობისთვის და ISAF- ის ოპერაციაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიიღო...

თენგო გოგოტიშვილი

საქართველოს ბრძოლის ხაზი დღეს იქ გადის

თბილისი – ციურიხი: 4 სთ. 23 წთ.
თბილისი – პარიზი: 4 სთ. 50 წთ.
თბილისი – ლონდონი: 5 სთ.
თბილისი – ბრიუსელი: 4 სთ. 20 წთ.
თბილისი – ქაბული: 3 სთ. 15 წთ.

უმეტესობას იმათგან, ვინც ამას კითხულობს, ალბათ, არასდროს მოუწევს ქაბულისკენ მოგზაურობა. მაგრამ არ იქნება ზედმეტი, თუ ზემოთჩამოთვლილ მონაცემებს კიდევ ერთხელ გადაავლებს თვალს. ძალიან გვწყინს, როდესაც ევროპის ზოგიერთ რუკაზე საქართველოს ვერ ვპოულობთ; ვერ ვიგებთ, რატომ არის საქართველოს სატელეფონო კოდი, ევროპულის ნაცვლად, აზიური, მაგრამ გეოგრაფიას, როგორც ფაქტს, ვერ გავექცევით – ავღანეთი ტერიტორიულად გაცილებით უფრო ახლოს არის ჩვენგან, ვიდრე ევროპულ დედაქალაქთა და სახელმწიფოთა უმრავლესობა.

ესეც არაპირდაპირი პასუხი იმაზე, რატომ არის ქართული კონტინგენტი ავღანეთში. და – რატომ უნდა იყოს.

იგივე კითხვის პირდაპირი, მაგრამ უკვე ისტორიული პასუხია გიორგი XI-ს ბრძოლა და მოღვაწეობა ზუსტად სამი საუკუნის წინ, ზუსტად იმ სამხრეთის ხრიოკ მთებში, სადაც დღეს ქართული კონტინგენტის დიდი ნაწილია განთავსებული. გიორგი XI-ს, რომელიც საბოლოოდ იქვე დაიღუპა და დაიმარხა, ბრძოლებში 3 000 ქართველი მეომარი ახლდა, რომელთაგან ცოტა თუ დაბრუნდა სამშობლოში – მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოსა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართლის შეჭირვებული სამეფოსთვის ეს გაცილებით დიდი ტვირთი და მსხვერპლი იყო, ვიდრე 100-ათასიანი საერთაშორისო კოალიციის წევრობა დღევანდელი საქართველოსთვის.

ISAF-ის კრიტიკა უფრო ადვილია, ვიდრე მისი დაცვა. და არა მხოლოდ საქართველოში. ოპერაციის მონაწილე 50-ივე სახელმწიფოში ზუსტად მსგავსი ვითარებაა. საზღვარგარეთ ჯარის გაგზავნის, ანუ, შესაძლო მსხვერპლისთვის მზადყოფნის გამოცხადების, გადაწყვეტილება ყველგან არაპოპულარულია. 2010 წელს, როდესაც შედარებით უსაფრთხო ქაბულში უკვე განთავსებული იყო 170 ქართველი, 1 500-მდე კი ყველაზე ცხელ პროვინციაში, ჰელმანდში გასამგზავრებლად ემზადებოდა, ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრმა (რომელსაც მაშინ ვხელმძღვანელობდი) ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის რამდენიმეთვიანი მონიტორინგი. კითხვა ერთი იყო – უჭერთ თუ არა მხარს ქართული შენაერთის გაგზავნას ავღანეთში. ტენდენციაც ერთი იყო – თვიდან თვემდე თითო პროცენტით იზრდებოდა სხვაობა მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. რამდენიმე თვეში უსახსრობის გამო ამ კვლევების წარმოება შეწყდა, მაგრამ, არ არის რთული მისახვედრი, რომ მომხრეთა რიცხვის კლება არ შეჩერებულა.

ამის მიუხედავად, გადაწყვეტილება არ შეცვლილა. ავღანეთში ქართული კონტინგენტი გაემგზავრა. ისევე, როგორც არ შეცვლილა გადაწყვეტილება 2003 წელს კანადაში, სადაც ჯერ კიდევ სამხედრო მოსამსახურეთა გამგზავრებამდე, მოქალაქეთა მხოლოდ 43% უჭერდა მხარს მისიაში მონაწილეობას; ისევე, როგორც არ შეცვლილა გადაწყვეტილება საფრანგეთში 2008 წელს, როდესაც 10 სამხედროს დაღუპვის შემდეგ პრეზიდენტმა სარკოზიმ ქვეყნის სენატს მიმართა მხარდაჭერის თხოვნით. ფრანგმა პარლამენტარებმა არათუ დაადასტურეს ქვეყნის მზადყოფნა, გაეგრძელებინათ ბრძოლა შორეულ მიწაზე, არამედ მოიწონეს დამატებით 3 000 მებრძოლის გაგზავნის სამთავრობო გეგმაც. მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ საზოგადოების ზოგადი უარყოფითი განწყობის შესახებ: 2008-2009 წლებში ჩატარებული კვლევებით, ფრანგებისა და გერმანელების 80% მხარს უჭერდა თავიანთი ჯარების გამოყვანას ავღანეთიდან. საგულისხმოა, რომ ზუსტად 2009 წელს ემთხვევა ISAF-ის სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის ზრდა ისტორიულ მაქსიმუმამდე.

რადგან არ გამართლდნენ სკეპტიკოსები და არც ახალი ქართული ხელისუფლება აჰყვა პოპულიზმს ავღანეთიდან ჯარების გამოსაწვევად, შეგვიძლია ვისაუბროთ არა მხოლოდ ინსტიტუციურ, არამედ ისტორიულ და პოლიტიკურ მეხსიერებაზე. როდესაც საქმე გადაწყვეტილებამდე მიდის, ყველას ესმის, რომ ავღანეთი, გლობალურად, საქართველოს ინტერესების სფეროს ნაწილია. მაშინაც, როდესაც, გიორგი XI-ის ეპოქის მსგავსად, იმ მიწაზე სპარსეთის სახელით ვიბრძოდით და ახლაც, როდესაც იქ, უფრო ზოგადად, დასავლური ცივილიზაციის დამცველის ფუნქცია გვაკისრია.

ნებისმიერ მთავრობას, რომელიც ავღანეთში ჯარებს გზავნის ან ინარჩუნებს, სათქმელი მხოლოდ ერთი აქვს – საქართველოს ბრძოლის ხაზი დღეს იქ გადის. ნებისმიერ პოლიტიკოსსა და მეთაურს, რომელიც პატივს მიაგებს იქ დაღუპული ქართველი მებრძოლის ღვაწლს, სათქმელი მხოლოდ ერთი აქვს – ავღანეთში ის საქართველოს ემსახურებოდა. რიგითი ავღანელის კეთილდღეობასა და რიგითი ქართველის კეთილდღეობას შორის კავშირი შეიძლება იოლად დასანახი არ არის, მაგრამ ეს კავშირი არსებობს და ფაქტებისა და შედეგების პირდაპირ ჯაჭვს შეადგენს. რაც უფრო მყარი იქნება მშვიდობა ჯალალაბადში, ყანდაარსა თუ მაზარიშარიფში, მით უფრო სწრაფად გამოთავისუფლდება დასავლეთის პოლიტიკური და ფინანსური რესურსები და ყურადღება სხვა გლობალური პრობლემების მოსაგვარებლად. ჩვენ კი ამას ძალიან, ძალიან დიდი ხანია, ველით.

თენგიზ გოგოტიშვილი

მეოთხე

უმცროსი სერჟანტი

ლავროსი ივანიაძე

08.12.1985 - 27.05.2011

მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 27 მაისს, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

სტუდენტობისას შეცვლილი გადაწყვეტილება მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა... ვანის რაიონ სოფელ მუქედში დაბადებული ახალგაზრდა სერჟანტი ლავროსი (ლაშა) ივანიაძე სკოლის დამთავრების შემდეგ კოლეჯში ჩაბარებიდან რამდენიმე თვეში მიხვდა, რომ სამხედრო სამსახურში უნდა გაეგრძელებინა საქმიანობა. ოჯახს მისი გადაწყვეტილების შესახებ მალევე ამცნო და სავალდებულო სამხედრო სამსახურში წავიდა. ლაშას მამას გიორგი ივანიაძეს შვილისთვის წინააღმდეგობის გაწევა არც უფიქრია, რადგან მთელი ცხოვრება ცდილობდა, რომ შვილებს დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილებები. ამიტომაც ლაშას გადაწყვეტილებას მამა მართალია შიშით, მაგრამ პატივით მოეპყრო. ჯარში კი ქართველი სამხედროსთვის ახალი ცხოვრება დაიწყო, წლების მატებასთან ერთად მეტი გამოცდილება და თავგადასავლები გროვდებოდა. აგვისტოს ომი გამოიარა, მაგრამ ომის დეტალებზე და სამხედრო სამსახურზე ხმამაღლა არასდროს საუბრობდა. როდესაც ახლობლები მის გადაწყვეტილებებზე ეკითხებოდნენ, ლაშა მარტივად პასუხობდა, ჯარში ჩემს გასაკეთებელ საქმეს არავინ გააკეთებს, ამიტომაც მე იქ უნდა ვიყო, სადაც ვარო!

დიანა ივანიაძე, ლავროსი ივანიაძის და: „მე და ჩემი ძმა თითქმის ტოლები ვიყავით, სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო. მიმძიმს მასზე საუბარი, მუქედის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შუამთის საშუალო სკოლა დავამთავრეთ. სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩეოდა. ხშირად ამბობდა, რომ მისი გასაკეთებელი ქვეყნის წინაშე მას უნდა გაეკეთებინა. ერაყშიც და აგვისტოს ომშიც არის ნამყოფი, მაგრამ ამ ომის დეტალებზე ხმამაღლა არასდროს უსაუბრია. არავითარი შიში არ ჰქონია. ძალიან ჭკვიანი და ინტელექტუალი იყო. სიდინჯითა და მოწესრიგებულობით მას ყველაში გამოარჩევდით. მახსოვს, იმ დღეს სახლიდან გავაცილეთ, მისი სურვილი იყო, რომ ასე გაგვეკეთებინა. ჩვეულებრივ დავემშვიდობეთ. თვითონ გვითხრა, არ მინდა გაცილება, რადგან სამხედრო ნაწილიდან გვიან იყო დაგეგმილი ფრენა. ასე დავემშვიდობე ჩემს ძმას და იმის შემდეგ მომხდარის გახსენება ძალიან მიჭირს“.

გიორგი ივანიაძე, ლავროსი-ლაშა ივანიაძის მამა: „ჩემი შვილის გადაწყვეტილებებში არასდროს ჩავრეულვარ, ბავშვობიდან ვცდილობდი, რომ ორივე შვილს დამოუკიდებლად მიეღოთ გადაწყვეტილება. ასე გაიზარდა ლაშა და ამიტომაც გადაწყვეტილებების მიღება არასდროს გაჭირვებია. ხელოვნების სიყვარულით ბავშვობიდან გამოირჩეოდა, ინტელექტუალი და საზრიანი ბავშვი იყო ამიტომაც ინტელექტუალთა კლუბში დადიოდა. ოჯახის შექმნაზე არ საუბრობდა, გატაცებები და სასიყვარულო ურთიერთობები, რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ისე რომ გადაწყვეტილება მიეღო და ჩვენ ამის შესახებ გვცოდნოდა, ასე არ იყო. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამის შესახებ არაფერი გაგვიგია.

პატრიოტი იყო... ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილება სამშობლოს სიყვარულის გამო მიიღო. სადაც სამშობლოს გაუჭირდება, კაცის სამსახურიც იქ არის! შესაბამისად, როდესაც დადგა დრო, რომ მისი წასვლა იყო აუცილებელი, ავღანეთში წავიდა კიდეც!

წავიდა და სამუდამოდ დავკარგეთ... შავი დღე გამითენდა, ოჯახში მომაკითხეს და მითხრეს, რა უბედურებაც დაგვატყდა თავს... მახსენდება ხოლმე ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათი დედის გმირობა, რომელიც ერთი შვილიდან მეორეს გადასცემდა გმირულად დროშას... ამ ქალმა ცხრა შვილი შესწირა სამშობლოს, მართალია ჩემი ერთია, მაგრამ მე მაინც თვალწინ მიდგას ჩვენი ისტორია და ვიცი, რომ ჩემმა შვილმა სამშობლოს სიყვარულისთვის გასწირა თავი“...

მეოთხე

კაპრალი

გიორგი ავალიანი

04.04.1981 - 21.02.2011



მესამე ქვეითი ბატალიონის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 21 თებერვალს, სამხედრო დავალების შესრულების დროს, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

2011 წლის 24 თებერვალს იმ ჯარისკაცებს შორის, რომლებიც ავღანეთში დაღუპულ ქართველ გმირს გიორგი ავალიანს საპატიო ყარაულით მოაცილებდა, ერთ-ერთი მისი ღვიძლი ძმა ფრიდონ ავალიანი იყო. ვანის რაიონ სოფელ ციხისეულში მცხოვრებმა თამაზ ავალიანმა და მისმა მეუღლემ, ლეილა ასათიანმა ორი ბიჭი ერთად გააცილეს ავღანეთში. იქიდან კი მხოლოდ ერთი, უმცროსი ძმა, ფრიდონი დაბრუნდა. როგორც დედა ლეილა ასათიანი იხსენებს, გიორგის სამხედრო სამსახურისადმი ინტერესი ბავშვობიდან ჰქონდა. სოფელში ყველამ იცოდა, რომ მას სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა, ამიტომაც ის ახალგაზრდები, რომლებიც იმხანად ჯარში მსახურობდნენ, სოფელში დაბრუნებულები გიორგის სხვადასხვა სამხედრო ნივთებით, ქამრებითა და ქუდებით

ასაჩუქრებდნენ. სამხედრო მუნდირზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამსახურში გააგრძელა საქმიანობა, იქიდან კი საკონტრაქტოზე გადავიდა და სწორედ იმ დღიდან დაიწყო ქართველი გმირის გიორგი ავალიანის რეალური გმირობის ისტორია.

ლეილა ასათიანი, გიორგის დედა: „გიორგი გამორჩეული ბავშვი იყო, თავიდანვე წყნარი, თავაზიანი, მოაზროვნე, სულ ფიქრებში იყო და სულ რაღაცებს იგონებდა. ძალიან დიდი მხედრული სული ჰქონდა და სამხედრო ფორმისადმი განსაკუთრებული სიყვარულით ბავშვობიდან გამოირჩეოდა. უყვარდა, იარაღი და ფიზიკურადაც ძლიერი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ მალევე დატოვა იქაურობა, რადგანაც სამხედრო სამსახურში უნდოდა ყოფნა. ჩვენ ვერ ვეწინააღმდეგებოდით, წყნარი კი იყო, მაგრამ, ამავდროულად, ძალიან პრინციპული იყო. ავღანეთში რომ მიდიოდა, როგორც ყველა, მეც ძალიან ვწუხდი, მაგრამ ამაზე არ მასაუბრებდა. ერთსა და იმავეს იმეორებდა, ჩვენ წავალთ და დავბრუნდებით!!!!

რამდენჯერმე კი მითხრა, დედა შენ ორი ჯარისკაცის დედა ხარ და მზად უნდა იყო ყველაფრისთვისო. წასვლის წინ, რომ ვაცილებდით, ცრემლი შემამჩნია, რატომ ტორიო, ძალიან გაბრაზდა, „დედა, ვერ გაიგე ჩვენ წავალთ და დავბრუნდებთ!!!! - მისი ეს სიტყვები, დღესაც ჩამესმის ყურში... ველოდე, ველოდე მაგრამ...

თამაზ ავალიანი გიორგი ვალიანის მამა: „გიორგიმ ჯარში სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ მიიღო საკონტრაქტოს გადაწყვეტილება. იმდენად უყვარდა იქაურობა, რომ სახლში ვერ ჩერდებოდა. ამბობდა, ძალიან ბევრი მეგობარი მყავს და იმათ ვერ დავტოვებო. არაფრის შიში არ ჰქონია, არასდროს. ფიზიკურად საკმაოდ მომზადებ-

ული იყო, ჭიდაობდა კიდეც. მთლიანობაში სამხედრო სამსახურში ექვს წელზე მეტი იმსახურა. მისი ნიჭისა და მონდომების ხარჯზე ის ყველაფერს კარგად ასრულებდა და საკმაოდ წარმატებულად ითვლებოდა. მე მას ბავშვობიდან ვამჩნევდი, რომ სამხედრო მოსამსახურე დადგებოდა, იარაღისა და შვილდ-ისრების დამზადებით იყო დაკავებული და სულ ჯარის ამბებზე საუბრობდა. ხატავდა და ძერწავდა... სულ ჯარისკაცებს, ცხენებს, იარაღებს, სამხედრო მოსამსახურეებს. ამიტომაც ჯარში წასვლის გადაწყვეტილება ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ჯერ თვითონ წავიდა ჯარში, მოგვიანებით კი მისი შუათანა ძმაც წაიყვანა. იმდენს უამბობდა ჯარზე და ჯარისკაცების ცხოვრებაზე, ფრიდონმაც მიიღო სამხედროში წასვლის გადაწყვეტილება. ასე ორივე ძმა ავალიანები ერთად იყვნენ ქვეყნის და ხალხის სამსახურში.

- ავღანეთში წასვლის გადაწყვეტილება როდის გახდა ცნობილი....

- ავღანეთში წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს რამე განსაკუთრებული სირთულე არ ყოფილა, გიორგი აგვისტოს ომში იყო გამოვლილი და მისთვის ეს წინააღმდეგობა არაფერს ნიშნავდა. მართალია ორივეს ერთად მოუწია წასვლა, მაგრამ რას ვიფიქრებდი ან რას წარმოვიდგენდი, იქიდან მხოლოდ ერთი შვილი თუ ჩამომივიდოდა ცოცხალი. ძმები ერთად წავიდნენ, მაგრამ განაწილების შემდეგ სხვადასხვა წერტილებში მოხვდნენ. გიორგის და ფრიდონის გარდა კიდევ ერთი ვაჟი მყავს, აკაკი, მაგრამ ის სამხედრო სამსახურში არ მსახურობს და ასაკითაც ყველაზე პატარა იყო. შოკირებული იყო ფრიდონი გიორგის ჩამოსვენების შემდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დღესაც სამხედრო სამსახურში ირიცხება და ერთგულად ემსახურება ქვეყანას. ნაღმზე აფეთქდა ჩემი შვილი... მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა მეგობრებმა მითხრეს, თურმე ავღანეთში გიორგი განაწილებით ე.წ. „მეკავშირედ“ გაუნაწილებიათ, შტაბში უნდა მჯდარიყო თურმე მაგრამ ეს ყველაფერი გაუპროტესტებია ხელმძღვანელობისთვის უთქვამს, ჩემს მეგობრებს თვალში როგორ უნდა შევხედო, მე მეკავშირედ როგორ უნდა დავჯდეო და უარი უთქვამს. ჰოდა, ათმეთაურად გაუნაწილებიათ. იმ დღესაც პატრულირებაზე ყოფილან, სახლი უნდა გაევლოთ, მაგრამ იმ სახლში ნაღმი ყოფილა კარში, ისინი იმ ნაღმს გადაურჩნენ და გზად მომავალ გიორგის უხუმრია, ჩვენ ისე გადავურჩით ნაღმებს რომ მე მგონი არასოდეს დავიღუპებითო. ბიჭები ამბობენ ამის თქმა დასრულებული არ ჰქონდა ისე თავზე გადაგვიფრინა თვითმფრინავმა რომლის წნევამაც შეგვარყია და გიორგიმ სავალი ბილიკის სისწორე დაკარგა სავალი ნაწილიდან გადავარდა სულ რამდენიმე მეტრით და ბომბიც აფეთქდა. უბედურება დაგვატყდა თავს და ამის შესახებ მალევე გავიგე. სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები მოვიდნენ ჩემთან სახლში და გვამცნეს.... მისი მეგობრები და სხვა ჯარისკაცები ისე იხსენებენ გიორგის ძალიან ბედნიერი ვარ, ნადვილი სამხედრო იყო ჩემი შვილი და ეს ყველამ ძალიან კარგად იცის.

იმას ვდარდობ რომ არ დასცალდა ოჯახის შექმნა, არადა ბიჭებთან დაურეკავს რომ ჩამოვალთ ცოლი უნდა მოვიყვანოო. მაგრამ ვინ იყო მისი რჩეული ჩვენ ამის შესახებ არაფერი არ ვიცით. ასე გვითხრა რომ ჩამოვალ მერე გაგაცნობთო. ნეტა რამე დარჩენილიყო მისგან დღეს ჩემისთანა ბედნიერი კაცი ალბათ არავინ იქნებოდა... გიორგის გარდაცვალების შემდეგ მისი გმირობის ისტორიებს მისი მეგობრები ჰყვებიან. თვითონ ძალიან თავმდაბალი იყო და ასეთ ფაქტებზე არასდროს საუბრობდა.

კაპრალ გიორგი ავალიანის თავდადება აგვისტოს ომში ყველა სამხედრო მოსამსახურისთვის კარგად არის ცნობილი. მაშინ ის ფრონტის ხაზზე იბრძოდა. 8 აგვისტოს, როდესაც ოკუპანტებმა მორიგი შეტევა განახორციელეს გიორგი და მისი განუყრელი მეგობარი დავით გაფრინდაშვილი ერთ ხაზზე იბრძოდნენ. შეტევის შედეგად გაფრინდაშვილი მძიმედ დაიჭრა რამდენიმე წუთში კი მის გვერდით კასეტური ბომბი აფეთქდა და გიორგი დაშავდა. ამის მიუხედავად ქართველმა სამხედრომ უგონო მდგომარეობაში მყოფი მისი მეგობარი ბრძოლის ველზე არ დატოვა დაჭრილი ფეხი გადაიხვია, და მხრებით ატარა. სამშვიდობოზე გამოსულმა გონება დაკარგა მაგრამ დავით გაფრინდაშვილის სიცოცხლე იხსნა. ამ ომში მიღებული იარა გიორგის სიცოცხლის ბოლო წამამდე აწუხებდა, მაგრამ, როგორც მისი ოჯახის წევრები ამბობენ არ იმჩნევდა... აი რას ამბობს აგვისტოს ომში მის მიერ გადარჩენილი დავით გაფრინდაშვილი.

დათო გაფრინდაშვილი გიორგი ავალიანის მეგობარი: "მე გიორგი ავალაინი ჯარში გავიცანი და იქიდან დავმეგობრდით. ის ჩემი შვილის ნათლია იყო. ორივენი მე-5 ქვეით ბრიგადაში ვმსახურობდით და მოვხვდით ერთ ასეულში. ჯარში შიში არასდროს გვქონია მაგრამ ომში ჯარისკაცს თავისებური სიფრთხილე და შიში აქვს. 2008 წლის 8 აგვისტოს დღე მე დეტალურად მახსოვს მე ყველაფერი დეტალურად მახსოვს. რუსებმა შეტევა განახორციელეს და შეტევის დროს შევედი დაჭრილების გამოსაყვანად სწორედ ამ დროს ნაღმი ჩამოვარდა... მომაკვდავი ვიყავი, მაგრამ ყველაფერს ვგრძნობდი. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი ცოტა თუ იფიქრებდა ჩემს გადარჩენას, მიუხედავად ამისა გიორგიმ ბრძოლის ველზე მარტო არ დამტოვა. დაჭრილი იყო თვითონ მაგრამ მე მაინც მატარა და ჩემი სიცოცხლე იხსნა. გიორგი სულით სამხედრო მოსამსახურე იყო... დღეს მე და ლევანიკო ხშირად ავდივართ მის საფლავზე, ლევანიკო უკვე ათი წლის არის და კარგად იცის როგორი გმირი იყო მისი ნათლია. გიორგი მას ყურადღებას არასდროს აკლებდა და განსაკუთრებით ანებივრებდა. გიორგის შემდეგ მისი ძმა ფრიდონი აგრძელებს მის გმირულ საქმეს, ჩვენც ყურადღებას არ გვაკლებს.... აგვისტოს ომის შემდეგ მეც სამხედრო სამსახურში ვირიცხები, უბრალოდ მიღებული ტრავმების შედეგად ინვალიდი ვარ და სახლში ვზივარ!

ირაკლი ტაბლიაშვილი

რიგი!

რანაირ, რა-გვარ რიგში არ ვმდგარვართ - პურის რიგში საახალწლოდ, პურის რიგში ტალონებით... პურის რიგში უტალონოდ... ფეხბურთის ბილეთების რიგში, კინოს რიგში, ექიმთან მიღების რიგში... მიტინგ-დემონსტრაციის რიგში...

ბოლო-ბოლო, ჩვენ ვმდგარვართ პანაშვიდების რიგებშიც, მხოლოდ შედარებით მოწესრიგებულებში, მაგრამ, იმგვარებში, საიდან გაღწევაც ხშირად საშურია, რასაკვირველია, ორ-სამ ნაცნობთან ყოფასა და პოლიტიკაზე მოსაუბრების შემდეგ.

ამ უკანასკნელის ჩათვლით, იმ რიგთა უმრავლესობა, რომელშიც წუთები და, იქნებ საათებიც გაგვილევია, დღესაც ქართული, უფრო ზუსტად საბჭოურ-ქართულია - ჯერ მარცხნივ უნდა გაუხვიო, ნაბიჯს უნდა აუჩქარო, მერე აუცილებლად შეუნელო, გაირინდო, მზერა უნდა გაგიშტერდეს, საჭიროების შემთხვევაში, მობილური ტელეფონით უნდა ისარგებლო, თითქოს მეგობარს ეძებ, ურეკავ, ნერვიულობ... მერე მხარი უნდა ჩაუდგა სხვას, მოკლე ნაბიჯი უნდა გადადგა, გაიღიმო და თუ მაინც დაიჭერ მზერას - უკმაყოფილოს და იმგვარს, რომელიც ამბობს - „თავხედი“, უნდა თქვა - „მობრძანდით“!.. მერე ისევ უნდა ჩადგა მხარი, თქვა, რომ წარმოუდგენლად ან ძალიან გეჩქარება და ასე, სხვაზე წუთებით ადრე მოხვდე წინ, ცოტა წინ... შეძლებისდაგვარად!

ჩვენ მიერ გამოვლილი „რიგები“ სულ ასეთი იყო, არის და, ალბათ იქნება კიდეც - ჩვენი - საბჭოეთში დაბადებული მოქალაქეების - რომლებმაც მოვიპოვეთ თავისუფლება და, შესაძლოა, არც გვახსოვს როდის, როგორ, რატომ ან რისთვის...

იმ დღესაც, მაისში, ამგვარ რიგებში რომ გამოიწრთვნენ, იმ ხალხის გვერდით აღმოვჩნდი და თან - თავსხმაში - რაც, ჩემი წარმოდგენით ერთი-ორად გვიმძაფრებს „შეპარვის“ სურვილს... მართალია, თბილად წვიმდა, მაგრამ, ზოგადად, „აუცილებლად მოსათავებელ“ რიტუალურ ამბავშიც კი არაა სასიამოვნო გალუმპვა მით უფრო მაშინ, როდესაც ყველას სადღაც და რატომღაც გვეჩქარება - სამსახურში ან ოჯახში და ან სულაც სოც.ქსელებში - ვირტუალურ იმ სამყაროში, რომელიც, ასე გვგონია, უჩვენოდ ვერც იქნება და არც უნდა იყოს.

ვიდექი და ვიდექი... „დაუსრულებლად“ ვიდექი - და ისიც - ის რიგი, მწყობრი და არა-საბჭოური, შედარებით დიდხანს მართლაც გაიწელა - ყოველ შემთხვევაში, მანამდელებზე, ჩვეულებრივებზე დიდხანს.

უცნაურია - პირველად იყო, რომ თანამგრძნობთაგან არც არავის უცდია წინ წასვლა, შეჭრა უფრო.

სათქმელია - მოქალაქეები ან გამოცდილი, შერკინებაში მდგომი რაგბისტებივით იდგნენ და ანაც მწყობრი კაპელასავით...

იდგნენ და იდგნენ... პატარა ნაბიჯით თუ წაიწევდნენ წინ საშუალოდ „გაწელილ“ წუთში ერთხელ და რომ გეანგარიშა, უთუოდ გამოითვლიდი, ამ ტემპით ორი საათი მაინც სჭირდებოდათ დანიშნულების ადგილამდე...

... და მერე იყო ნახევარ-წრე... მარცხნივ მთავრობა, რომლისკენაც მზერა არავის გაპარვია და მარჯვნივ კი შავით-შემოსილი შვილმკვდარი დედები,

ვისაც, უბრალოდ არ იცი, რა უნდა უთხრა.

... და იყო ისევ წვიმა - ქვაშუეთის ტაძრის ეზო... ჟურნალისტები, რომელთა დიდი ნაწილი არც ჟურნალისტობდა, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ, საინტერესო უნდა ყოფილიყო ქვეყნის მმართველთა მეტწილად შაბლონური კომენტარები მომხდარზე.

მთავრობაც გამოვიდა... წავიდა... დაიშალა... მასაც მიეჩქარებოდა სადღაც - სახელმწიფო საქმეებზე... თუმცა, მის რიგებშიც იყვნენ ისინი, ვინც არამხოლოდ პროფესიული მოვალეობის აღმასრულებელ ჟურნალისტებს, ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც საკმაო ხანს გაუჩერდა...

ასე გაგრძელდა რამდენიმე საათი!

... და მერე კიდევ იყო ამბავი - ორიოდე კვირის თავზე - იმჯერად კიდევ შვიდი ჯარისკაცის დაღუპვის ამბავი გავიგეთ ყველამ და სხვა - მეორე, მაგრამ იმგვარივე რიგში ჩადგომისათვის გავემზადეთ...

ის, შემდეგი რიგიც მოწესრიგებული იყო - იმ დეტალ-დამატებული, რომ შედარებით მეტი იყო მოზარდი - 5-6... 12-15 წლის ბავშვები!

ჯამში, კონკრეტულად ავღანეთში 29 (წლეულს ათი), ხოლო ყველა სამშვიდობო ოპერაციაში 35 ახალგაზრდა დაკარგა საქართველომ.

ახლა გვითხრეს, რომ ჯერაც არ არის „ბილეთი ნატოში“ და ამ სიტყვამ ისევ დაგვაფრინა - გვეგონა, იმედი გვქონდა, ვოცნებობდით...

და ისიც გვითხრეს, რომ დემოკრატიულ სამყაროში გასაწევრიანებელთა რიგშიც ვდგავართ - მწყობრში და წესიანში!

ჩვენ ვიცით მთავრობის სხვა სიტყვა - ჩვენივე გადარჩენილი ჯარისკაცები - 6 თვეში ერთხელ რომ იცვლებიან, უზარმაზარ საბრძოლო გამოცდილებას იღებენ და პრინციპი - „ერთად წავედით და ერთადვე დავბრუნდებით“ - მძაფრი და მართებულია!

... და კიდევ - ჩვენ გვსურს - ცხელი, აქტიური ომი აღარ გვქონდეს მეზობელ სახელმწიფოსთან, თუმცა, რეალობა და მომავალი, ალბათ, ყოველთვის როდია დაფუძნებული ჩვენსავე სურვილებზე!!!

დაბოლოს - ჩვენ ვსწავლობთ რიგს და რიგიანობას - ჯობდა, წვალებით არ გვესწავლა, მაგრამ, რადგან ასეა - რა(ღა) გაეწყობა!..

მეოთხე

კაპრალი

ვალერი ვერსკიანი

13.11.1979-16.03.2011

მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. სასიკვდილოდ დაიჭრა 2011 წლის 5 მარტს, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში. გარდაიცვალა 2011 წლის 16 მარტს გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალში.

13 ნოემბერს სვანეთში ვერსკიანების ოჯახს ვაჟი შეეძინა. მშობლებმა ვალერი დაარქვეს, თუმცა ეს სახელი მას მხოლოდ დაბადების მოწმობაში და შემდეგ პირად საქმეში ჰქონდა - ბავშვობიდან ყველა გიოს ეძახდა, მას დღეს მთელი სვანეთი დასტირის... უშბისძირელი გიო, უშბასავით გულზვიადი, მამაცი და უშიშარი იყოო - ასე იხსენებენ მას მასწავლებლები, ოჯახს კი მისი სითბო და ყურადღება ენატრება... ოჯახში უფროსი შვილი იყო. მის გარდა მშობლებს ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი დარჩათ. უჭირთ მის გარეშე ცხოვრება, მაგრამ თავს იმით იმშვიდებენ, რომ გმირის ოჯახის წევრები არიან, ქართველი გმირის, რომელმაც მთელი სვანეთი

ასახელა სამშობლოს სიყვარულითა და თავდადებით.

მისი გმირობის ისტორია 2008 წლის აგვისტოდან იწყება. აგვისტოს ომში მან საკუთარი სიცოცხლის ფასად რამდენიმე ქართველი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე გმირულად იხსნა. ომში მიღებული ტრავმებისგან ის მალევე გათავისუფლდა და კვლავ სამხედრო სამსახურში განაგრძო საქმიანობა. ჯარისკაცის გზამ ის ავღანეთამდე მიიყვანა, თუმცა მისი სიცოცხლე მალევე შეწყდა. გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმებმა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვერ შეძლეს. ვალერი ვერსკიანი ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, 2011 წლის 5 მარტს, ნაღმის აფეთქების შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით გარდაიცვალა... ვალერი ვერსკიანი მშობლიურ სვანეთს გმირის სახელით დაუბრუნდა.

დედა, თამილა ვერსკიანი, შვილის ბავშვობას იხსენებს და დიდ ტკივილთან ერთად ამაყია, რომ ბედმა წილად გმირის დედობა არგუნა.

თამილა ვერსკიანი, დედა: „ჯარში წასვლის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღო, საკმაოდ გამბედავი, მხნე და უშიშარი ბიჭი იყო. ავღანეთში წასვლამდე ერთი თვე ჰქონდა შვებულება. აღელვებას ვატყობდი, მაგრამ შიში არასდროს შემიტყვია. გიოს წასვლამდე ჩვენს მხარეში ავღანეთში დაღუპული ერთი ქართველი გმირის მუხრან შუკვანის გარდაცვალების შესახებ მოვიდა ცნობა. მივხვდი, რომ ამ ფაქტმა ძალიან დაწყვიტა გული, თუმცა ამის მიუხედავად, ავღანეთში წასვლაზე უარი არ უთქვამს. წასვლის წინ ჩვეულებრივად დავემშვიდობე, დამამშვიდა, დამაწყნარა, ყველაფერი კარგად იქნება და შენ არ ინერვიულოო. ჩავიდა თუ არა, შეგვატყობინა, რომ ადგილზე

მშვიდად ჩავიდა. ამის შემდეგ რეგულარულად გვიკავშირდებოდა „სკაიპის“ მეშვეობით. ბოლოს, მახსოვს, რომ დავინახე, ტირილი დავიწყე, მითხრა, რა გატირებს, შენ არაფერზე ინერვიულო, მე მალე ჩამოვალო. ცოტა ხანში კი ეს უბედურება დაგვატყდა თავს...

ძალიან ყურადღებიანი იყო ჩემი შვილი... 8 მარტს, ქალთა დღეს, მთელი დღის მანძილზე ცდილობდა, უშედეგოდ, ჩემთან დაკავშირებას, რომ მოელოცა. ტელეფონი გამორთული რომ დახვდა, მეზობლის ცოლისთვის დაურეკავს, დედაჩემს მე ვერ დაველაპარაკე და 8 მარტი მიულოცეთ ჩემგანო. მე მისი მილოცვა გადმომცეს და შემდეგ კვირაში ეს საზარელი ამბავი გავიგეთ. თავიდან იმედით შევყურებდით მომავალს, ვიცოდი, რომ დაჭრილი იყო და მისი გადარჩენისთვის ვლოცულობდით, მაგრამ ამაოდ, ალბათ, ასეთი იყო ღვთის ნება, რომ ასე დაესრულებინა სიცოცხლე“...

გოჩა ხორგუანი, მეგობარი: „გიორგი შეუდარებელი ადამიანი იყო, ძალიან დიდი სიყვარული ჰქონდა ქვეყნის, მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში ძალიან ბევრჯერ შეგვექმნა პრობლემები და გიორგი ყველა ამ საქმეში სამშობლოს სამსახურში იდგა. 2008 წლის აგვისტოს ომში, მისი თანამებრძოლები ჰყვებიან მის განსაკუთრებულ გმირობებზე. ამ პერიოდში, მან ძალიან ბევრი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე იხსნა სიკვდილისგან. მე და გიო ვმეგობრობდით, ბავშვობიდან დაუზარელი, ენერგიული და შრომისმოყვარე იყო. ოჯახში უფროსი შვილი იყო, ორი ძმა და ერთი და ჰყავს, ოჯახური მდგომარეობისა და დიდი პასუხისმგებლობის გამო, გარკვეული პერიოდი სავალდებულო სამხედრო სამსახურში ვერ წავიდა. მახსოვს, ავღანეთში წასვლამდე ვისაუბრეთ და რჩევა მკითხა. ვუ-

თხარი, ძნელია რამე გირჩიო, მაშინ, როდესაც საქმე ავღანეთში წასვლას ეხება მეთქი. მე ვხვდებოდი, რომ მას გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა, ეს იყო უბრალოდ, ფორმალობა, მაგრამ მაინც მითხრა. ვისაც როგორც შეეძლო ისე ეხმარებოდა... მესტიის რაიონში, სოფელ



ბეჩოში - ბაგდანარში მისი მშობლიური სკოლის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა, რათა მალე დასრულებულიყო ეს სკოლა და ბავშვებს ჰქონოდათ სწავლა-განათლების საშუალება. უღალატო და ძალიან ერთგული იყო, ქართველი გმირი, ვალერი ვერსკიანი“.

ნარგიზა ხორგუანი, სკოლის დირექტორი: „გიო უშბისძირელი, უშბასავით გულზვიადი, მამაცი, უშიშარი იყო. სკოლაში პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი ჭაბუკი სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, პირველი დღიდან ჩაება ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში, ყველა საბრძოლო დავალებას უშიშრად ასრულებდა და გამოჩენილი მამაცობისთვის ბევრჯერ დაიმსახურა მადლობა. რაზეც მეტყველებს ის ჯილდო, რომელიც განსაკუთრებული მამაცობისთვის გადაეცა. სწორედ მაშინ შეწყდა მისი სიცოცხლე, როდესაც ყველაზე მეტად სურდა... თან გაიყოლა ოჯახის წევრების, ახლობლების, მეგობრების და სოფლის დიდი მწუხარება... ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ თაობიდან თაობას უნდა გადაეცეს მისი გმირობის ისტორია. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს გმირი ქართველი სამხედრო. სიკვდილს წინ ვერავინ აღუდგება, ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ მისი სულისთვის“.

მეოთხე

კაპრალი

შალვა ფაილოძე

02.10.1988 - 05.01.2012

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 5 იანვარს, ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

ფაილოძეების ოჯახის ორმა ვაჟიშვილმა, შალვა და რომეო ფაილოძეებმა, სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება ერთდროულად მიიღეს. დედის წინააღმდეგობის მიუხედავად ორივე ძმა სამხედრო სამსახურში ჩაირიცხა. რომეო ფაილოძემ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურს იძულებით დაანება თავი, თუმცა შალვას პრობლემა არ შექმნია. კაპრალი ფაილოძე სამშობლოს სამსახურში სიცოცხლის ბოლომდე ყოფნას გეგმავდა და მართლაც ასე მოხდა. სიცოცხლის უკანასკნელი წუთები მან ცხელ წერტილში გაატარა. ქრისტეშობის დღესასწაულის წინა დღეს გარდაიცვალა, არადა, მეგობრებისთვის უთქვამს, ხვალ ჩემებს უნდა დავურეკო, შობა მივულოცოო... არ დასცალდა... გმირის დედას შვილზე მოსაგონარი ბევრი ისტორია დარჩა, თუმცა ძალიან უჭირს საუბარი. „დიდი ტკივილი და ამავდროულად დიდი სიამაყეა, როცა იცი, რომ გმირის დედა ხარ“, -ამბობს ქეთევან ფაილოძე და გმირი ვაჟკაცის ბავშვობას იხსენებს.

ქეთევან ფაილოძე: „სამხედრო სამსახურში წასვლა შალვას ბავშვობიდან სურდა. 2008 წლის აპრილის თვეში ჩემმა ორივე შვილმა, შალვამ და რომეომ, სამხედრო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება მიიღეს. ბათუმში მეხუთე ქვეით ბრიგადაში გადიოდნენ კარანტინს. მაგრამ უფროსმა ბიჭმა ფიზიკურად ვერ გაუძლო ამ დატვირთვას და იმიტომ წამოვიდა, შალვა დარჩა და ჩვეულებრივად გააგრძელა სამხედრო სამსახურში საქმიანობა. ჩემი შვილის ბატალიონს 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილი მაიორი გელა ჭედია მეთაურობდა. აგვისტოს ომში ნამდვილად არ მეგონა თუ ცოცხალს ვნახავდი. 9 აგვისტოს ბატალიონის მეთაურის გარდაცვალების შემდეგ მისი ასეული სრულად ჩაირიცხა ქუთაისის მესამე ქვეით ბრიგადაში. მე ჩემი შვილის ქება გამომივა, მაგრამ ის სამაგალითო სამხედრო მოსამსახურე იყო. ცხონებული გელა ჭედია ამბობდა, ამისგან მართლა დადგება ჯარისკაციო... მერე ავღანეთში გადაწყვიტა წასვლა, თავიდან არ მეუბნებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც მითხრა. რომელ დედას უხარია შვილის ავღანეთში გაგზავნა, არ მინდოდა, წინააღმდეგობა გავუწიე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ეს გადაწყვეტილება მიიღო. არც კი მეგონა ასეთი საშიშროება თუ იყო იქ. მთელი ექვსი თვით იყო წასული, პირველ მისიაში და საღ-სალამათი ჩამოვიდა იქიდან. რომ ჩამოვიდა ვუთხარი, მეორედ არ გაბედო წასვლა მეთქი. არაო, მითხრა, მაგრამ ექვსი თვე შესრულდა ამ მისიის დასრულებიდან და ისევ წასვლის შესახებ დაიწყო საუბარი. მეორედ კი, ეს უბედურება დაგვატყდა თავს... მის განსაკუთრებულ გმირობაზე დღეს მისი მეგობრები საუბრობენ, მეც ვი-

ცი, რომ ის ნამდვილი ვაჟკაცი იყო. ვიცი, რომ ჩემი შვილი ნაღმზე მის მეგობარ გივი ფანცულაიასთან ერთად აფეთქდა.

არ ვტრაბახობ, მაგრამ ბავშვობიდან ძალიან ჭკვიანი და ზრდილობით გამორჩეული იყო ყოველთვის. მთელი სოფელი მას საუკეთესო პიროვნებად დაგიხასიათებთ, ყველას განსაკუთრებით უყვარდა, განსაკუთრებით მასწავლებლებს. პრინციპული ბავშვი იყო, ამბობდა, გენერალი უნდა გავხდეო და კარიერული წინსვლის იმედით ენერგიას არ იშურებდა... ავღანეთში იმისთვის წავიდა, სამხედრო სამსახურში ყოფილიყო და კარგი გაეკეთებინა ქვეყნისთვის. მას მთელი ცხოვრება სურდა სამხედრო სამსახურში ყოფნა. ყოველთვის ცდილობდა, რომ სახლშიც სამხედრო ტანსაცმელი ეტარებინა. ისე იყო შეჩვეული ამ ყველაფერს... ნამდვილად ამაყობდა, რომ თვითონ იყო ჯარისკაცი და სამშობლოს დამცველი. არასდროს უამაყია, რომ ის აგვისტოს ომის მონაწილე იყო. შიში კი მისთვის გამორიცხული იყო. არასდროს უთქვამს, რომ მას რა-

მის ეშინოდა. იმ დღეს, როდესაც ამ უბედურების შესახებ გავიგეთ, შობა თენდებოდა... სწორედ ამ დღეს მოხდა ჩემს ოჯახში უბედურება... მთელმა ქვეყანამ საკადრისი პატივით იგლოვა ჩემი შვილი. არასდროს დამავიწყდება. მინისტრი ახალაია შემოვიდა ჩვენთან სახლში,

არასდროს დამავიწყდება მისი ცრემლიანი სახე. მთელი სოფელი ფეხზე იდგა და ქვა ატირდებოდა ჩვენი საცოდაობით... არასდროს ამოვა ჩემი გულიდან ეს სახე, ის იდგა და ტიროდა, ამხელა კაცი. ძალიან დიდი ტკივილი და ამავდროულად დიდი სიამაყეა, როცა იცი, რომ გმირის დედა ხარ“.

შალვა ფაილოძეს გარდაცვალების შემდეგ პრეზიდენტმა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიანიჭა. ოჯახი ამ ჯილდოს სათუთად ინახავს. ძმის გმირული თავდადების შემდეგ, რომეო ფაილოძეც ისევ სამხედრო სამსახურში დაბრუნდა...

რომეო ფაილოძე (ძმა): „ორივე ერთად ვიყავით წასული სამხედრო სამსახურში. გვინდოდა საქართველოს გულისთვის გვემსახურა. მე წამოვედი, ფიზიკურად ვერ გავუძელი და ის დარჩა. სწავლებას კრწანისში გადიოდა. შალვა სამხედრო პიროვნება იყო და ქვეყნის წინაშე შესრულებულ მოვალეობებზე ხმამაღლა არასდროს საუბრობდა. თვითონ იცოდა ყველაფერი, რაც გააკეთა. ძმაკაცთან ერთად მოვიდა იმ დღეს, როდესაც გვითხრა, ავღანეთში მივდივარო. პირველი მისიის დასრულების შემდეგ ისევ გადაწყვიტა მეორედ წასვლა. ჩასვლისთანავე დარეკა. 19 დეკემბერს ვესაუბრე ბოლოს... არ შეგეშინდეთ, კარგ ადგილას ვარ, უბრალოდ, ტელეფონი აღარ იჭერსო. ავღანეთში ყოფნის პერიოდში სამოთხჯერ გვქონდა სულ დარეკილი. წინა დღეს მეგობრებისთვის უთქვამს, ხვალ სახლში უნდა დავრეკო და ჩემს ოჯახს შობა უნდა მივულოცოო, მაგრამ დილას, გამთენიისას ეს უბედურება დაატყდა თავს. ჩემი ძმის დაღუპვის შემდეგ მე ისევ დავიწყე მუშაობა და ახლა ისევ სამხედრო სამსახურში ვარ, მაგრამ სამოქალაქო კუთხით... მეამაყება ჩემი ძმის სახელი და ის, რომ დღეს ქართველი გმირის, შალვა ფაილოძის ძმა ვარ“!

გოგა აფციაური

შეგნებული არჩევანი

6 ივნისს მეუღლის შეტყობინება მივიღე, მგონი ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები დაიღუპნენ, ჯეიმს აპატურაი სამძიმარს გვიცხადებსო.

ვერ ვიჯერებ, თან ვფიქრობ, რომ შეუძლებელია აპატურაი ცდებოდეს. თავდაცვის უწყებამ მოგვიანებით 7 ჯარისკაცის დაღუპვა დაადასტურა. თვითმკვლელი მოიერიშის თავდასხმის შედეგად ჰელმანდის პროვინციაში კიდევ ერთხელ დაიღვარა ქართული სისხლი. 7 დაღუპულიდან 3 გორელია. ვერაფერს ვამბობ, ყელში ბურთი მაწვება და ვფიქრობ, რისთვის იღუპებიან ქართველი ჯარისკაცები სხვის ომში? რა დაგვრჩენია ავღანეთში? ცოტა დავკარგეთ საკუთარ ომებში, რომ ახლა სხვის ომში არ გავწიროთ თავი? ეს ნატო მაინც არ გვიხნის კარს და ღირს კი ამდენ მსხვერპლად ეს ყველაფერი? რატო იყო ასე დაუცველი ქართული ბაზა? – უამრავი კითხვა მიტრიალებს და პასუხებს ვეძებ. გარემოც სულ უფრო დამუხტული ხდება. ყველას ემოცია აქვს მოწოლილი. სოციალურ ქსელებში ნატოს ხელმძღვანელობის ლანძღვაზე არიან გადასული.

რამდენიმე დღით ადრე ნატოს კვირეულში ვმონაწილეობდი, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელები ღია ტექსტით გვეუბნებიან, რომ ჩვენი თავდაცვის ბატალიონების მონაწილეობა ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში არ არის ნატოში საქართველოს მიღების მთავარი ფაქტორი. საჭიროა ქვეყანამ დემოკრატიული კურსი გააგრძელოს, დაცული იყოს ადამიანის უფლებები, არჩევნები ჩატარდეს გამჭვირვალედ და სამართლიანად, სასამართლო გვქონდეს პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი, მედია დამოუკიდებელი და ნატოს კარიც გაიღებაო.

2005 წლის გორის ტერაქტი მახსენდება, რომლის თვითმხილველიც ვიყავი და ვიცი, ეს რა საშინელებაა, დაღუპული მოქალაქეები, პანიკა, შიში, უმწეობის და დაუცველობის შეგრძნება, ამას ვგრძნობდი მაშინ. ტერორიზმს საზღვრები არ გააჩნია, ტერორიზმი მსხვერპლს არ არჩევს, მისთვის სულ ერთია ვის შეიწირავს.

გონება ცივდება, პირველი ემოციაც გადადის და ვიცი, რომ ეს ბიჭები სხვის ომში არ იბრძვიან, ვიცი, რომ ეს არის თავგანწირვა და ანგარება ამ საქმეს არ ახლავს. ვიცი, რომ მსოფლიო უსაფრთხოებაში ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ, იმისთვის, რომ ქვეყანა გვქონდეს უსაფრთხო და დაცული, ვიცი, რომ ეს არის ერთადერთი გზა ევროპული სტრუქტურებისკენ და შესაბამისად, ჩვენი განვითარებისკენ და თუ ამ ყველაფრის მისაღწევად თავს სწირავ, ეს სამშობლოსთვის თავგანწირვა და გმირობაა.

კეთდება რეპორტაჟები დაღუპულთა ოჯახებიდან, ამ რეპორტაჟების ძირითადი აზრი ის არის, რომ ეს ახალგაზრდები ავღანეთში მძიმე სოციალური პირობების გამო წავიდნენ. ეს ყველაფერი მაღიზიანებს, ვერ ხვდებიან დაღუპულთა ახლობლები და ჩემი კოლეგები, რომ ასეთი ფრაზებით იმ გმირობას აკნინებენ, რაც ამ ბიჭებმა ჩაიდინეს. უამრავი გაჭირვებულია საქართველოში, მაგრამ ყველა ჯარში არ მიდის. ამ ახალგაზრდებმა კი შეგნებული არჩევანი გააკეთეს. არჩევანი გლობალური უსაფრთხოების და სიმშვიდის დასაცავად, შესაბამისად, საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად. ვიცი, რომ მათ ოჯახებს მართლა ძალიან უჭირთ, სახელმწიფოც ნაკლებად ზრუნავდა დაღუპულთა ოჯახებზე და ვეტერანებზე...

სამი წლის განმავლობაში საქართველოს ქვედანაყოფმა ავღანეთში 29 სამხედრო მოსამსახურე დაკარგა. შიდა ქართლიდან 7 ახალგაზრდა დაიღუპა. რამაზ გოგიაშვილი, ბესიკ ნინიაშვილი, ალექსანდრე კვიწინაძე, ზურაბ გურგენაშვილი, ბორის ცუგოშვილი, გიორგი ადამოვი... მათმა გმირულმა დაღუპვამ საზოგადოება და ხელისუფლება გამოაფხიზლა. ახლა იწყებს სახელმწიფო დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვას და შესაბამისად, ზრუნვას მომავალ თაობაზეც. როგორ უნდა დააფასოს სახელმწიფომ ამ გმირების ღვაწლი? მხოლოდ მათი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესებით? მე ვფიქრობ, რომ ამ გმირების ღვაწლი მაშინ დაფასდება და ვალსაც იმ დროს გადავიხდით, თუ საკუთარ ქვეყანას განვავითარებთ, საბოლოოდ დავასრულებთ ევროპულ და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციულ პროცესებს და ამით მომავალ თაობას დავუტოვებთ უსაფრთხო, მშვიდ, დემოკრატიულ და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოს.

მეოთხე

უმცროსი სერჟანტი

ზვიად დავითაძე

22.11.1979-13.05.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2000 წლიდან. მიღებული აქვს III ხარისხის მედალი „უმწიკვლო სამსახურისთვის“. დაიღუპა 2013 წლის 13 მაისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

ნათელა თომაევამ ორი ჯარისკაცი გაუზარდა სამშობლოს... ორივე ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობას შეეწირა... 2007 წელს, ერაყიდან დაბრუნებული უფროსი ვაჟი, სისხლის გათეთრებით დაეღუპა... მეორე ვაჟის გარდაცვალებას ვერ მოესწრო... დედამ უფროსი შვილის დაკარგვა ვერ გადაიტანა და რამდენიმე თვეში გულის შეტევით გარდაიცვალა. 33 წლის ზვიად დავითაძე, 2013 წლის 13 მაისს, ავღანეთში თალიბების ტყვიას ემსხვერპლა...

ხათუნა ჯოჯუა, ზვიადის მეუღლე: „ზვიადი ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში დაიბადა. მეორე შვილი იყო. დედამისი ზვიადზე რამდენიმე თვის ორსული იყო მამა რომ დაეღუპათ. ობლობაში იზრდებოდნენ ძმები. ჩემი მეუღლე ძალიან ბეჯითი ბავშვი ყოფილა. სკოლა ხუთებზე აქვს დამთავრებული. შემდეგ სავალდებულოში გაიწვიეს, მისი დამთავრების შემდეგ კი კონტრაქტს მოაწერა ხელი და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სამშობლოს სადარაჯოზე იდგა... მისი ძმაც სამხედრო იყო. როდესაც ზვიადს კონტრაქტზე ხელი მოუწერია, ჩემი

დედამთილი ძალიან განიცდიდა ამ ამბავს... ორივე ძმები მონოდებით ჯარისკაცები იყვნენ“...

ძმის დაკარგვა ზვიადს მძიმედ გადაუტანია. ძმისშვილის ტყუპებს, საკუთარი შვილებივით ზრდიდა... მომავალი მეუღლე სწორედ ძმის ოჯახში გაიცნო...

„მე და ზვიადმა ერთმანეთი 2007 წელს გავიცანით და რამდენიმე თვეში დავქორწინდით... ერთმანეთი ზვიადის ძმის მეუღლემ გაგვაცნო. მე და ჩემმა მეუღლემ ერთად ექვსი ულამაზესი წელი ვიცხოვრეთ... 2008 წლის 15 მაისს გაგვიჩნდა ლიზი, რომელმაც ორივე ძალიან გაგვაბედნიერა. უზომოდ ბედნიერი მამა იყო... ზვიადი საუკეთესო მეუღლე და უფრო საუკეთესო მამა იყო... რაც არ უნდა დაღლილი მოსულიყო სამსახურიდან, ყოველ საღამოს გაჰყავდა ბავშვი სასეირნოდ. რაც დავოჯახდით, თბილისში წამოვედით საცხოვრებლად... ის ყოველთვის ახერხებდა ჩემს გაოცებას... მე დასავლეთიდან ვარ და ზაფხულობით ყოველთვის იქით მოვდიოდი. თბილისში რომ ვბრუნდებოდი, სახლში ყოველთვის ახალი საყოფაცხოვრებო ნივთი მხვდებოდა... ექვსი წლის განმავლობაში, ყოველ ზაფხულს ასეთ სიურპრიზებს მიწყობდა. ჩვენ ნულიდან დავიწყეთ ცხოვრება და ვცდილობდით ჩვენი საკუთარი მომავალი შეგვექმნა. მისი სამომავლო გეგმები თბილისში სახლის შეძენას უკავშირდებოდა. თბილისში, ვაზიანის ნაწილში მსახურობდა და ქირით ვცხოვრობდით... მას ყოველთვის შეეძლო ჩემი გაოცება. ბავშვი რამდენიმე თვის მყავდა, რომ დასავლეთში, ჩემს მშობლებთან ვიყავი ჩამოსული. იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა და რიკოთის უღელტეხილი ჩაიკეტა. შაბათს დავურეკე და მითხრა, გზა არ არის და ვერ ჩამოვალო. რამდენიმე საათში უკვე ჩემი მშობლების ეზოში იდგა. რიკოთი ფეხით გადმოუვლია...

სამსახურიდან გამომდინარე ხშირად გასული იყო. ისევ მგონია, რომ სხვაგან არის წასული და მალე უნდა დაბრუნდეს... ძალიან ძნელია მის გარეშე ყოფნა...

სულით და გულით ჯარისკაცი იყო. რამდენიმე წლის წინ, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო გამოშვებაში იმიტირებული „ქრონიკა“ რომ გავიდა, ახალი მოსული იყო სამსახურიდან. მაშინ ბავშვი წლინახევრის იყო. როგორც ეს ინფორმაცია მოისმინა, მაშინვე სახლიდან გავარდა. კარებთან გადავუდექი, სად მიდიხარ, მარტოს როგორ გვტოვებ-მეთქი. ისე წავიდა, არაფერი უთქვამს... ერთი საათის შემდეგ სახლში რომ დაბრუნდა, ვუსაყვედურე, რუსის ჯარი თუ თბილისში შემოდიოდა, შენ სად მიდიოდი, აქ ბავშვთან ერთად მარტო როგორ მტოვებდი-მეთქი. ასეთი პასუხი გამცა, ხათო, აქ რომ დავრჩენილიყავი, მხოლოდ შენზე და ბავშვზე უნდა მეზრუნა და იქ წასული კი მთელს საქართველოს დავიცავდიო. ამას ყველა არ გააკეთებდა, ყველა თავის ოჯახზე იფიქრებდა, რომ სადმე გადაემალა. ზვიადი ნამდვილი პატრიოტი იყო...

ავღანეთში პირველად წავიდა. 16 მარტს გავაცილეთ... იმ დილით ჩვეულებრივ ადგა, გამოგვემშვიდობა და ნათესავმა წაიყვანა ვაზიანის ნაწილში. მე და ლიზიმ კიბეებზე ჩავაცილეთ, გაღიმებული სახით დაგვტოვა... მაინც ცხელ წერტილში მიდიოდა და ძალიან ვნერვიულობდი. მამშვიდებდა მე არაფერი მომივა, კარგად ვიქნები, თავს მიხედეთო. ავღანეთში ჩასვლის დღიდან ყოველ საღამოს „სკაიპით“ გველაპარაკებოდა. „როგორ ხარ, რა ხდება მანდ“– ჩვენი საუბარი ყოველთვის ასე იწყებოდა. სულ მამშვიდებდა, აქ არაფერია საშიში, ტყუილად ნერვიულობო... ბოლოს, 12 მაისს ველაპარაკე. ლიზი იმ დღეს კომპიუტერში ეფერებოდა მამას... დაგვიბარა, ხვალაც ამ დროს შემოვალო... 13 მაისს უკვე ეს ტრაგედია დატრიალდა...

ზვიადის ჰელმანდის პროვინციაში ჩვენი ბაზის საწყობი ებარა. იქვე ჰქონია გაშლილი თავის კარავი. ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ჰქონდა საკუთარი სამსახურის მიმართ და ერთი წუთით არ შორდებოდა საწყობს. 13 მაისს დანაღმული მანქანა სწორედ საწყობის კედელთან აფეთქდა... კედელი გადაინგრა და ზვიადის კარავი ნანგრევებში მოჰყვა... მაშინვე გარდაცვლილა...

იმ დღესვე დამირეკეს თავდაცვის სამინისტროდან და მითხრეს, რომ ზვიადი აღარ იყო...16 მაისს, დილის 7 საათზე ჩამოასვენეს... 22 მაისს სამტრედიის რაიონის სოფელ კვირიკეში დავკრძალეთ...

ლიზი დღემდე კითხულობს მამას. რამდენჯერაც კომპიუტერს ჩავრთავთ იმდენჯერ მეკითხება, მამიკო არ დაგველაპარაკებაო... ბავშვს ძალიან უნდოდა წითელი ციფრული ფოტოაპარატი, ზვიადის ნივთები რომ ჩამოგვიტანეს, ლიზისთვის წითელი აპარატი ჰქონდა ნაყიდი... ეს მისი უკანასკნელი საჩუქარი აღმოჩნდა შვილისთვის“...



მეოთხე

სერჟანტი

გიორგი კიკაძე

16.01.1988-25.12.2012

საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო ბატალიონის მებრძოლი. დაიღუპა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში

2012 წლის 19 დეკემბერს, ჰელმანდის პროვინციაში ქართველების ბაზიდან გასული 24 წლის გიორგი კიკაძე თალიბებმა ტყვედ აიყვანეს... ამერიკული შენაერთები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ქართველი ჯარისკაცი ექვსდღიანი ტყვეობიდან ცოცხალი დაეხსნათ, მაგრამ... როგორც ექსპერტიზის დასკვნამ აჩვენა, გიორგი ექვსდღიანი ტყვეობის შემდეგ, 25 დეკემბერს მოკლეს... ამ ამბავმა მაშინ მთელი საქართველო შეძრა...

ნინო მეყანწიშვილი, გიორგის დედა: „1988 წლის 16 იანვარს ბორჯომის რაიონის სოფელ ზანავში დაიბადა. სამი შვილი გვყავდა, გიორგი უფროსი იყო... დაუზარელი ბიჭი იყო, ბავშვობიდან ტყეში დადიოდა შეშაზე, ყველანაირად გვერდში

ედგა ოჯახს. მშვიდი და წყნარი ბიჭი მყავდა... მეცხრე კლასამდე საუკეთესო მოსწავლე გახლდათ. სკოლის დამთავრების შემდეგ, ეროვნულ გამოცდებზე ისე გავიდა, რომ არც ერთ საგანში არ მომზადებულა, თავისი ცოდნით ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხისა და მართვის აუდიტზე. მესამე კურსზე იყო, აკადემიური რომ აიღო და ჯარში წავიდა. 2009 წელს კონტრაქტს მოაწერა ხელი. მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ვერაფერს გავხდი...

ავღანეთში პირველად 2010 წლის ოქტომბერში წავიდა, ძალიან ვნერვიულობდი. სულ იმას ვეუბნებოდი, თავს გაუფრთხილდი, ძალიან ვნერვიულობ-მეთქი. მაშინ, ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ საღამოს გვირეკავდა, მამშვიდებდა, ნუ გეშინია დედა, რა გაქვს სანერვიულოო. აღტაცებული იყო თავის სამსახურით“.

ქეთინო მეყანწიშვილი, გიორგის დეიდა: „ძალიან კეთილი, მეგობრული და უანგარო ადამიანი იყო. ჩემს ხელში გაიზარდა. ძალიან კარგი მეგობრები ვიყავით... ყველას პრობლემა გულთან ახლოს მიჰქონდა, უნდოდა, რითაც შეეძლო, დახმარებოდა. დეიდაშვილებსა და ბიძაშვილებში უფროსი იყო, ყველას მიმართ მზრუნველი და ზედ გადამკვდარი... ჩემმა შვილებმა წელს დაამთავრეს სკოლა და ეუბნებოდა, თქვენს ბოლო ზარზე აქ არ ვიქნები, მაგრამ რომ ჩამოვალ, ბანკეტზე მერე მე ვიციო... ჩემს ბიჭებს სულ იმას არიგებდა, ისწავლეთ, კაცები უნდა გამოხვიდეთო... სანამ გავთხოვდებოდი, ჩემს მშობლებთან ვცხოვრობდი. განსაკუთრებით უყვარდა ბებია-პაპასთან ჩამოსვლა. არ მახსოვს არც ერთი სუფრა, სადაც მასთან ერთად მოვხვედრილვარ და ომში დაღუპული ბიჭების სადღეგრძელო ფეხზე წამოდგომით არ დაელია...“

ნიკა ბერიძე, გიორგის მეგობარი: „გიო 2009 წლის თებერვალში გავიცანი. პირველად ფორმა ორივემ ერთად ჩავიცვით და იმ დღიდან ვმეგობრობდით. პირველად ავღანეთშიც ერთად წავედით 2010 წელს. შვიდი თვე ჰელმანდის პროვინციაში ვიყავით. ერთ ბაზაზე და ერთ კარავში ვცხოვრობდით...

გიორგი გამომთვლელი იყო, სპეციალური კურსები ჰქონდა გავლილი, ეს ცალკე სპეციალობაა, რომელიც მათემატიკის კარგად ცოდნასა და სხვანაირ აზროვნებას საჭიროებს. გამომთვლელის გარეშე ცეცხლს ვერ გავხსნიდით. საუკეთესო გამომთვლელი იყო ჩვენს ასეულში. ავღანეთშიც იმიტომ ჩასვეს, რომ თავისი საქმე ძალიან კარგად იცოდა. 24 წლის იყო, მაგრამ ფიზიკურად ძალიან დიდი და ძლიერი. ავღანეთში კარვის წინ პატარა სავარჯიშო მოვაწყვეთ და იქ ვვარჯიშობდით.

ბოლოს რომ წავიდა ავღანეთში, იქიდან ხშირად მირეკავდა. ჩვენ ჯარის გარეთაც კარგი ძმაკაცები ვიყავით, ოჯახებითაც ახლოს ვართ დღემდე. გიო ჩემი მეჯვარე უნდა ყოფილიყო... ახლა მისი ძმა იქნება ჩემი მეჯვარე...

ბოლოს, ავღანეთში რომ წავიდა, ერთმანეთს კვირაში ერთხელ ვეხმიანებოდით. სანამ დაიკარგებოდა, ერთი კვირით ადრე ველაპარაკე. სულ იმას მეუბნებოდა, ნეტავ ახლა აქ მყავდეო...

რომ ჩამოვიდოდა, ცოლის მოყვანას აპირებდა. ერთი გოგო მოსწონდა. მისი სამომავლო გეგმებიც ოჯახის ირგვლივ ტრიალებდა. ბევრი იყო ჩვენს გარშემო, ვინც ხელფასიდან 100 ლარს არ აძლევდა ოჯახს. გიორგი, პირიქით, ცდილობდა, ოჯახი მოეწყო, ახალი ნივთები შეეძინა... ოფიცრის კურსების გავლაც უნდოდა...“

ნინო მეყანწიშვილი, გიორგის დედა: „საერთოდ არანაირი წინათგრძნობა არ მქონია. პირველად რომ წავიდა ავღანეთში, მაშინ უფრო ვნერვიულობდი. ახლა რომ წავიდა, ისე არ განმიცდია. რომც არ დაერეკა, არ ვნერვიულობდი. ავღანეთში 22 ოქტომბერს გაფრინდნენ. მაისში უნდა დაბრუნებულიყო... ბოლოს კოჯრიდან გავაცილეთ... ჩემი ხელით ჩავულაგე ტანსაცმელი. ტყემალი და აჯიკაც გავატანე... იმ დილით რომ გავიდა, საღამოს დამირეკა, კოჯორში ბაზაზე ვართ და იქნებ ამოხვიდეთო. მაშინვე წავედით. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ, 12 საათზე აეროპორტში უნდა წასულიყვნენ და დაუძახეს: კიკაძე, ბაზაზე დაბრუნდიო... ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. გამოგვ-

ემშვიდობა და უკან შებრუნდა. სანამ წავიდოდა, ნოუთბუქი იყიდა, იქიდან სკაიპით დაგირეკავთო... ავღანეთში იმ ბაზაზე ინტერნეტის პრობლემა ჰქონდათ, ხშირად ვერ ვეკონტაქტებოდით... ძირითადად ტელეფონზე ვუკავშირდებოდით... ბოლოს 18 დეკემბერს ველაპარაკე... ჩვეულებრივ მოვიკითხეთ ერთმანეთი. ნურაფერზე ინერვიულებ, მე კარგად ვარო... მითხრა, ერთ კვირაში ინტერნეტს გაგვიკეთებენ და „სკაიპით“ დამირეკეთო... ტელეფონზე ანგარიში გამითავდა და „ესემესი“ მომწერა, „ნინო, არ ინერვიულო, მე კარგად ვიქნებიო“... იმ დღეს, ხუთ საათზე, ტელეფონით მზის ჩასვლა გადაუღია, ბაზაზე შებრუნებულა და ტელეფონი დარჩენია. მერე ისევ გასულა გარეთ და 6 საათის შემდეგ დაიკარგა... ექვსი დღე თალიბების ტყვე იყო ჩემი მთასავით ბიჭი... 19 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები მოვიდნენ და გაგვაგებინეს ეს ამბავი... დაგვაიმედეს, თალიბები, როცა ვინმეს იჭერენ, მაშინვე კლავენო, გიორგი ცოცხალია, არაფერზე არ ინერვიულოთო. ამერიკელ გენერალს ველაპარაკეთ და გვითხრა, ცოცხალია, ერთი თმის ღერიც არ აქვს ჩამოვარდნილიო... ამერიკა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ დაიხსნან, იციან, სადაც ჰყავთ, მაგრამ ოპერაციას ვერ ახორციელებენო... სამინისტროდან ყოველდღე მოდიოდნენ და ახალ ინფორმაციებს გვაწვდიდნენ. დიდი იმედი გვქონდა, რომ ცოცხალი დაგვიბრუნდებოდა, მაგრამ... როგორც ექსპერტიზის დასკვნამ აჩვენა, ჩემი შვილი 25 დეკემბერს მოკლეს... ნაწამები არ იყო, თავში ჰქონდა ერთი ტყვია მოხვედრილი... 29 დეკემბერს ჩამოასვენეს. პირველ იანვარს სახლში მოასვენეს... მისი ნივთები რომ ჩამოიტანეს, ძალიან ბევრი რაღაც ჰქონდა ნაყიდი თავისი ძმებისთვის... ახალი აღთქმა და ლოცვანიც ვნახეთ მის ნივთებში...“

ქეთინო მეყანწიშვილი, გიორგი კიკაძის დეიდა: „ავღანეთში წასვლამდე ჩემთან გამოვიდა გამოსამშვიდობებლად. იმ დღეს ვიქეიფეთ და წასვლის წინ მითხრა, იქიდან თუ ცოცხალი ჩამოვედი, მერე მე ვიცი, შენს შვილებს, როგორ სიურპრიზს გავუკეთებო. გავუბრაზდი, რას ჰქვია, ცოცხალი თუ ჩამოხვედი, შენ კარგად იყავი და მე შენი არაფერი მინდა-მეთქი. მერე სოფელში წავიდა პაპა-ბებიას სანახავად, იქაც ასე უთქვამს, თუ იქიდან ცოცხალი ჩამოვედი, ყველაფერი კარგად იქნებაო... არ ვიცი, ალბათ, რაღაცას გრძნობდა... როგორც ვიცი, სამეგობროშიც ჰქონდა იგივე ნათქვამი. პირველად რომ მიდიოდა ავღანეთში, ასეთი რამ არ უთქვამს... ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, ყველგან ჯარზე ლაპარაკობდა...“

ეკა მიშველაძე

„ჩემთვის ეს ბიჭები გმირები არიან“

როდესაც ამ წიგნის ავტორებმა დამირეკეს და ჩემი ემოციის ფურცელზე გადმოცემა მთხოვეს ავღანეთში მომსახურე ქართველ ჯარისკაცებზე და იქ დაღუპულ მებრძოლებზე, ერთი ისტორია გამახსენდა. ეს, ალბათ, მარტო ჩემი ემოცია არ არის, თუმცა, ვფიქრობ, საინტერესოა.

13 მაისი... ორშაბათი. თითქოს ჩვეულებრივი საინფორმაციო დღეა, არაფერი განსაკუთრებული: ვიღაც ჩამოვიდა, ვიღაც წავიდა, დაიჭირეს, გაასამართლეს, პოლიტიკური დაძაბულობა, საკრებულო, მერია, პარლამენტი, მთავრობა, სპორტი, კულტურა და ა.შ. 20-საათიან „მოამბემდე“ სულ რამდენიმე წუთი რჩება, გამოშვება დაწერილი მაქვს. პროდიუსერი მეუბნება, რომ ეთერს თავდაცვის მინისტრის საგანგებო ბრიფინგით ვიწყებთ. „ნიუსრუმში“ ჯერ არავინ ვიცით რა მოხდა...

ზუსტად 20.00 - ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მდებარე ქართულ ბაზაზე, თვითმკვლელმა ტერორისტმა და მეამბოხეთა ჯგუფმა თავდასხმა განახორციელა. სამი ქართველი მოსამსახურე დაიღუპა: საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე, კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა.

გვარებიც ჩავიწერე, კიდევ ერთხელ, ბრიფინგის დასრულების შემდეგ უნდა გამოვაცხადო, იმიტომ, რომ ეს ადამიანები ჩემთვის გმირები არიან, რომლებმაც თავი საქართველოს მომავლისთვის გაწირეს. აღარ მახსოვს იმ დღეს მინისტრმა მათი ასაკიც თქვა თუ არა, ყოველ შემთხვევაში ყველანი ძალიან ახალგაზრდები იყვნენ. ცუდ ხასიათზე დავდექი, გული მეტკინა და ჩამწყდა, დამენანა ბიჭები, მათი ოჯახის წევრები შემეცოდნენ... ასეთ დროს, სულ იმაზე ვფიქრობ, ვინ დარჩათ ნეტავ და ამ საშინელებას როგორ გადაიტანენ. მაგრამ, ამავე დროს გული სიამაყით მევსება, ჩემთვის ეს ბიჭები ნამდვილი გმირები არიან.

დღე დასრულდა... ტრადიციულად, დღის ბოლოს, სოციალურ ქსელს „ფეისბუქს“ გადავავლე თვალი. მთავარი განხილვის თემა აქაც დაღუპული ჯარისკაცები არიან, თუმცა შეფასებები არაერთგვაროვანია: ზოგი მათ ავღანეთში ყოფნას აპროტესტებს, ზოგს მოსწონს, ზოგი მათ ფულზე გაყიდულებს უწოდებს... მოკლედ, შეფასებებს „ფეისბუქის“ მომხმარებელი, ტრადიციულად, არ იშურებს.

რადმენიმე დღე გავიდა. ამასობაში ფოთში რაღაც ღონისძიებაზე წასვლა მომიწია: ქართულ-ამერიკული ერთობლივი პროექტი, რამდენიმე მილიონიანი ინვესტიცია, სპეციალურად ამ დღისთვის ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული სტუმრებიც არიან - ბიზნეს და პოლიტიკური წრეებიდან. ერთ-ერთი მათგანი ჯიმ ობრაიანი, სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელია. გზაში ყველაფერზე ვისაუბრეთ: ორმხრივი ურთიერთობები, დღევანდელი პოლიტიკური და ბიზნეს ვითარება, პერსპექტივები და აისაფის მისიაში ქართული წვლილი. დაღუპულ ჯარისკაცებზე მოვუყევით, ვუთხარით რაც

მოხდა. დეტალურად დაინტერესდნენ მომხდარით. ყველაფერი ვუამბე, რაც ვიცოდი, დაღუპული სამხედროების სახელები და საცხოვრებელი ადგილიც კი მკითხეს. უკან დაბრუნებისას კი, ჩემდა გასაკვირად, მათ სურვილი გამოთქვეს რომელიმე დაღუპული სამხედროს ოჯახისთვის სამძიმარი პირადად გამოეცხადებინათ.

სამტრედიის რ-ნი სოფელი კვირიკე. ბევრი ვეძებეთ, კითხვა-კითხვით მივედით. ავღანეთში დაღუპული უმცროსი სერჟანტის ზვიად დავითაძის სახლი ყველამ იცოდა. როგორც კი ეზოში შევედით, გული ისევ ისე მომეწურა, როცა ამ სამხედროების დაღუპვის ამბავი გავიგე. ეზოში ბევრი ხალხია, კიბე ავიარეთ, ოთახში შევედით. მე ყველამ მიცნო, ამ ხალხს კი გაკვირვებულები უყურებენ. ჭირისუფალთან გავჩერდი და ვუთხარი ვინც იყვნენ და მათთან რატომ აღმოჩნდნენ. ქალებმა მადლობაო, ჩაილუღლუღეს. უკვე გამოვდივართ, მაგრამ ვიგრძენი, რომ ერთ-ერთი სტუმართაგანი არ მომყვება. მივიხედე და ჯიმი ოთახში თვალდახუჭული დგას. რამდენიმე წამში კი ლაპარაკი დაიწყო, თან მთხოვა მეთარგმნა: „მე ამერიკელი ვარ და აქ იმისთვის მოვედი, რომ პირადად გითხრათ მადლობა ასეთი გმირობისთვის. თქვენი შვილი, ქმარი, ძმა, ოჯახის წევრი, ვინც იყო ის თქვენთვის - ნამდვილი გმირია. ის საკუთარი ქვეყნის და მსოფლიოს უკეთესი მომავლისთვის, უსაფრთხოების დასაცავად დაიღუპა. დიდი მადლობა თქვენ ამისთვის, მადლობა, რომ ასეთი ვაჟაკცი გაზარდეთ. მე კარგად მესმის თქვენი ტკივილი, მე თვითონ მყავს ომში დაღუპული ოჯახის წვერი და ვიცი რას ნიშნავს ეს დანაკარგი. მადლობა თქვენ და ბოდიში, კიდევ ერთხელ“.

საუბრისას ამ ამერიკელ სტუმარს ცრემლები მოსდიოდა. მეც ვტიროდი და ყველა იქ მყოფი. გარეთ გამოვედით და მანქანაში ჩავსხედით. ჩვენს თანამგზავრებს მოვუყევი, რატომ შევყოვნდით. ავტომობილის დაძვრამდე კი, შავებში ჩაცმულმა მამაკაცმა ფანჯარაზე მოგვიკაკუნა: - დიდი მადლობა გადაეცით ამ ადამიანებს ასეთი შეწუხებისთვის და უთხარით, რომ ჩვენ ვამაყობთ ზვიადის გამოო. - ისევ ცრემლებმა დამახრჩო...

ამასობაში კი, სოციალურ ქსელში აისაფის მისიაში მონაწილე ქართველ ჯარისკაცებზე რას არ წერენ, არ იშურებენ ღვარძლს და ცინიზმს, შეფასებები და კრიტიკა მრავალფეროვანია. სამხედროებმაც უპასუხეს: „ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ!!! ამიტომ გთხოვთ, ნუ გვიწოდებთ ყველას ფულზე გაყიდულებს! მე და ჩემმა მეგობრებმა, აქ რომ მოვდიოდით, ვიცოდით, რომ ომი დაგვხვდებოდა - ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იქნებოდა ჩასაფრებული, მაგრამ მაინც წამოვედით...

მე მწამს, რომ აქ ჩემს სამშობლოს ვემსახურები“...

ჩემთვის კი, ყველანი გმირები არიან. დიდი მადლობა ქართველ ჯარისკაცებს.

მეოთხე

სერჟანტი

ვალერიან ხუჯაძე

19.08.1976 -24.04.2012



მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაილუპა 2012 წლის 24 აპრილს, პატრულირების დროს, მოწინააღმდეგის მიერ დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული ჭრილობის შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

ხუჯაძეების ექვსშვილიანი ოჯახიდან, ორმა სამხედრო ცხოვრება აირჩია. ძმები ერთდროულად იცავდნენ საქართველოს ინტერესებს ავღანეთში... ერთი სიკვდილს ძლივს გამოსტაცეს ხელიდან, მეორე ვერ გადაარჩინეს...

ხუთ დღეში საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო... 24 აპრილს, ჰელმანდის პროვინციაში, ეკიპაჟთან ერთად, ISAF-ის სამშვიდობო მისიის ფარგლებში განხორციელებული ბოლო პატრულირება, ვალერიან ხუჯაძისთვის საბედისწერო აღმოჩნდა... 36 წლის სერჟანტი, მოწინააღმდეგის მიერ დადებულ თვითნაკეთ ნაღმზე აფეთქებისგან მიყენებული ჭრილობებით გარდაიცვალა...

2004 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. მანამდე კი ბავშვობა იყო...

ინდირა სამუშია, ვალერიანის მეუღლე: - შუახევის რაიონის სოფელ ცინარეთში დაიბადა. ექვსი

დედმამიშვილიდან ვალერი მეორე შვილია. 14 წლის იყო ცინარეთში სტიქია რომ მოხდა და მისი ოჯახი ზუგდიდში, სოფელ ნარაზენში გადაასახლეს... ძალიან ჭკვიანი და დინჯი ბავშვი ყოფილა... გადმოცემით ვიცი, რომ კარგი მოსწავლე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ტექნიკუმში ჩარიცხულა. ავტომანქანის ხელოსნობას დაეუფლა. სავალდებულოში გაწვევის შემდეგ, ორი წელი სამთავრობო დაცვაში მსახურობდა. შემდეგ, ასლან აბაშიძის პერიოდში, აჭარის სამთავრობო დაცვაში დაუწყია მუშაობდა. მერე კონტრაქტზე წავიდა. 2004 წლიდან შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა. თავიდან სენაკის ბაზაზე იყო, შემდეგ ქუთაისის 31-ე ბატალიონში გადაიყვანეს...

1997 წლის 3 ნოემბერს შევქმენით ოჯახში. ერთმანეთი სოფელ ნარაზენში, ბიძასთან სტუმრობის დროს გავიცანით და ორ დღეში დავქორწინდით. მაშინ ვალერი 21-ის იყო, მე 18-ის. ორი ბიჭი შეგვეძინა, უფროსი 14 წლისაა, უმცროსი კი 12-ის. ბედნიერი დედა და მეუღლე ვიყავი. ოჯახზე გადაყოლილი იყო. ცივ ნიავს არ გვაკარებდა, ყოველთვის ცდილობდა რაღაცით ვესიამოვნებინეთ... ერთად 14 წელი ვიცხოვრეთ...

ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, მაგრამ არასდროს საუბრობდა ჯარზე. სულ იმას ამბობდა, ჩემი ბიჭებიც ჯარისკაცებად უნდა გავზარდოო...

ავღანეთში მეორედ წასვლამდე, ერაყში იმყოფებოდა. პირველად, ჰელმანდის პროვინციაში რომ წავიდა, ძალიან ვნერვიულობდი. სულ მამშვიდებდა, ტყუილად ნერვიულობ, არაფერია საშიშიო... საერთოდ არაფერს ამბობდა იმაზე, იქ რა ხდებოდა და რა სიტუაცია იყო... სულ ხალისიანი და მომღიმარი იყო.

ბოლოს, რომ გავაცილეთ, ძალიან უხასიათოდ იყო... ალბათ, გული უგრძნობდა, რომ უკანასკნელად გვხედავდა...

ექვსი თვის წასული იყო... გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, 21 აპრილს ველაპარაკე. მაშინაც უხასიათოდ იყო. „სკაიპით“ ველაპარაკებოდი და მითხრა, ბავშვებიც დამანახე, მინდა, რომ დიდხანს გიყურეთო.... სულ გვენატრებოდა და ვენატრებოდით...

ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობ, ხშირად დავდივარ ტაძარში. სულ ვლოცულობდი, მშვიდობით დამიბრუნდეს ოჯახში-მეთქი... არ ვიცი რატომ, მაგრამ ბოლო პერიოდში რატომღაც სულ ისეთი განცდა მქონდა, რომ ცოცხალს ვეღარ ვნახავდი. მის გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე სიზმარი ვნახე. თითქოს, ჩვენს სახლში ძალიან ბევრი ფორმიანი ჯარისკაცი იყო მოსული... რამდენიმე დღეში ეს ტრაგედია მოხდა...

როგორც მითხრეს, ბოლო პატრულირებაზე გასვლამდე, ვერ დაუძინია. ბიჭებმა თქვეს, ყველას გვკოცნიდა და გვეფერებოდა, მალე სამშობლოში ვბრუნდებიო... დღის ოთხ საათზე, პატრულირების დროს აფეთქდა მათი ჯავშანტრანსპორტი ნაღმზე... „ჰამერში“ მძღოლის გვერდით მჯდარა. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, 18-ტონიანი ჯავშანტრანსპორტი 8 მეტრე აუგდია. ერთი ფეხი აღარ ჰქონდა... აფეთქებიდან რამდენიმე წუთი იცოცხლა, გონება არ დაუკარგავს, ლაპარაკობდა, მაშინვე ქამარი გადაუჭერია ფეხზე, სისხლდენას შევაჩერებო. მერე ერთ-ერთი ჯარისკაცისთვის უთქვამს, ეს რა დაგვემართა ზაზაო... რამდენიმე წუთი ცოლ-შვილზე ლაპარაკობდა თურმე... ნუ მომკალავთ, ბავშვებს ობლად ნუ დამიტოვებთო... მერე გონება დაუკარგავს და მალევე დაღუპულა... „ჰამერის“ გაჭრას დიდი დრო დასჭირდა, ადგილზე ჩაუტარეს ოპერ-

აცია, მაგრამ ვერ გადაარჩინეს... იმ დღეს, 9 საათზე, „სკაიპში“ უნდა შემოსულიყო და რომ არ შემოვიდა, ავნერვიულდი... რამდენიმე საათში თავდაცვის სამინისტროს წადმომადგენლები მოვიდნენ და მისი გარდაცვალების ამბავი მითხრეს... 27 აპრილს ჩამოასვენეს, დაბა ჩაქვში დავკრძალეთ...

ძმები, სანდრო და ვალერიან ხუჯაძეები, ავღანეთში სამშვიდო მისიით ერთ პერიოდში მსახურობდნენ... სხვადასხვა ნაწილში იყვნენ და ერთმანეთს ვერ ნახულობდნენ. სანდრო, ძმის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიჭრა და დღემდე რეაბილიტაციას გადის...

ქაზიმ სამუშია, ვალერიანის მამა:
- ექვსი შვილიდან სამხედრო ცხოვრება ვალერიმ და სანდრომ აირჩიეს. როდესაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, არ მითქვამს, არ გინდათ, სხვა პროფესია აირჩიეთ-მეთქი... ეს მათი

გადაწყვეტილება იყო. უმცროსი შვილი ავღანეთში დაიჭრა და დღემდე სახლში მკურნალობს. 24 აპრილს, საღამოს, ჩვენს სახლში სამხედროები მოვიდნენ და სანდრო გარეთ გაიყვანეს. მათ საუბარს ყური მოვკარი, იარაღი ახსენეს... ვიფიქრე, ავღანეთიდან დროზე ადრე რომ წამოვიდა, მისი იარაღის საკითხს არკვევენ-მეთქი. რამდენიმე წუთში ჩვენი სოფლის გამგებელი შემოვიდა ეზოში... ვალიკო დაჭრილია და გერმანიაში მკურნალობენო... უმცროსი შვილიც დამეჭრა, მაგრამ მაშინ ამდენი ხალხი არ მოსულა-მეთქი, ვუთხარი... მაშინვე მივხვდი რაც ხდებოდა ჩემს თავს, უკვე ყველაფერი გასაგები იყო... ცოტა ხანში ჩვენს სახლთან სასწრაფო სამედიცინო დახმარების რამდენიმე ბრიგადა და სამხედროები გამოჩნდნენ... ხუთ დღეში საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ასეთი უბედურება მოხდა... უმცროსი ბიჭი, საბოლოოდ გამოჯანმრთელების შემდეგ, ისევ დაუბრუნდება სამხედრო ცხოვრებას. მითხრა, ჯარში პენსიაზე გასვლამდე ვიმსახურებო... იმით ვარ ბედნიერი, რომ ასეთი შვილები გავზარდე“...

მეოთხე

კაპრალი

გივი ფანცულაია

29.08.1984-26.07.2012



საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის შემადგენლობაში მსახურობდა ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში. 2012 წლის იანვარში დაიჭრა ნაღმტყორცნის ჭურვით. 6-თვიანი მკურნალობის მიუხედავად, ჯარისკაცი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა 27 ივლისს გორის სამხედრო ჰოსპიტალში.

ოჯახის წევრები, დედას ორი თვე უმალავდნენ ავღანეთში სასიკვდილოდ დაჭრილი შვილის მდგომარეობას... კომაში მყოფ ქართველ ჯარისკაცს, ორი თვე გერმანიაში, შემდეგ კი გორის ჰოსპიტალში მკურნალობდნენ უიმედოდ... რეანიმაციის განყოფილებაში მართვითი სუნთქვის აპარატზე იყო, ექვსი თვის შემდეგ გულის ფეთქვა შეწყდა...

6 იანვარს, ჰელმანდიის პროვინციაში მტრის ნასროლი ნაღმტყორცნის ჭურვით დაჭრილ რამდენიმე ჯარისკაცს შორის, ერთ-ერთი გივი ფანცულაია იყო. აფეთქების შემდეგ, დაჭრილების დასახმარებლად მისულ ქართველ ჯარისკაცებს, გივი უკანასკნელ სიტყვებს ეტყვის – „მე არაფერი მიჭირს, სხვებს მიხედეთო“... არადა, ყველაზე მძიმედ თვითონ იყო დაჭრილი... ფეხზე ჭრილობა საკუთარი ხელით გადაუხვევია და გონება დაუკარგავს...

კაპრალი გივი ფანცულაია, სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში დაიბადა. ის ოჯახში მეორე შვილი იყო...

მამუკა ფანცულაია, გივის მამა: „ძალიან წყნარი, მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი იყო. დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა. სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ ყოველთვის სპორტსმენობაზე ოცნებობდა. გარკვეული პერიოდი რაგბსაც თამაშობდა, მაგრამ მალევე დაანება თავი. მეცხრე კლასიდან გამოსვლის შემდეგ სენაკის ტექნიკუმში, ეკონომიკურ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ერთი წელი თბილისში, დაცვის სამსახურში მოიხადა სავალდებულო. მისი დამთავრების შემდეგ ოთხწლიან კონტაქტს მოაწერა ხელი და კომანდოში ჩაირიცხა. ქუთაისში მსახურობდა. კონტრაქტის დამთავრებამდე სამი თვე ჰქონდა დარჩენილი... როდესაც სახლში თქვა, კონტრაქტით უნდა შევიდე ჯარშიო, მე და ჩემი მეუღლე სასტიკი წინააღმდეგები ვიყავით, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა. ჯიუტი იყო და რასაც იტყოდა, ვერ გადაათქმევინებდით. პირველი ხელფასით საოჯახო ნივთები შეიძინა. ამბობდა, ახლა ჩემი ძმა უნდა დავნიშნო და მერე მეც დავქორწინდებიო... სამომავლოდ გერმანიაში ფიქრობდა წასვლას, იქ ბევრი მეგობარი მყავს და ვიმუშავებო... სახლში ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. ჰყავდა თუ არა თვითონ შეყვარებული, ეგეც არ ვიცით...

პირველად, ავღანეთში, 2011 წელს წავიდა, შვიდი თვე იმსახურა... მეორედ, რვა თვის შემდეგ წავიდა და რამდენიმე თვეში უკან უნდა დაბრუნებულიყო“...

ალიკა ბაღათურია, გივის მეგობარი: „მე და გივი ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდით. ძალიან მშრომელი და უანგარო ბიჭი იყო. თუ ვინმესთვის რამის გაკეთება შეეძლო, არაფერს იშურებდა. ძალიან ბევრს ეხმარებოდა. მეც დამხმარებია რამდენჯერმე ფინანსურად... თვითონ, ძალიან გაჭირვებულ ოჯახში იზრდებოდა და კარგად იცოდა რა იყო გაჭირვება...

წასული რომ იყო, ხშირად ვეკონტაქტებოდით ერთმანეთს, ძირითადად სოციალური ქსელით ვწერდით. მე რომ მომიკითხავდა, მერე თითოეული ჩვენი ძმაკაცის ამბებს კითხულობდა, ის როგორ არის, ეს როგორ არისო... სანამ დაიჭრებოდა ერთი კვირით ადრე მომწერა. იმ დღესაც ჩვეულებრივ მოვიკითხეთ ერთმანეთი... მანდ რა ხდება, მომიყევი-მეთქი, ვკითხე. ყველაფერი კარგადააო. სამსახურზე ერთ სიტყვას ვერ ათქმევინებდით...

ბოლოს მითხრა, რომ ჩამოვალ ერთი კარგად ვიქეიფოთო... სუფრაზე ყოველთვის ამბობდა სადღეგრძელოს – ვისაც ფორმა ჩაუცვია და თავის ხელით ვეღარ გაუხდია, იმ ადამიანების შესანდობარი იყოსო... დღეს მისი ძმაკაცები ამ სადღეგრძელოს გივის სახელზე ვსვამთ... ხშირად ავდივართ მის საფლავზე, გუშინაც იქ ვიყავით...

6 იანვარს, როდესაც გივი დაიჭრა, თავდაცვის სამინისტროდან მის ძმას შეატყობინეს. ოჯახში არაფერი უთქვამს. გორში რომ ჩამოიყვანეს, საავადმყოფოში, დედამისს მაშინ უთხრეს"...

ნატო ძაგანია, გივის დედა: „დედა მოუკვდეს, 6 იანვარს დაიჭრა და 3 მარტს გავიგე... სწორედ მაშინ ჩამოიყვანეს გორის სამხედრო ჰოსპიტალში. მანამდე თურმე გერმანიაში მკურნალობდნენ და მე არაფერი ვიცოდი... კი მიკვირდა, როგორ არ გვეხმიანება აქამდე-მეთქი, მაგრამ როდესაც მის ტელეფონზე ვრეკავდი, მისი მეგობრები მპასუხობდნენ, კარგად არის, ოპერაციაზეა გასულიო. ხან რას იმიზეზებდნენ და ხან რას. იმ პერიოდში რატომღაც ერთიდაიგივე სიზმარი მესიზმრებოდა. სულ გერმანიაში, საავადმყოფოს ერთ პალატაში ვიყავი... გული რაღაცას კი მიგრძნობდა, მაგრამ ცუდზე არ მინდოდა მეფიქრა...

სად და რა ვითარებაში დაიჭრა კონკრეტულად, არაფერი ვიცით. თქვეს, რომ ნაღმტყორცნის ჭურვით დაიჭრა... მასთან საშველად მისული ჯარისკაცებისთვის უთქვამს, მე არაფერი მიჭირს, სხვებს მიხედეთო. არადა, ყველაზე მძიმედ ეს იყო დაჭრილი. როგორც ჩანს, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერთი ფეხი მოწყვიტა. თავისი ხელით გადაუხვევია ჭრილობა... ძალიან ბევრი დაზიანება ჰქონდა სხეულზე. მთელი ექვსი თვის განმავლობაში აპარატზე იყო შეერთებული. 26 ივლისს გული გაუჩერდა... მეორე დღეს გადმოვასვენეთ სოფელში... ძალიან გვიჭირს მის გარეშე ყოფნა... ყოველდღე მის საფლავზე ვართ"...

დაკრძალვის დღემდე ქართველ გმირს, საპატიო ყარაული უთევდა ღამეებს... უკანასკნელ გზაზე ჩოხოსნებმა გააცილეს... გივი ფანცულაია, მშობლიურ მიწას 27 წლის ასაკში მიაბარეს. გმირის სახელის უკვდასაყოფად კი, მის საფლავზე საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს...

მარიკა დარჩია

ცეცხლი სულ უნდა ენთოს, სულ, სულ!!!

დრო ძალიან აჩქარებულია... და თითქოს სხვანაირიც კი... ისე სწრაფად იცვლება ამბები, მოქმედი გმირები და პოლიტიკური სურათიც, რომ შეფასებას და გადაფასებასაც კი ვერ ასწრებ.... უეცრად ისეთ ამბავს დაგატეხს - ამოსუნთქვა და გასწორებაც კი არ შეგიძლია... მერე მიჰქრის და ჩაკარგავს სხვა წუთებში ამ აუტანელ სიმძიმეს...

ზაფხულია... ჩემი დრო, შორიდან ჩამოსული, მონატრებული არსებებით ივსება...

ნიკოლა და ანუშკა, ერთ მშვიდ, გარინდებულ ქვეყანაში იზრდებიან...

შვეიცარიას ომი უკვე საუკუნეებია არ შეხებია... თუმცა სულ ცოტა დრო და ნიკოლაც გაიგებს, რომ ჯარი მის ქვეყანასაც ჰყავს და მასაც მოუწევს აუცილებელი მოთხოვნების შესრულება...

ეს იქნება... მაგრამ ზაფხული იმისთვის არის, რომ ეს „ჩვენი“ დრო საქართველოს სიყვარულით ავავსო... ისინი უნდა ავუვსო და ავაფორიაქო ისტორიით, მზით, მეგობრებით, გაოცებით და სევდითაც... ჰო, ეს ჩემი მიზანია... ჩემი მოვალეობა და ჩემი უზარმაზარი სურვილი... რომ მათი ნახევარსამშობლო, ყველაზე საოცნებო და ყველაზე სანატრელი იყოს... რომ დაბრუნებაზე იფიქრონ და აქ ცხოვრებაზე... რომ იცოდნენ, როგორები ვიყავით და რამდენი რამ შეგვიძლია კიდევ... რომ აჰყვნენ ჩემს ფიქრებს და ჩემი ოცნებების ფრთებშესხმაში თავისი ადგილიც ჰქონდეთ...

დილაა, მანქანაში ვსხედვართ და ვარაზისხევში უნდა ავუხვიოთ...

ნიკოლა გაოცებული გასცქერის ცეცხლს და 2 მოდარაჯე ჯარისკაცს - ცეცხლი ანთია? ისინი რას აკეთებენ?... უკან დარჩა მზერა... და ჩემი დროც უკან წავიდა, ამბის თხრობა დაიწყო და ეს სევდიანი-საგმირო საქმეები, გაჰყვა დასიცხულ თბილისის ქუჩებს...

რაღაც ძალიან შორიდან... ცოტნეები, გიორგები, დავითი... ვამოკლებ, გასაგებად რომ გამომივიდეს... ადვილად და დასავიწყებლად რთულად... საკმაოდ ძნელია... თან ისე, როგორც მე მიფიქრია და განმიცდია... რომ 12 წლის ნიკოლას ეს არასოდეს დაავიწყდეს...

გვიან საღამოს, ისევ გვიწევს ვარაზისხევის ავლა... და ისევ გაოცება...

- ესენი ღამეც აქ არიან და ცეცხლი სულ ანთია?... და მე სხვა ისტორიას ვაგრძელებ... ტკივილსაც ვაყოლებ და რაღაც ცოტა სიბრაზეს?... ასე ვგრძნობ და ახსნაც ასეთია... ჰო, ცეცხლი სულ უნდა ენთოს, სულ, სულ!!! უნდა ენთოს იმიტომ რომ შევწუხდეთ, იმიტომ რომ ვიცოდეთ რისთვის ვდარაჯობთ, იმიტომ რომ ქვეყანას ყოველი სიცოცხლე ეძვირფასებოდეს, იმიტომ რომ ცოტანი ვართ და კიდევ იმიტომ რომ... დრო მართლაც ძალიან ჩქარობს... ჩქარობს და ფარავს თითქოს ტკივილებს...

ამიტომაც, უეცრად ძალიან მადლიერი დამტოვა, ამ ზაფხულის უწყინარმა შეკითხვებმა...

ნიკოლას უკვე ოცნებებით აქვს სავსე ცხოვრება... რას იზამს, სად ისწავლის, ვინ გამოვა... ის ჩემი სიყვარულია, ჩემი იმედი და სიხარული...

და ყოველი ბიჭი, რომელსაც ეს საოცნებო გზა უცებ უწყდება, ჩემთვის მისი ოცნებების წყვეტაა...

იმ კადრების გახსენება, რომელიც შორს, ავღანეთში წასული ბიჭების ამბავს გვატყობინებდა - დღესაც მზარავს... არც რატომ, არც ვის გამო და არც როგორ, იმ წუთში არ მოსულა... ბრაზიანია და განრისხებული კითხვები... პროტესტი!... დაუცველობის განცდა!... ეს მერე იყო...

იმ წუთის ამბავი - ტკივილი იყო... საშინელი და ცრემლიანი...

იმ ბიჭებს ათასი ოცნება ჰქონდათ, უამრავი გეგმა, მეგობარი და სიყვარული... დედები და ახლობლები შეჰხაროდნენ და ისინიც ხვალინდელზე ფიქრით ივსებდნენ დროს... და ეს ყველაფერი უეცრად შეწყდა... ვიღაცამ გაბედა და გითხრა, რომ შენი შვილი აღარ არის (რომ ვნერ მაშინაც მადგება ცერემლი)...

რომ, ის ბიჭი შენ რომ „სკაიპში“ ელაპარაკებოდი ყოველდღე - გაქრა...

გესმის ეს რა არის?...

ჩერდება დრო... ჩერდება ეს საშინლად აჩქარებული დრო...

და ამიტომ ის ცეცხლი სულ უნდა ენთოს... სულ... რადგან ეს დროც წუთით, ყვირილით და ტკივილით გაჩერებული, ისევ წავა... და მოიტანს დღეების რიგს, ამბებს, სიახლეებს...

ჩვენ კი ის ცრემლი... იმ წუთების... რომელიც ყველას ერთად მოგვადგა და ყველასი იყო უცებ... არ უნდა დაგვეკარგოს...

ძალიან ჩვენია ამბავი...

ეს ტკივილი და ცრემლია ჩვენი ქვეყანა და ჩვენი შვილების სამოსახლოც...

მეოთხე

სერჟანტი

დავით ცეცხლაძე

07.09.1975 - 30.09.2010

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ასეულის ჯარისკაცი. დაიღუპა 2010 წლის 30 სექტემბერს, სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

35 წლის ასაკში ყველაფერი მოასწრო, ყველა ცხელი წერტილი გამოიარა და ავღანეთიდან გმირად დაუბრუნდა მშობლიურ მიწას. ობლად დარჩენილმა ოჯახზე მეურვეობა 17 წლისამ აიღო თავის თავზე და ბედნიერი ოჯახიც შექმნა... სერჟანტ დავით ცეცხლაძის შვილები დღეს ამაყად იხსენებენ მამის სახელს. შვილებმა მამის სახით კარგი მეგობარი დაკარგეს... მეუღლემ მოსიყვარულე ქმარი და დედამ - იმედი...

ბავშვობიდან კინოფილმი „მამლუქი“ ჰყვარებია, თუმცა უცხო მიწაზე მებრძოლი მამლუქებისგან განსხვავებით, ის ავღანეთში საკუთარი ნებით წავიდა, არა სახელისთვის და ჩინ-მედლებისთვის, არამედ სამხედრო სულისკვეთებით და უპირველესი მოწოდებით - ის ჯარისკაცი იყო, ქართველი ვაჟკაცი...

ჰელმანდის პროვინციაში ერთ-ერთი სამხედრო დავალების შესრულების დროს, 2010 წლის 30 სექტემბერს, დავით ცეცხლაძე ნაღმზე აფეთქების შედეგად გარდაიცვალა... იმ დღეს დაურეკავს ოჯახში, დაუმშვიდებია ყველა... არ ინერვიულოთ, მე იქ ვარ, სადაც საჭიროა, ჩემი ბიჭები წინა ხაზზე არიან და მეც მათთან ერთად უნდა ვიყოო... ეს მისი ბოლო სიტყვები იყო, მას შემდეგ არც დედას, არც მეუღლეს და შვილებს, დავით ცეცხლაძის ხმა აღარ გაუგონიათ. ავღანეთიდან სამხედრო პატივით ჩამოასვენეს... უკანასკნელად მაშინ ნახეს შვილებმა გმირი მამის სახე...

აფრიკის დასახლებაში დაიბადა. 94-ე საშუალო სკოლაში დღესაც ახსოვთ ბეჯითი მოსწავლე, რომელსაც ბავშვობიდან ჰქონდა სისხლსა და ხორცში გამჯდარი თავისი ქვეყნის სიყვარული და ერთგულება.

ნინო ბერუაშვილი (დედა): - ბავშვობიდან პატრიოტი იყო. მის სკოლაში რომ მიხვიდეთ, მისი სახელი დღესაც ახსოვთ. მეხუთე კლასში მასწავლებელმა რომ ჰკითხა, რომელი ფილმი გიყვარსო, „მამლუქიო“ უთხრა. ბავშვობიდან ჰქონდა საქართველოს და სამშობლოს სიყვარული. მეტირება, რომ ვიხსენებ... ძალიან მიჭირს მასზე წარსულ დროში საუბარი. მასწავლებლებს ძალიან უყვარდათ. მეგობრებს სულში იძვრენდა, მათაც ძალიან უყვარდათ, კარგი სამეგობრო ჰყავდა. ჯარის ბიჭებიც დღემდე ვერ ინელებენ მის სიკვდილს. ვაჟკაცი და უშიშარი იყო. ერთხელ მითხრა, მე რომ სამხედრო ფორმას ჩაცვამ, აღარ გავიხდიო, ჩემ საქართველოს, ჩემ სამშობლოს სადაც დასჭირდება, იქ წავალო, მართლაც არ გაუხდია, სამხედრო ფორმაში დალია სული...

ობოლი იყო, მამა ადრე დაეღუპა, 1993 წელს... 17 წლის იყო და ოჯახს თვითონ უძღვებოდა. ხან სად მუშაობდა, ხან სად, რომ ყველანაირად გვერდში ამომდგომოდა.

ავღანეთამდე, ორჯერ კოსოვოში იყო, ორჯერ ერაყში, მედლებიც აქვს მიღებული... თუმცა არასდროს საკუთარი დიდებისთვის არ უბრძოლია, სულით იყო მებრძოლი ბიჭი... სამხედრო სამსახური ბავშვობიდან ძალიან უნდოდა. მის ძმას აქვს დამთავრებული სამხედრო აკადემია. ორივე ერთად აბარებდნენ, მაგრამ დათო ვერ მოხვდა და ძალიან დაწყდა გული, რადგან ძალიან უნდოდა ჯარში ყოფნა. ბავშვობიდან ოცნებობდა ყოფილიყო სამხედრო მოსამსახურე და სამშობლოს დახმარებოდა, ამიტომაც საკუთარი სურვილით წავიდა ჯარში, უკვე ცოლ-შვილიც ჰყავდა. სულ უნდოდა, რომ მეტი გაეკეთებინა სამშობლოსთვის, მეტი სარგებელი მოეტანა.

ძალიან კარგი შვილი იყო, მარტო ჩემთვის კი არა, ყველასთვის ძალიან თბილი და მოსიყვარულე. ბრწყინვალე მამა იყო შვილებისთვის. თბილი და მოსიყვარულე მეუღლე. ცოლთან და შვილებთან ძალიან კარგი, თბილი დამოკიდებულება ჰქონდა, ერთი ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს, არასდროს ხმა არ აუწევია ოჯახის არც ერთი წევრისთვის. შვილებსაც ასე ზრდიდა, სამშობლოს და ოჯახის სიყვარულს ასწავლიდა. ეკლესიური იყო, თავისი მამაო ჰყავდა.

დავით ცეცხლაძეს მეზობლებიც თვალცრემლიანი იხსენებენ. ყველას ახსოვს თბილი და მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც ყველაზე ზრუნავდა.

ლალი გოგიტაძე (მეზობელი): - ჩემ ხელში გაზრდილი ბავშვია, მართლა სამშობ-

ლოს მოყვარული. რაიონიდან ჩამოვედით ერთხელ მე და ჩემი მეუღლე, რომელსაც ინსულტი ჰქონდა გადატანილი. სამარშრუტო ტაქსში ავედით, დათო ბოლოში იჯდა, სამხედრო ნაწილიდან მოდიოდა. თურმე ფული არ ჰქონდა, სახლში გადარეკა, ცოლს უთხრა, ჩამომიტანე ფულიო და ჩვენ გადაგვიხადა მგზავრობის საფასური. ისეთი მოსიყვარულე და თბილი იყო, ცეცხლი გვეკიდება გულზე რომ ვახსენებთ. ჩვენი დასახლება ერთი პატარა სოფელია და ყველგან მისი სახელია და იქნება მრავალ წელიწადს. გვინდა, რომ ჩვენი, გუმათგესის ქუჩას დათო ცეცხლაძის სახელი დაერქვას. მართლა ძალიან გვინდა და თუ შევძლებთ ამას, კარგი იქნება. მარტო ჩემი კი არა, მთელი დასახლების სურვილია. მთელი დასახლება ფეხზეა, ყველას უნდა ისეთი რამ გააკეთონ, რომ ამ ბიჭის სახელი უკვდავი იყოს. ისეთი თბილი, ზრდილობიანი და სათნო ბავშვი იყო... გული მტკივა ძალიან.... ისეთი არაფრისმაქნისები დადიან, არიან ამქვეყნად და ეს სამშობლოზე სულით ხორცამდე შეყვარებული ჩვენთან აღარ არის... მართლა კარგი ადამიანი იყო, ამას გულწრფელად ვამბობ. უწმინდესი და უკარგესი ადამიანი იყო. ისეთი კარგი შვილები დატოვა, როგორც მას შეეფერებოდა. ანდა როგორ შეიძლება დათო ცეცხლაძეს ცუდი შვილები ჰყოლოდა. კარგი ოჯახის შვილი იყო თვითონაც.

როდესაც ოჯახს გაუგია დათო ავღანეთში მიდიოდა, წინააღმდეგობა გაუწევია. შეეშინდათ, რომ უბედურება შეემთხვეოდა. დარჩენას სთხოვდა ყველა, თუმცა მისგან კატეგორიული უარი მიიღეს. გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა და მის შეცვლას არავის გულისთვის არ აპირებდა.

ნინო ბერუაშვილი (დედა): - წინააღმდეგი ვიყავით მთელი ოჯახი, მაგრამ ის ისეთი იყო, რომ მაინც არ გაჩერდებოდა. მე სამშობლოს გვერდში უნდა დავუდგე და როგორც მას სჭირდება, ისე უნდა მოვიქცე. იქიდან გვირეკავდა, გვამშვიდებდა, კარგად ვარ, ნუ ინერვიულებთო. მისგან არ გამიგია ცუდად ვარ და წამოსვლა მინდაო. ჩემი ბიჭები წინა ხაზზე არიან და მე მანდ რა გამაჩერებდაო. იმ დღეს დაიღუპა ზუსტად, ეს რომ გვითხრა ტელეფონით. თქვენ ის დღე რომ გენახათ, რა ხდებოდა აქ დასახლებაში, როცა დათოს ამბავი გაიგეს, თავადვე მიხვდებით, როგორ უყვარდა ყველას და რა ენით აუწერელი ტკივილი იყო მისი დაკარგვა.

ორი ვაჟკაცი დაუტოვა სამშობლოს. უფროსს, თამაზ ცეცხლაძეს კი, სანამ ავღანეთში წავიდოდა, სთხოვა, ოჯახზე ეზრუნა. თამაზი მამისთვის მიცემულ პირობას ასრულებს. მართალია მამის პროფესიას არ გაჰყვა, თუმცა სპორტსმენია და გმირი მამის საამაყო შვილი. ამბობს, რომ მამას წასვლამდე წინათგრძნობა ჰქონდა, უკან ვერ დაბრუნდებოდა და შვილს არიგებდა, როგორ მოქცეულიყო მის გარეშე დარჩენილი.

თამაზ ცეცხლაძე (შვილი): - შესანიშნავი მამა იყო, თბილი, მზრუნველი და ცდილობდა, რომ რაც კი პრობლემა ჰქონდა, ყველაფერი კაცურად გადაელახა. ვმეგობრობდი და ყველაფერს ვუყვებოდი, მის რჩევებსაც ვითვალისწინებდი. მამაჩემს და ჩემს უმცროს ძმას უფრო სხვანაირი ურთიერთობა ჰქონდათ, ანებივრებდა და არასდროს ეჩხუბებოდა. ჩვენ კი ერთმანეთში უფრო კაცური საუბარი გვქონდა. ბავშვობაში მეც მინდოდა ჯარში მსახური, მაგრამ არჩევანი სპორტზე შევაჩერე. მამას არასდროს დაუძალებია, რომ ჯარში წავსულიყავი. უბრალოდ, მეუბნებოდა, მიყვებოდა, რაც ჯარში ხდებოდა. ყველა ბრძოლა მოიარა, ამიტომაც ავღანეთში რომ მიდიოდა ჩვეულებრივი გაცილება მოვუწყვეთ. როგორც ჩანს, გული ცუდს უგრძნობდა. მელაპარაკებოდა წასვლამდე, მეუბნებოდა, რომ ოჯახისთვის მე უნდა მომევლო და მეზრუნა მასზე. უკანასკნელი საუბარი მასთან უფრო პირადული იყო. შვილებისთვის შესანიშნავი მამა იყო. ყოველთვის ცდილობდა, რომ ჩვენ არაფერი მოგვკლებოდა. ჯარი მისი ცხოვრება იყო, სახლში რომ მოდიოდა ჯარიდან, იქაური მონატრება სულ ჰქონდა. არასდროს ნერვიულობდა, სულ ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ნებისმიერი სირთულის დროს. ძალიან მხიარული იყო - ძალიან კარგი ძმაკაცი და მამა. არასოდეს მომბეზრდება მამაჩემზე ლაპარაკი, თანაც იმდენი მაქვს გასახსენებელი, რომ ერთი წიგნი არ ეყოფა ამას.

მეოთხე

სერჟანტი

რეზო ბერიძე

16:10.1979 - 28.08.2011

მესამე ქვეითი ბრიგადის 33-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2011 წლის 28 აგვისტოს თალიბანის თავდასხმის შედეგად მიღებული სასიკვდილო ჭრილობებით, ჰელმანდის პროვინციაში.

სერჟანტ რეზო ბერიძის მხედრული ცხოვრება საკონტრაქტო სამსახურში 2002 წლიდან იწყება. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ ვანის რაიონ სოფელ ზეინდარის მკვიდრ ზაქრო ბერიძის ერთადერთმა ვაჟმა ჯარში წასვლის გადაწყვეტილება სამშობლოს სიყვარულით მიიღო. ოჯახის წინააღმდეგობის მიუხერდავად რეზოს შეკავება ვერავინ შეძლო და მალე კარიერულმა წინსვლამაც არ დააყოვნა. ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ ჯარში დაიწყებოდა რეზო ბერიძის ლამაზი სიყვარულის ისტორიაც...

ერთ დღეს, ოცეულის ხელმძღვანელმა, სერჟანტმა ბერიძემ ოცეული მოწყობაზე გამოიყვანა, მათ შორის კი ერთი ქალბატონი აღმოჩნდა. გურანდა რუსიძემაც, მომავალი მეუღლის მსგავსად, ჯარში წასვლა სამხედრო სამსახურისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი ქალს წინააღმდეგობას უწევდა, ის მაინც აქტიურად ცდილობდა იქ დამკვიდრებას და სწორედ სამხედრო ნაწილში იპოვა მან თავისი რჩეულიც. თავიდან ყველაფერი მეგობრობით და ქალისადმი განსაკუთრებული ყურადღებით დაიწყო, მოგვიანებით კი მეგობრობა დიდ გრძნობაში გადაიზარდა... ოთხწლიანი სიყვარულის ისტორია ლამაზი ოჯახით დაგვირგვინდა. გურანდა დღესაც სიამოვნებით იხსენებს იმ დღეს, როდესაც რეზომ პირველად სთხოვა ხელი და ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება მიიღეს.

გურანდა რუსიძე (რეზო ბერიძის მეუღლე): - ჩემი და რეზოს ისტორია 2005 წელს დაიწყო. მე სამხედრო მოსამსახურე ვარ და ჩემი სურვილით მივიღე ჯარში წასვლის გადაწყვეტილება. რეზოს ამ დროს მეორე კონტრაქტისთვის ჰქონდა უკვე ხელი მოწერილი და სწორედ აქ შევხვდით ერთმანეთს. მე ჩვეულებრივად „კარანტინში“ ვიყავი ჯარისკაცად, ის კი ჩემი ოცეულის სერჟანტი იყო. თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა და განსაკუთრებულად ვმეგობრობდით. ქალისთვის ჯარში ბევრი წინააღმდეგობა არსებობს, ძალიან ძნელია ფიზიკური დატვირთვა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ გავუძლებდი და გადავლახე კიდეც. რეზო ძალიან მოწესრიგებული, თბილი და ყურადრებიანი იყო. მახსოვს, ერთხელ „კარანტინში“ 45-კილომეტრიანი მარში უნდა გაგვევლო, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ რეზომ ჩემი ზურგჩანთა გამომართვა, მომეცი, მე უნდა წავიღოო და ატარა. ჯარში გატარებული გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ორივე მივხვდით, რომ ერთმანეთი შეგვიყვარდა. შეყვარებულობის პერიოდშიც და შემდეგაც უამრავ სიურპრიზს მიწყობდა. მახსოვს, ზაფხული იყო, ივნისის თვე და რესტორანში განვმარტოვდით, იქიდან გზად, სახლისკენ მომავალმა კი ხელი მთხოვა. 16 ოქტომბერს ოყო რეზოს დაბადების დღე და გადავწყვიტეთ, რომ ოჯახი 16 ოქტომბერს შეგვექმნა. მეორე დღეს ჩვეულებრივად გავედი სამსახურში, მორიგე ვიყავი, რეზო მოვიდა და მითხრა, რომ ახლა უნდა მიმეღო გადაწყვეტილება და ცოლად უნდა გავყოლოდი. რა აზრი აქვს ახლა რომ გამოგყვე განაწესში და ვერ მივიღებ ამ გადაწყვეტილებას მეთქი. შენ მაგაზე არ იდარდოო მითხრა, აიღო ტელეფონი და დაურეკა კა-

პიტანს, რომ ცოლი მოვიყვანეო, ისინიც გაოცებულები იყვნენ, განაწესიდან მომხსნეს და ერთკვირიან შვებულებაში გაგვიშვეს. ოჯახის შექმნის შემდეგ ყურადღება და მზრუნველობა არასდროს მაკლდა, ყოველ დილას, თვალს რომ ვახელდი, ყვავილები მხვდებოდა... რეზომ იცოდა, რომ მიყვარდა ყვავილები და ამიტომაც განსაკუთრებით მანებივრებდა... ბოლო თვეების მანძილზე უამრავ სიურპრიზს მიკეთებდა. დამირეკავდა და მეტყოდა, რომ ვერ ჩამოდიოდა, რამდენიმე საათში კი კარზე დააკაკუნებდა და ყველაზე ბედნიერი ვიყავი ამ დროს. ოჯახის შექმნიდან ერთი წლის შემდეგ გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. კვლევებზე მისულმა გავიგე, რომ ბიჭი მეყოლებოდა. რვათვიანი სამზადისის შემდეგ მორიგ კონსულტაციაზე გვითხრეს, გოგოს მშობლები გახდებითო. ძალიან გაგვიკვირდა, რადგან ბიჭს ველოდებოდით. საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ სამშობიაროში

მისვლამდე ერთი ექიმი ამბობდა, ბიჭია, მეორე ექიმი - გოგოაო. საბოლოოდ კი ბიჭი დაიბადა და რეზომ მამის პატივსაცემად ზაქრო დაარქვა. ზაქროს დაბადების შემდეგ ოჯახისადმი ზრუნვა და სიყვარული კიდევ უფრო მეტად გაუღრმავდა. ღამის 12 საათზე სამსახურიდან მოსული ბავშვს აღვიძებდა და ეთამაშებოდა. ჯარის მიმართ განსაკუთრებული პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა. მთელი ცხოვრება სამხედრო სამსახურში აპირებდა ყოფნას. ასე ამბობდა, სხვაგან ჩემი ადგილი არ არის, ვერ გავძლებ, აქ ვგრძნობ ყველაზე კარგად თავსო. მე ეს ყველაფერი კარგად მესმოდა, რადგან მეც ანალოგიურად ვფიქრობდი. განსაკუთრებული სიფაქიზით უვლიდა სამხედრო ფორმას, ყოველთვის მოწერისგებულად და ფორმაში უნდა ყოფილიყო. მახსოვს, 2006 წელს ერაყში რომ წავიდა მეც სულ ვეუბნებოდი, მეც ჩამოვალ-მეთქი. არ ჩამოხვიდეო, მაგრამ მაინც ჩავედი. ერთი კვირა გაგრძელდა ერთი ბატალიონიდან

მეორე ბატალიონის გადაბარების პროცესი, ჭამის დრო იყო ფაქტობრივად, თავისუფალი დრო, როდესაც ერთმანეთს ვხვდებოდით და ვსაუბრობდით.

არასდროს არ ჰქონდა შიშის მომენტი, პირიქით, ჯარი იყო მისთვის ადგილი, სადაც ყველაზე კარგად და კომფორტულად გრძნობდა თავს. აგვისტოს ომში რვა ჯარისკაცი დაიღუპა მის ჯგუფში და ყველა მათგანი თვითონ გამოიყვანა. არასდროს საუბრობდა, რომ ჩამოვიდა ამ ომზე თქვა, რაც მე გამოვიარე, ამის თქმა საჭირო არ არისო და მეც მივხვდი, რომ აღარ უნდა მეკითხა. აგვისტოს ომში ჩვენს ბრიგადას 8 ჯარისკაცი დააკლდა, ყოველდღე, როდესაც ამბობდნენ, რომ 31-ე ბრიგადაში ვიღაცა მოკვდაო, ცუდად ვხდებოდი, რადგან ეს ის ბრიგადა იყო, სადაც რეზო ირიცხებოდა. ღვთის წყალობით, აგვისტოში გადავრჩით. ომგამოვლილს კი ვერ წარმომედგინა, რა უნდა მომხდარიყო ერაყში ისეთი, რომ ასე დასრულებულიყო ყველაფერი. 2011 წლის 20 აპრილს წავიდა ავღანეთში და ოქტომბერში უნდა ჩამოსულიყო“.

ზაქრო ბერიძე (რეზო ბერიძის მამა): „ჩემი შვილი ბავშობიდან ყველასგან გამოირჩეოდა კარგი სწავლითა და ყოფაქცევით. ბეჯითი და საქმის ერთგული იყო. ვანის რაიონში, სოფელ ზეინდარში სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახურში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ჩამოვიდა და ოჯახში ყველას გაგვაცნო მისი გადაწყვეტილება, რომ ის სამხედრო სამსახურში ბოლომდე აპირებდა დარჩენას. იმდენად არგუმენტირებული და დასაბუთებული იყო მისი გადაწყვეტილება, რომ წინააღმდეგობის გაწევაც არ მიფიქრია. ვიცოდი, რომ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა

და მეც ჩემი შვილის გადაწყვეტილებას ვეცი პატივი. წლების მანძილზე იმსახურა ჩემმა შვილმა სამხედრო სამსახურში და წლებთან ერთად კარიერულმა წინსვლამაც არ დააყოვნა. მოგვიანებით მოხდა ის უბედურება, რაც მოხდა, მაგრამ მე დღეს გმირის მამა ვარ და ბედნიერები ვართ იმით, რომ მყავს მისი ვაჟკაცი ჩემი პატარა ზაქრო, რომელსაც იმედის თვალით შევყურებთ მთელი ოჯახი“.

რეზოს დაღუპვის შესახებ ოჯახმა 28 აგვისტოს გაიგო... ისტორია აქაც იდენტურია, ბერიძეების ოჯახში მივიდნენ სამხედრო მოსამსახურეები და ამ საზარელი ამბის შესახებ მიიტანეს ცნობა. სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე რეზო ბერიძემ მეუღლეს სოციალურ ქსელში წერილი დაუტოცა და მარიამობის დღესასწაული მიულოცა...

„ჩემო ბაცაცუნავ, გილოცავ მარიამობას, მრავალს დაესწარი, სახლში ხომ კარგად ხართ, ჩემი პატარა დამიკონცე, არაფერზე ინერვიულოთ, მალე ჩამოვალ, გკოცნით თქვენი რეზო“...

ავღანეთში გმირულად დაღუპულ ქართველ გმირს სერჟანტ რეზო ბერიძეს სიკვდილის შემდეგ მისმა ბატალიონმა ლექსი მიუძღვნა:

რეზოს!

მაშინ, როდესაც საქართველოში მარიამობის დილა დგებოდა,
ყველა წმინდა ეკლესიაში სანთლის ბრწყინვალე შუქი ჩნდებოდა,
მაშინ, როდესაც სამრეკლოებში ზარების რეკვა არა წყდენოდა,
ამ დროს ავღანთა მწველ მიწაზე ერთი ქართველი ტყვიით კვდებოდა...
ქართველი, რომლის მეომრულ გულსაც, შიში ვერასდროს ეკარებოდა...
გამოდგა ის ბრძოლის ველზე, ისე როგორც ნამდვილ სამხედროს ეკადრებოდა
მისი სიბრძნის და მისი გმირობის ისტორიისაც გახდა მნახველი
და ჩაიწერა სამარადისოდ სერჟანტ ბერიძე რეზოს სახელი
ბევრი დაღვრილა საქართველოსთვის ქართველთა სისხლი უცხო მხარეში,
და ბევრიც მტერთან მედგრად ჩაბმულა უთანასწორო ბრძოლის არეში
ამ ხალხთა შორის ჩვენი ქვეყნისთვის ვისაც კი ხმალზე უკვრია ხელი
ოცდამეერთე საუკუნეში შენი სისხლია ყველაზე ცხელი...
სისხლის, რომელმაც მთელს ბატალიონს და შენს ასეულს მოგვფინა სევდა...
მთელს სამშვიდობო კონტინგენტს გვტკივა შენი სიკვდილის მწარე იარა...
და იმ წუთებს ვგმობთ. როცა მტრის ტყვიამ საბედისწეროდ გამოგვიარა...
შენს გვერდით მყოფ ყველა სამხედრო მიზნად ერთი გვაქვს ცხოვრების გზაზე
რომ შენს დაწყებულ სამხედრო საქმეს მტკიცედ მივიყვანთ ბოლო მიზნამდე.
იმ შენს ოცნებას, რომელსაც ქვეყნის გამთლიანების სურვილი ერქვა
და რომლისთვისაც დღეს ღირსეულად თავდადებული გმირი დაგერქვა,
რომ სამშობლოსთვის შვიდწლიან მსახურს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ,
შენი გეგმების შესაბამისად ჩვენ გავაგრძელებთ და გავამყარებთ
მიუხედავად ამა ქვეყნიდან თავდადებულის სიკვდილით წასულს
შენის სიკვდილის დღეს დაჯერება როგორც ჯარს, ისე ნათესავს არ სურს
ვისაც კი შენი გარდაცვალებით მოულოდნელად დასწყვიტე გული
ეს ხალხი არის უპირველესაც შენი ოჯახი და შენი შვილი,
რომელსაც ვეტყვით ყოველთვის ყველა რომ მათ გვერდზე იყავი გმირი
ვეტყვით შენს ზაქროს, რომ ყველა მტკიცე კაცურ საქმეში დინჯი, ვაჟკაცი,
მამიკო ჰყავდი...
ამიერიდან ბევრს მოადგება შენს გამხსენებელს თვალებზე ცრემლი
წმინდა ტაძრებს კი არ მოაკლდება შენი სულისთვის მლოცველი მრევლი
მსუბუქი იყოს შენს სასახლეზე კრძალვით მოყრილი მიწა ქართული
და სამოთხეში უკუნისამდე წმინდა ცხოვრებით იყავ გართული
ღისეულ იყოს შენგან ნაცვეთი ყველა ქართული მუნდირ-ფარაჯა
რადგან ატარე წლების მანძილზე შენ საქართველოს მტკიცე დარაჯად.

ია მამალაძე

კონტრაქტი ნებაყოფლობით

მე არ ვარ სამხედრო საქმის ექსპერტი და გამიჭირდება სპეციალისტის ცივი გონებით ამ საკითხის განსჯა და მხოლოდ ჩემს ემოციას გამოვხატავ, რომელიც ახალი ფაქტებით კიდევ უფროა გამძაფრებული. მე იმ ფსიქიკაშერყეულ თაობას წარმოვადგენ, რომელსაც კარგად ახსოვს საბჭოთა დროის ავღანური „ამანათები“ - თუთიის კუბოები. ამ ტრაგიკულ „ამანათებსაც“, ანლოგიურად, ახლდა დღეს დასმული მტკივნეული კითხვები.

მახსოვს, ვიდეოკადრები და საზეიმო განწყობები, როცა საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს. წლების მერე, როცა სამყარო შემდგომ განვითარებული მოვლენების პირისპირ დარჩა, აღმოაჩინა, რომ პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა - ავღანეთში მშვიდობა მიუღწეველ ოცნებად იქცა, ტერმინებიც იგივე დარჩა და შედეგებიც... ტერორიზმის მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდა, უდიდესი კულტურის ქვეყანა, რომელსაც რადიკალური ისლამური პოლიტიკური ძალა მართავს, განადგურებულია, იღუპებიან ავღანელი მშვიდობიანი მოქალაქეები... იღუპებიან და სახიჩრდებიან ჯარისკაცები, მათ შორის - ჩემი ქვეყნის ჯარისკაცები...

და მაინც, ეს ყველაფერი „მშრალი“ სიტყვებია, რომლებიც გეხმარებიან, რომ ინსტინქტურად თავი დააღწიო რეალობას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება ხელშესახები, როცა მოკლული ავღანელი ბავშვის, ტერორისტული აქტის დროს დაფლეთილი გოგონას, ფეხებმოგლეჯილი ჯარისკაცის ნაცვლად, საკუთარ შვილს, დას ან ბიძაშვილს წარმოიდგენ... როცა კონკრეტულად იცი, რა ჰქვია, რა გვარია, როგორი ფერის თვალები ჰქონდა ბიჭს, რომელიც ომმა შეიწირა და რომელიც ქართული დროშის ქვეშ დაღუპული ჯარისკაცის გარდა, შენი სისხლი და ხორცია, შენი იმედი და მომავალი!...

ვცდილობ, კარგად გავაცნობიერო, რაც მესმის და რასაც ვხედავ: რომ ტერორიზმი, დღევანდელი ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში, მსოფლიო ცივილიზაციის არსებობასაც კი უქმნის საფრთხეს; რომ ISAF-ის მისია რეგიონში სტაბილურობის დამყარებას ესწრაფვის; რომ საქართველო ამ ომში საკუთარ ეროვნულ ინტერესებს იცავს; რომ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო წესრიგი; რომ სტრატეგიული პარტნიორობა მხოლოდ მაშინ არ უნდა მახსოვდეს, როცა აგვისტოს ხვატში თავზე რუსული ბომბდამშენი დამტრიალებს; რომ ომი წვრთნის ყველაზე კარგი საშუალებაა; რომ საბჭოთა დროისგან განსხვავებით, ავღანეთში ქართველი ჯარისკაცები სავალდებულო გაწვევით კი არა, ნებაყოფლობით, კონტრაქტით მიჰყავთ...

მაგრამ, მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი პრობლემის არსის „შუა ნაწილია“ - საწყისი კი, ჩემი აზრით, ისაა, რომ დღევანდელ ცივილიზაციაში ისევ აქტუალურია სიტყვა „იმპერიალიზმი“, რომელიც, სამწუხაროდ, არა და არ ძველდება; ტერორიზმთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ კიდევ

უფრო აუცილებელია მსოფლიო ძალისხმევა მისი გამომწვევი მიზეზების გადასაჭრელად მიიმართოს.

ამ ომის უზარმაზარი ენერგიის შემკრები და გამომსხივებელი „პირამიდა“ კი იმით ბოლოვდება, რომ აუცილებელია, ჩემს ქვეყანას ჰქონდეს უსაფრთხოების არათუ კარგი და მოქნილი სტრატეგია, არამედ მისხალ-მისხალ დათვლილი, რა საფასური ადევს ჩვენი ქვეყნის ჯარისკაცის მიერ დაღვრილი სისხლის თითოეულ წვეთს...

არის კი, ასე?!

ისე მოხდა, რომ სწორედ ამ დღეებში, ჩემთვის ძვირფასი და ახლობელი ოჯახის ერთადერთი ვაჟი, რომელიც ბავშვობიდან ღირსეულ ქართველ ოფიცრობაზე ოცნებობს, ავღანეთში მიდის მის ბატალიონთან ერთად. ამის გამო, ოჯახში კამათიც ხშირია, თუმცა, ეს ის შემთხვევა არაა, როცა ერთ-ერთი არგუმენტი ოჯახის რჩენა და კარგი ანაზღაურებაა. აფორიაქებულ ოჯახში, ძირითადად, ორი მთავარი კითხვა ტრიალებს და ჩემგანაც ითხოვენ პასუხს; შეშფოთებული დედა ხშირ-ხშირად, და ეს ბუნებრივია, სვამს კითხვას: რატომაა აუცილებელი, მისი შვილის - ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე სასწორზე იდოს?

ღირსეულ ქართველ ოფიცრობაზე მეოცნებე შვილი თვლის, რომ „თუ ომი არ ისწავლა, მშვიდობა როგორღა იქნება“?

მე კი ორივეს ვეთანხმები, თუმცა, ამდენი წელია, ამ ორ კითხვაზე მესამე პასუხს ვეძებ და ველოდები.

მეოთხე

კაპრალი

მინდია აბესაძე

27.10.1989-10.10.2012

მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეთი ბატალიონის საცეცხლე ჯგუფის მეთაური. დაიღუპა 2012 წლის 10 ოქტომბერს ავღანეთის სამშვიდობო მისიის ფარგლებში საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს.

„ბიჭებო არავინ ადგეთ, დაწექით“!... უკანასნელ სიტყვებს იტყვის და ჯავშანტრანსპორტიორში თალიბების შემოგდებულ ნაღმს გადაეფარება... მისმა უკანასკნელმა გმირულმა თავგანწირვამ, სამი ქართველი ჯარისკაცი იხსნა სიკვდილისგან... მინდია აბაშიძე 22 წლის იყო...

უბრალო ჯარისკაცი ვარო, ამბობდა... არადა დედა მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგებს, რამდენი ჯილდო და სიგელი ჰქონდა მიღებული... ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოს ომში იხსნა რამდენიმე თანამემამულე სიკვდილისგან და გმირის სახელით დაბრუნდა ბრძოლის ველიდან... 2011 წელს, სამშვიდობო მისიით ერაყში წასული, სიკვდილს ორჯერ გადაურჩა... პირველად თალიბების დამარხულ ნაღმზე აფეთქდა ჯავშანტრანსპორტით, მეორედ მოწინააღმდეგის ალყაში მოხვდა და ძლივს გამოაღწია...

მინდია აბაშიძე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში დაიბადა. შეიარაღებულ ძალებში 2008 წლის 4 აგვისტოდან მსახურობდა. იგი სახმელეთო ჯარების მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საცეცხლე ჯგუფის მეთაური იყო. ავღანეთის სამშვიდობო მისიაში 2010 - 2011 წლებშიც მონაწილეობდა.

ლელა, მინდია აბაშიძის დედა: „ჭკვიანი და მხიარული ბავშვი იყო. რამე თუ სჭირდებოდა ჩემს დისშვილებს ათქმევინებდა ხოლმე. თვითონ ძალიან მორიდებული იყო. არასდროს უთქვამს, დედა ეს მინდა და მიყიდეო... სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩემი სურვილით მახინჯაურის საზღვაო კოლეჯში გააგრძელა სწავლა. გემის ძრავის მექანიკოსი იყო. კოლეჯი რომ დაამთავრა, მისი ნაცნობი ბიჭები დაიღუპნენ, გემით ჩაიძირნენ და ძალიან აიცრუა გული. გადაწყვიტა, რომ სამხედრო ცხოვრებით წასულიყო. 19 წლის იყო, რომ 2008 აგვისტოს ომში იბრძოდა. 6 დღე დაკარგული იყო. მაშინაც რამდენიმე მეგობარი დაკარგა... ბრძოლის ველიდან გამოსვლის შემდეგ, იმდენად მძიმე ფსიქოლოგიური სტრესი ჰქონდა მიღებული, რომ გარკვეული პერიოდი ნევროპათოლოგის დანიშნულებით ვმკურნალობდით...

თუ რამეს ხელს მოკიდებდა, გულიანად და ბოლომდე აკეთებდა. თავის საქმის ძალიან კარგი მცოდნე იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ გავიგე, რამდენი ქების სიგელი და ჯილდო ჰქონდა მიღებული... დედა მოუკვდეს... უბრალო ჯარისკაცი ვარო, ამბობდა... იმდენად უთქმელი ბიჭი იყო, რომ ორი წელი შეყვარებული ჰყავდა და ერაყში წასვლამდე, რამდენიმე დღით ადრე გავიგე. ის გოგონა მეც გამაცნო... მითხრა, რომ ჩამოვალ დავინიშნებიო, მაგრამ არ დასცალდა... ის გოგონა ხშირად დადის მინდიას საფლავზე...

პირველად, ერაყში რომ წავიდა, ძალიან ვნერვიულობდი, სულ მაწყ-

ნარებდა, არაფერია საშიშიო... როცა ვურეკავდით, იქაურ სიატუაციაზე არაფერს ამბობდა. რომ ჩამოვიდა, ვერც მაშინ ვათქმევინეთ რამე. სამსახურზე არ უყვარდა ლაპარაკი... მხოლოდ ერთხელ მითხრა, პატრულირების დროს თალიბების ალყაში მოვყევი და ამხანაგებმა გადამარჩინესო. მეორედ მათი ჯავშანტრანსპორტი ნაღმზე აფეთქდა და მაშინაც ძლივს გადავურჩი სიკვდილსო... მე ყოველ დარეკვაზე მამშვიდებდა, აქ არაფერია საშიშიო და რამდენჯერ გადარჩენილა თურმე სიკვდილს...

მინდიას შეეძლო, რომ ავღანეთში მეორედ არ წასულიყო... იმდენად იყო სამსახურზე შეყვარებული, რომ ჩვენ არაფერს არ გვიჯერებდა... რომ გავიგე მეორედ მოანერა ხელი ავღანეთში წასვლას, მეც და ჩემი ხუთი ძმა, ყველა ფეხზე დავდექით, წინააღმდეგები ვიყავით. თბილისში ვაპირებდი ჩასვლას, მისი უფროსი უნდა მენახა და მეთქვა, აღარ გაუშვათ-მეთქი. მინდიას ვუთხარი, თავს მოვიკლავ, შენ თუ ავღანეთში წახვალ-მეთქი, მაგრამ ვერ გადავათქმევინეთ... წასვლამდე ცოტა ხნით არდე, დავურეკე და ვუთხარი, ახლა თბილისში მოვდივარ შენს უფროსს უნდა დაველაპარაკომეთქი, თავი არ მომჭრა, აქ არ მოხვიდეო-მითხრა... სულ იმას ვფიქრობ, ნეტა არ დამეჯერებინა მისთვის, თბილისში ჩავსულიყავი და მომეგვარებინა ისე საქმე, რომ არ გაეშვათ. ახლა ხომ ცოცხალი მეყოლებოდა...

ბოლოს, ავღანეთში წასვლამდე ერთი კვირით ადრე ვნახე. ერთი კვირა ბათუმში ვიყავით. მთელი დღეები ვსეირნობდით, ძალიან ბევრი ფოტო გადავიღეთ. მოწყენილი იყო და ვცდილობდი გამეხალისებინა... წასვლამდე მითხრა, მე რომ მოვკდები, ჩემს მიწის ნაკვეთში დამასაფლავეო... მაგას რატომ მეუბნები, ახლა ნუ გადამრევ-მეთქი, რა იყო დეე, გეხუმრეო...

მე თურქეთში, ერთ ოჯახში ვმუშაობდი. მინდია ბათუმიდან თბილისში გავაცილე. მეორე დღეს ავღანეთში

უნდა გაფრენილიყო. მესამე დღეს, მე თურქეთში დავბრუნდი. ფრენა გადადებულა და ესემესი მომწერა, დედიკო, მე სახლში ვარ, ფრენა გადაიდოო... კიდევ შევეხვეწე, არ გინდა, არ წახვიდე-მეთქი, მაგრამ... ავღანეთში რომ გაფრინდა, რატომღაც ყველა ბიჭში მინდიას ვხედავდი. სულ ტელეფონს ვიყავი მიმჯდარი და სახლში ვრეკავდი, ბავშვის რა ისმის, ხომ არ დარეკავს-მეთქი... ბოლოს თურქეთში ესემესი მომწერა, დედიკო ძალიან მიყვარხარ, ამ ყველაფერს შენი გულისთვის ვაკეთებო...

10 ოქტომბერს გარდაიცვალა... მინდიამ ვინც გადაარჩინა ისინი მომიყვნენ, ჯავშანტრანსპორტში ნაღმი რომ შემოგვიგდეს, მინდიამ დაიყვირა, ფეხზე არავინ ადგეთო და ასაფეთქებელ

მოწყობილობას გადაფარებია....

მისი გარდაცვალება ჩემი ოჯახის წევრებს რომ გააგებინეს, თურქეთში ჩემს სამსახურში დარეკეს... ოჯახის დიასახლისმა მითხრა, საქართველოდან დარეკეს, ვერ გავიგე მამაშენი თუ მეუღლე გარდაგეცვალაო... მაშინვე მივხდი, რომ მინდიას რაღაც დაემართა... მერე ჩემს უფროს ძმას დავურეკე, მითხარი რა ხდება, ძალიან ცუდად ვარ-მეთქი. მეუღლე გარდაგეცვალაო... მერე მეორე ძმასთან გადავრეკე და იმან მამა გარდაგვეცვალაო... მივხვდი, რომ მინდიას უბედურებას მიმალავდნენ და მესამე სართულიდან ვხტებოდი, ძლივს გამაკავეს... ბოლოს ჩემს უმცროს შვილს დავურეკე, მითხრა, დედიკო, ნუ გეშიანია, ყველაფერი კარგად არის, მინდია დაჭრილიაო... ჩემი ოჯახის ქალბატონმა მაშინვე თვითმფრინავის ბილეთი მიყიდა და საქართველოში გადმოვფრინდი... ჩემი ძმა და ნათესავი გოგო დამხვდნენ. სასწრაფოდ მამაჩემთან მიმიყვანეთ ვნახავ და ისე წავიდეთ მინდიასთან საავადმყოფოში-მეთქი... მამაშენიც საავადმყოფოშია, ახლა შენი ქმარი გამხდარა ცუდად სასწრაფო ჰყოლიათ გამოძახებული, პირდაპირ სახლში ავიდეთო. უბანში, რომ შევედით, ძალიან ბევრი ხალხი დავინახე... მივხვდი, რომ აღარა იყო ჩემი შვილი...

ნერვიულობაზე შაქარი დამემართა და თავში სითხე ჩამიდგა. ბოლო რამდენიმე თვეა, რაც მდგომარეობიდან გამოვედი... ძალიან მიჭირს მის გარეშე“...

22 წლის ქართველი გმირი მინდია აბაშიძე, მშობლიური სოფლის მინას მიაბარეს. მის საფლავზე ხშირად მიდიან თანასოფლელები, ოჯახის წევრები და ერთი გოგონა, რომელიც მინდიას მეუღლე და შვილების დედა უნდა გამხდარიყო... ცრემლი არ შრება მათ თვალზე, თუმცა გმირის მშობლების და გმირის მეგობრის სახელს თითოეული მათგანი სიამაყით ატარებს...

მეოთხე

კაპრალი

ვლადიმერ შანავა

01.04.1989-13.05.2013

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა 2007 წლიდან, მიღებული აქვს „მედალი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის“. დაიღუპა 2013 წლის 13 მაისს, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შემდეგ.

2012 წლის 13 მაისს, შანავების ოჯახი ავღანეთიდან შვილის დაბრუნებას ზეიმობდა... ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2013 წლის 13 მაისს, ავღანეთში მეორედ წასულ ვლადიმერ შანავას ოჯახს, მის გარდაცვალებას ატყობინებენ...

24 წლის კაპრალისთვის 13 რიცხვი საბედისწერო აღმოჩნდა...

ასაკის მიუხედავად ბევრი რამის გაკეთება მოასწრო. 17 წლიდან სამშობლოს ჯარისკაცი ერქვა და ამ ქვეყნიდან გმირის სახელით წავიდა...

ბაჩანა შანავა, ვლადიმერის ძმა: „სულ სამი ძმა ვართ, ვლადიმერი მეორე შვილი იყო. მხიარული და ცელქი ბავშვი ყოფილა. ჯერ კიდევ პატარა იყო, იარაღების მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინა. მამას ხშირად დავყავდით სანადიროდ. სკოლის დამთავრების შემდეგ, გერმანულ ენაში დაიწყო მომზადება, მართვის მოწმობას ავიღებ და გერმანიაში წავალ სამუშაოდო, მაგრამ მალე გადაიფიქრა. არავისთვის უკითხავს ისე ჩააბარა ნორმატივები და კონტრაქტზე წავიდა. მაშინ 18 წლის იყო... ჩაირიცხა შეიარაღებულ ჯარებში. თავიდან მეოთხე ქვეითი ბრიგადის 43-ე ბატალიონში ირიცხებოდა, სწორედ ამ ბატალიონის შემადგენლობაში იყო, რომ აგვისტოს ომში დაიწყო. კარგად მახსოვს, მაშინ შვებულებაში იყო. 8 აგვისტოს დაურეკეს და გამოიძახეს. იმ ღამეს უტრანსპორტობის გამო ვერ წავიდა და მეორე დღეს სენაკის ბაზამდე მამაჩემმა მიიყვანა. მანქანიდან გადმოსულა თუ არა, ერთ-ერთ ოფიცერს, სენაკის ბაზიდან კოლონები რომ მიდიოდა, ეხვეწებოდა, გამაყოლეთ ნაწილში უნდა ჩავიდეო... ჩავიდა თბილისში და ალბათ, უკანასკნელი მეომარი იყო, რომელიც ნაწილიდან გავიდა... ხელში ტყვიამფრქვევი სჭერია, ჯავშან-ჟილეტი არ ჰქონდა ჩაცმული, რომ სამხედრო მანქანაზე შეხტა. ომიდან 12 აგვისტოს გამოვიდა... სახლში არაფერი უთქვამს ომზე. საერთოდ არ უყვარდა ლაპარაკი და რომ გითხრათ ბევრი რამე ვიცით მის სამხედრო კარიერაზე-მეთქი მოგატყუებთ...

2011 წელს ქუთაისის მესამე ბრიგადაში გადავიდა. პირველად „ISAF"-ის სამშვიდობო მისიით ავღანეთში სწორედ ქუთაისში ყოფნის დროს წავიდა. მაშინ მის გვერდით ორი თანამებრძოლი აფეთქდა... რომ ჩამოვიდა ვეკითხებოდით რა და როგორ მოხდა, მაგრამ არაფერი თქვა... რაში გაინტერესებთ როგორ დაიღუპნენო...

სანამ შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხებოდა, მე მაშინ გავხდი სტუდენტი. განათლება ჩემი ძმის გვერდში დგომით მივიღე. ჩემი სწავლის თანხას ის მიხდიდა. პირველი ხელფასით ჩვენს პატარა ძმას ველოსიპედი უყიდა. ოჯახის წევრებს ფული გვაჩუქა... უკვე მეოთხე ხელფასზე, თავის სახელზე მამას მანქანა უყიდა...

ბაჩუკი შანავა, ვლადიმერის ძმა: „ჯარში რომ წავიდა 10 წლის ვიყავი... ჩემთვის ძმაც იყო და მეგობარიც. მომწონდა მისი სამსახური და სულ იმას ვეუბნებოდი, ჯარისკაცი უნდა გამოვიდე-მეთქი. ერთხელ მითხრა, მეცხრე კლასს რომ დაამთავრებ, კადეტთა სკოლაში გააგრძელე სწავლაო... მასაც უნდოდა სამხედრო გამოვსულიყავი... მისი გარდაცვალების შემდეგ, კიდევ უფრო გამიმძაფრდა იმის სურვილი, რომ სამხედრო გამოვიდე... მისი სამომავლო გემები ისევ სამხედრო კარიერას უკავშირდებოდა. იძახდა, მეორე კონტრაქტს, რომ დავამთავრებ, კიდევ უნდა წავიდეო... სიკვდილის შემდეგ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის მედალი“...

ბოლოს, სახლიდან რომ გადიოდა, უმცროს ძმას დაუბარა, დედას მიხედეო...

ბაჩანა შანავა, ვლადიმერის ძმა: „ავღანეთში პირველ აპრილს გაფრინდა. თვითმფრინავიდან დამირეკა, დაბადების დღეს, თვითმფრინავში, ბიჭებთან ერთად აღვნიშნავო... ბოლოს, შაბათს, 11 მაისს ველაპარაკე. ჩვეულებრივ ოჯახის ყველა წევრს გველაპარაკა. მითხრა, აფრიკის მისია იხსნება, აქედან რომ ჩამოვალ, იქ უნდა წავიდეო. დამშვიდობებისას გვითხრა, ზეგ შეგეხმიანებითო. იმ დღეს არ შემოსულა „სკაიპში“ და ძალიან გამიკვირდა... ხშირად ხდებოდა, რომ იტყოდა, ამ დროს შემოვალო და ვერ შემოდიოდიოდა. იმ ბაზაზე ინტერნეტის პრობლემა ჰქონდათ...

იმ დღეს, სანამ დაიღუპებოდა, როგორც ბიჭებმა მითხრეს, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდაო. როდესაც თალიბების დანაღმული მანქანა ქართველების ბაზასთან აფეთქდა, ვლადიმერი იმ კედლიდან 70 მეტრში მდგარა... 10 წუთი გონზე ყოფილა. ვერტმფრენში რომ ჩასვეს, უკვე მართვით სუნთქვაზე ჰყავდათო. აფრენიდან რამდენიმე წუთში დაღუპულა... ზოგი ამბობს, აფეთქების წნევისგან ფუძის მოტეხილობა მიიღოო, ზოგმა, ფილტვი გაუსკდაო... ვიზუალურად არაფერი ეტყობოდა... ექსპერტიზის დასკვნა ჯერ არ მოსულა და ზუსტად ჯერ არაფერი ვიცით რა გახდა გარდაცვალების მიზეზი.

მისი გარდაცვალების ამბავი იმავე საღამოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა გაგვაგებინეს... 17 მაისს ჩამოასვენეს. იყო შემოთავაზება მუხათგვერდში დაგვეკრძალა, მაგრამ წალენჯიხაში დავკრძალეთ... კიდევ ვერ ვეგუები უმისობას... ისევ გვგონია, რომ ავღანეთშია და ოქტომბერში უნდა ჩამოვიდეს. საფლავზე რომ გავდივარ, მაშინ ვაცნობიერებ, რომ აღარ არის“...

თეონა არქანია, ვლადიმერის ბიძაშვილი: „გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე, „ადნაკლასნიკების“ მთავარ ფოტოდ საფლავზე მჯდარი პატარძალი დააყენა, რომელსაც სამხედროს აჩრდილი დაჰყურებს... ვკითხეთ, ეს რა ფოტოა, რატომ გიყენია, ახლავე შეცვალე-მეთქი. რა იცი რა ხდებაო. ალბათ, გული უგრძნობდა მოახლოებულ უბედურებას. საერთოდ კი ძალიან მოსიყვარულე და მხიარული ადამიანი იყო... წასვლის წინ ტელეფონზე ესემესი გამომიგზავნა – „თეო, მე წავედი და შვიდ თვეში გნახავ, გკოცნიო“... ძირითადად წასული იყო და იშვიათად ვნახულობდით ერთმანეთს, თუმცა ძალიან ხშირად მკითხულობდა... ძალიან დამაკლდა მეც და მთელ ნათესაობას. ისეთი ნათელი და კაცთმოყვარე იყო, რომ გმირის წოდება ნამდვლად ღირსეულად მოიპოვა“.

ქართველი ჯარისკაცების წერილი ავღანეთიდან:

„ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ!!! ამიტომ, გთხოვთ, ნუ გვიწოდებთ ფულზე გაყიდულებს! მე და ჩემმა მეგობრებმა, აქ რომ მოვდიოდით, ვიცოდით, რომ ომი დაგვხვდებოდა – ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იქნებოდა ჩასაფრებული, მაგრამ მაინც წამოვედით... მე მწამს, რომ აქ ჩემს სამშობლოს ვემსახურები... ეს თქვენ, უბრალო ადამიანები, აღიქვამთ ასე სხვანაირად, ემოციურად ამ ყველაფერს, რადგან ქართველები ცოტანი ვართ, თორემ აქ ყოველდღე ერთი ამერიკელი მაინც იღუპება. უბრალოდ, ამაზე იქ, საქართველოში, არავინ ლაპარაკობს. აქ, ჩვენთან ახლოს, არის ქალაქი სანგინა, სადაც დღე-ღამის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება ხდება და უმსხვერპლოდ არ მთავრდება... დიახ, ყველა მსგავს ტრაგედიაზე დანაშაულის გრძნობა მაქვს ჩემი მეგობრების მიმართ, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მათ დაწყებულ საქმეს გავაგრძელებ! ჩვენ ოკუპანტები არ ვართ. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში არ იყვნენ რუსი ოკუპანტები!..“

მეოთხე

კაპრალი

ალექსანდრე კვიწინაძე

17.12.1986-13.05.2013

საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ირიცხება 2007 წლიდან. მიღებული აქვს მედალი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“. დაიღუპა 2013 წლის 13 მაისს, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, მეამბოხეთა მიერ 42-ე ბატალიონის ბაზაზე განხორციელებული იერიშის შედეგად.

„აკა, დღეს პარკში ვიყავი... დედიკომ კანფეტი მიყიდა“... ორი წლის გიორგი, ყოველ ღამე მთვარეს უყურებს და მამას ელაპარაკება... ჯერ არ იცის, მაგრამ გაიზრდება და ეტყვიან, რომ გმირი მამის შვილია, გმირის, რომელიც სამშობლოს ინტერესებს იცავდა და გმირულად წავიდა ამ ქვეყნიდან...

ჩემი შვილი ჯარისკაცი უნდა გახდესო – ეს მისი უკანასკნელი სურვილი აღმოჩნდა... ალექსანდრე კვიწინაძე 26 წლის იყო, როდესაც გიორგი დაობლდა და 22 წლის დედის იმედად დარჩა...

ჯუნა ედილაშვილი, ალექსანდრე კვიწინაძის მეუღლე: „გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში დაიბადა. ალექსანდრე ოჯახის პირველი შვილი იყო. თავისზე უმცროსი და-ძმა დარჩა... ძალიან კარგი ბავშვი ყოფილა. მეცხრე კლასიდან გამოსულა და მერე წავიდა სავალდებულოში, რომელიც ბათუმში მოიხადა... 2007 წლიდან კონტრაქტს მოაწერა ხელი. შემდეგ ვაზიანში, 42-ე ბატალიონში მსახურობდა.

პირველი კონტრაქტზე იყო, რომ ავღანეთში აპირებდა წასვლას, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომი დაიწყო და ველარ წავიდა... მისი მეგობრების მონაყოლიდან ვიცი, რომ ომში გმირულად იბრძოდა. ცხინვალშიც ყოფილა შესული... მოგეხსენებათ, გორის რაიონიდან იყო და ომში ძალიან ბევრი ახლობელი, ნაცნობი და ძმაკაცი დაკარგა... ჩვენი სოფელი დღემდე კონფლიქტის ზონად ითვლება... ომზე რომ ვეკითხებოდი რაღაცებს, არაფერს ამბობდა. სამსახურზე არ უყვარდა ლაპარაკი...

ერთად ორი წელი და რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ... მე ქარელის რაიონიდან, სოფელ ბრეთიდან ვარ. ერთმანეთი მის ბიძაშვილთან გავიცანით, რომელიც ჩემი ჯგუფელია... წელიწადი და ორი თვე ვიყავით შეყვარებულები. ძალიან კარგი ადამიანი იყო. გაწონასწორებული და ყურადღებიანი. მისი სამსახურიდან გამომდინარე, შეყვარებულობის პერიოდში ხშირად ვერ მნახულობდა, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა ჩემს გაოცებას. როცა არ ველოდებოდი, ზუსტად მაშინ გამოჩნდებოდა ხოლმე... 2010 წლის 26 ივლისი იყო. უნივერსიტეტში მომაკითხა. საერთოდ არ ველოდებოდი, ვიცოდი, რომ სამსახურში იყო. სასწავლებლის სკვერში დავსხედით. მითხრა, ძმაკაცთან ერთად ვარ და მანქანით სადმე გავისეირნოთო. უარი არ მითქვამს... უცებ აღმოვჩნდი სოფელ რუისში, მისი დეიდის სახლში... ჩვენი ქორწინებიდან ერთ თვეში დაამთავრა პირველი კონტრაქტი და ჩემი თხოვნით აღარ გაუგრძელებია. ჯარიდან წამოვიდა...

ალექსანდრე თანაცხოვრებაში უფრო უკეთესი ადამიანი აღმოჩნდა, ვიდრე შეყვარებულობის პერიოდში იყო. წლისთავზე ბიჭი გაგვიჩნდა, გიორგი დავარქვით. ძალიან ბედნიერები ვიყავით. სულ იმას ამბობდა, ჩემი შვილი ჯარისკაცი უნდა გამოვიდესო. რაღა მაინცდამაინც ჯარისკაცი-მეთქი ვეუბნებოდი...

ზუსტად წელიწადი და ოთხი თვე იყო პირველი კონტრაქტიდან გასული, რომ მეორედ მოაწერა ხელი. ვთხოვდი, რომ აღარ შესულიყო, მაგრამ იმდენად იყო ჯარზე შეყვარებული, რომ სხვაგან მუშაობა ვერ წარმოედგინა... ავღანეთში გამგზავრებამდე, ორი კვირით ადრე, ხასიათი შეეცვალა. სულ მოწყენილი და გაღიზიანებული იყო. რომ ვეკითხებოდი რა გჭირს-მეთქი, მეუბნებოდა, თქვენი დატოვება არ მინდაო... პირველად მიდიოდა ჩვენგან ასე შორს... ბოლოს სახლიდან 8 აპრილს, დილის 5 საათზე გავიდა...

აბსოლუტურად ყოველდღე გვეკონტაქტებოდა. ხან „სკაიპით“ გვირეკავდა, ხანაც „ფეისბუქით“ ვლაპარაკობდით. ბოლოს, გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, 12 მაისს, „სკაიპით“ ველაპარაკე. ჩვეულებრივად იყო. გარკვეული დრო ჰქონდა საუბრისთვის. 2 საათი შეეძლო ლაპარაკი. ბოლოს მითხრა, რა ცუდია, რომ ლაპარაკის დრო გვეწურება, კიდევ მინდა შენთან ლაპარაკიო... მითხრა, ხვალ შემოვალ სამი საათისთვის „სკაიპში“, კომპიუტერი მთელი დღე ჩართული გქონდესო. მართლაც, მეორე დღეს დილიდან ჩავრთე კომპიუტერი და ველოდებოდი, მაგრამ არ შემოვიდა... ძალიან გამიკვირდა... ესემესებსაც ვწერდი, მაგრამ არ მპასუხობდა. უკვე გარდაცვლილი ყოფილა...

როგორც გადმოცემით ვიცი, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე იყო, როდესაც მათ ბაზაზე თალიბების იერიში განხორციელდა და ადგილზე გარდაიცვალა... ვინც ბოლოს მასთან ერთად იყო, ის ბიჭები პირადად არ მინახავს. არ ვიცი, კონკრეტულად რა ვითარებაში დაიღუპა... ღმერთმა ის ბიჭები მშვიდობით ჩამოიყვანოს და რომ ჩამოვლენ, ალბათ, ყველაფერს მომიყვებიან...

მისი გარდაცვალების ამბავი იმავე დღეს გაგვაგებინეს. ჩემს მშობლებთან ვიყავი... საღამოს 9-ის ნახევარი იქნებოდა, რომ კარზე ზარი იყო. სამხედროები მოვიდნენ... დედაჩემმა გააღო კარი, მამაჩემი იკითხეს. მაშინვე მივხდი, რომ რაღაც საშინელება ხდებოდა... მესამე დღეს ჩამოასვენეს...

რამდენიმე თვეა, რაც აღარ არის... 22 წლის გოგო ვარ და პატარა ბავშვთან ერთად მარტო დავრჩი... ძალიან მიჭირს მის გარეშე... დღეს ბავშვი ყოველდღე კითხულობს მამამისს... რამდენიმე დღის წინ მთვარეს უყურებდა, ვუთხარი, მამა იქ არის-მეთქი... ახლა, ყოველ ღამე ფანჯარაში იყურება და მამამისს ელაპარაკება, აკა, ასე ეძახდა მამამისს, მე დღეს პარკში ვიყავი, დედიკომ კანფეტი მიყიდაო... რამდენიმე დღის წინ სიცხე ჰქონდა, ექიმთან მყავდა მიყვანილი. ზუსტად იმ დროს, ექიმთან ახალგაზრდა წყვილს ჰყავდა მოყვანილი შვილი. იმ ბავშვის მამა ალექსანდრეს მიამსგავდა და აკა, მამიკოო, დაუწყო ძახილი“...

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე სამშობლოს ინტერესებს იცავდა... მისი სახელი და გვარი, ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, ოქროს ასოებით ჩაიწერება... ალექსანდრე კვიწინაძე, სოფელ ბერშუეთში გმირული პატივით დაკრძალეს...

მეოთხე

კაპრალი

რუსლან მელაძე

20.09.1991-21.02.2012

მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ჯარისკაცი. დაიღუპა 2012 წლის 21 თებერვალს, საბრძოლო მანქანის ნაღმზე აფეთქების შედეგად, ჰელმანდის პროვინციაში.

ვაჟის მოლოდინში მელაძეების ოჯახს ოთხი გოგო გაუჩნდა... ირმას, ირინას, ინგასა და ლიას შემდეგ, 1991 წლის 20 სექტემბერს, ნანატრი ვაჟი, რუსლანი გაჩნდა... ნაბოლარა ბიჭი არასდროს გაუთამამებიათ... ჯერ კიდევ პატარა ოყო, რომ ოჯახს მარჩენალივით ედგა მხარში. სკოლის მოსწავლე თურქეთში წავიდა სამუშაოდ და დაგროვილი თანხით დების სწავლის საფასურს იხდიდა...

ლექსების წერა სკოლის ასაკში დაუწყია. რასაც გრძნობდა, ის გადმოჰქონდა ფურცელზე, მაგრამ არავის აკითხებდა, თვისთვის ჩუმად ინახავდა...

დროს ისევ მიდის, დრო ისევ მიდის
მაგრამ არაფერი აღარ იცვლება,
ისევ ვეშვებით ჩვენ შავ მორევში
ისევ გვესვრება სისხლში ხელები.

ჩვენ რა გვინდოდა სხვა ქვეყანაში
განა ცუდია ჩვენი ქვეყანა,
ჩვენი ბიჭები ეცემიან ძირს
სისხლით ისვრება მთელი ქვეყანა.

ღმერთო მოგვეცი ისეთი ძალა,
რომ შევაჩეროთ მთელი ქვეყანა,
ღმერთო ისმინე ჩვენი ვედრება,
და დაგვიბრუნე ჩვენი ქვეყანა.

ამ ლექსის დაწერიდან რამდენიმე თვეში, 21 წლის რუსლან მელაძე გმირულად ასრულებს ცხოვრებას... ხულოს რაიონის სოფელ ქვემო ვაშლოვანის სკოლა, დღეს მის სახელს ატარებს.

ლია მელაძე, რუსლანის და: „ერთადერთი ძმა გვყავდა და ყოველთვის თავზე ვევლებოდით. მიუხედავათ ამისა, არასდროს გაგვითამამებია. თვითონ უფრო ბევრს გვიკეთებდა, ვიდრე ჩვენ...

ძალიან ჭკვიანი და მშრომელი ბავშვი იყო... სულ ოჯახზე ზრუნავდა... პატარა იყო, სოფელში თუ რამე სამუშაო გამოჩნდებოდა არაფერს თაკილობდა. სულ იმაზე ფიქრობდა, ოჯახში რა შემოეტანა. ერთ ზაფხულს, სკოლიდან რომ დაითხოვეს, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, რომ თურქეთში წავიდა სამუშაოდ. სწავლის ფულს იქიდან მიგზავნიდა... რომ ჩამოვიდა ტანსაცმელები ჩამოგვიტანა. თავისთვის არაფერი ჰქონდა ნაყიდი. ვეჩხუბე, ბიჭო შენთვის როგორ არაფერი იყიდე-მეთქი... თქვენ გოგოები ხართ, გაპრანჭვა და კარგი ჩაცმა გჭირდებათო... ყოველთვის ჩვენზე ზრუნავდა.

ბავშვობიდან სწავლაზე მეტად სპორტი იზიდავდა. ბევრი წარმატება ჰქონდა ჭიდაობაში. არ ვიცი რატომ, მაგრამ პატარა იყო და სულ იმას იძახდა, ჯარისკაცი უნდა გამოვიდეო. სკოლის დამთავრების შემდეგ აიხდინა კიდეც ეს ოცნება... 2009 წელს დაამთავრა სკოლა და მაშინვე ჯარში წავიდა, ოჯახში არც უთქვამს, კონტრაქტზე ისე შეიტანა საბუთები... ყველამ ვიცოდით, რომ ჯარი მისი მოწოდება იყო და წინააღმდგებოდა არ გაგვიწევია. ბოლო ზარზე, როცა მასწავლებელს ბავშვებისთვის უკითხა-

ვს, ვინ უნდა გამოხვიდეთო, რუსლანს უთქვამს ჯარისკაციო... მას თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, სამხედრო გამოსულიყო. ამ გზის არჩევა, ალბათ, იმანაც განაპირობა. რომ ბევრი სამხედრო მეგობარი ჰყავდა. პირველად, რომ წავიდა, თავიდან გაუჭირდა, მაგრამ მალევე შეეჩვია რეჟიმს. იქაც ძალიან ბევრი მეგობარი გაიჩინა“...

კონტრაქტის დამთავრებამდე წელიწად-ნახევარი ჰქონდა დარჩენილი. სამშობლოში დაბრუნებულს, ქუთაისელ გოგოზე უნდა ექორწინა...

„ავღანეთში რომ მიდიოდა, ყველა ვნერვიულობდით. ოთხ დას ერთი ძმა გვყავდა და არ გვინდოდა მისი ცხელ წერტილში გაშვება. ოცნებაში ხელს ნუ შემიშლითო, გვითხრა... ძალიან ვნერვიულობდით, ვეწინააღმდეგობიდით, მაგრამ ვერაფერს გავხდით, მას უნდოდა და წავიდა... ბათუმიდან გავაცილეთ. ყველა ოჯახის წევრი იქ ვიყავით... მე ჩემი ძმა ცრემლიანი არასდროს მინახავს, იმ დღეს, გამომშვიდობებისას ცრემლები წამოუვიდა და ყველას ძალიან გაგვიკვირდა... მანამდე სულ იმას გვეუბნებოდა, არ მინდა თქვენი გაცილება, არ წამოხვიდეთ, არ მინდა თქვენი ცრემლიანი თვალები დავინახოო... სამჯერ მობრუნდა უკან და ყველას სათითაოდ ჩაგვეხუტა... დედას მიხედეთო ყველა დას დაგვიბარა...

ავღანეთში ჩასვლიდან პირველ პერიოდში, ხშირად ვერ გვეხმიანებოდა. ბოლოს, თითქმის ყოველდღე გვირეკავდა... გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ველაპარაკეთ. ძალიან მენატრებით ყველა, ნუ ნერვიულობთ, თვენა-ხევარში დავბრუნდებიო... ძალიან გაზრდილი მოგვეჩვენა. იქიდან რომ ჩამოვიდოდა ცოლის მოყვანას აპირებდა... ქუთაისელი გოგო უყვარდა. საერთო მეგობართან გაიცნო. ორი წელი ხვდებოდნენ ერთამენთს... ხშირად ვნახულობდით სარძლოს. რუსლანი, რომ ჩამოასვენეს, ის გოგოც ჩვენთან ერთად იყო...

ჩვენზე გადაყოლილი იყო. განსაკუთრებით კი დისშვილებზე. პირველ ხელფასზე ყველას რაღაც გვაჩუქა. მე და ჩემს დას, როგორც უკვე გითხარით, სწავლის გადასახადს გვიხდიდა... ერთი და, ჩვენი სოფლიდან მოშორებით არის გათხოვილი. რუსლანი ჯარიდან რომ ჩამოდიოდა, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, მანქანით მიდიოდა მის სანახავად“...

ეთერ მეხეშიძე, რუსლანის დედა: ,,პატარა იყო, მაგრამ უნდოდა, რომ ყველაფერი მას გაკეთებინა. სულ იმას ცდილობდა გვერდში როგორ ამოგვდგომოდა ოჯახს. ნანატრი ბიჭი იყო და ვცდილობდით ყველაფერში ხელი შეგვეწყო. დიდ იმედებს ვამყარებდით მასზე, მაგრამ... მეათე კლასში იყო, ჩვენთან მდინარეზე მგელი, რომ გამოეკიდა. ბიჭებისთვის დაუძახია, მომეხმარეთო. ბავშვებს შეშინებიათ და გაქცეულან. პატარა ბიჭმა მგელი დაიჭირა და ხის ტოტით მოკლა, მისი კბილი მას შემდეგ გულზე ეკიდა... ჯარში, რომ მოუყოლია ეს ამბავი, არავინ დაუჯერა, მერე ტელეფონში ფოტო აჩვენა სადაც მგელს კლავს და გაოცებულან...

მამასთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. სანამ ავღანეთში ჩავიდოდა, მანამდე გერმანიაში იყო. ჯარისკაცები ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ. ქართველებიდან ვერავინ გასულა ამერიკელებთან საჭიდაოდ. ერთ-ერთ უცხოელს უთქვამს, ამდენი ქართველი ხართ

და ერთი როგორ ვერ გამოდიხართ საჭიდაოდო. რუსლანი ამდგარა და ერთი ხელის მოსმით დაუგდია ძირს... ეს ამბავი ჩემს მეუღლეს მისი გარდაცვალების შემდეგ, ქართველმა ჯარისკაცებმა უთხრეს“...

ლია მელაძე, რუსლანის და: „კონკრეტულად სად და რა ვითარებაში დაიღუპა, არ ვიცით. მხოლოდ ის ვიცით, რომ 21 თებერვალს შეტაკებიდან ბრუნდებოდნენ და მათმა ჯავშანტრანსპორტმა დანაღმულ ადგილას გაიარა და აფეთქდა... მძღოლის გარდა ყველა დაიღუპა... მახსოვს, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მოვიდნენ და მათ შეგვატყობინეს ეს საშინელი ამბავი, იმ დღის შემდეგ ჩვენს ოჯახში ცრემლი არ გამშრალა“...

ინგა მელაძე, რუსლანის და: „ბანკიდან სესხი აიღო და მანქანა იყიდა. ეს მანქანა მე მაჩუქა. ეს იყო მისი ბოლო საჩუქარი. დედას, დებს და დისშვილებს სადაც დასჭირდება წასვლა, შენ წაიყვანეო... თვითონ მასწავლა ტარება... ყოველთვის გვაოცებდა. იცოდა, რომ ძალიან მიყვარდა ფუმფულა სათამაშოები და გერმანიიდან დიდი დათუნია ჩამომიყვანა... ყოველთვის გვიკეთებდა საჩუქრებს და გვახარებდა... რაც აღარ არის, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დავცარიელდი“...

მეოთხე

ამ ბრძოლაში საქართველო მარტო არ არის

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი

„ძალიან დამამწუხრა ავღანეთში შვიდი მამაცი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვამ. ჩემი ქვეყნის სახელით, გულწრფელად თანავუგრძნობ დაღუპულთა ოჯახებს, აგრეთვე ქართველ ხალხსა და სახელმწიფოს.

ამ ჯარისკაცებს თავს დაესხნენ, რადგან ისინი ძლიერები არიან; იბრძვიან თავდაუზოგადავად და უშიშრად, ყველა ქართველისათვის დამახასიათებელი სიმამაცითა და გმირობით; იბრძვიან ამერიკელი საზღვაო ქვეითებისა და ავღანეთის ჯარის მხარდამხარ, როგორც მათი ტოლ-სწორნი, მეგობრები და ძმები; იბრძვიან ჩვენი საერთო ღირებულებების დასაცავად.

გახსოვდეთ ყოველთვის, რომ ამ ბრძოლაში საქართველო მარტო არ არის: შეერთებული შტატები იმუშავებს საქართველოსა და ნატოელ მოკავშირეებთან ერთად ახალ საფრთხესთან გასამკლავებლად”

„საქართველოს მძიმე მისია აკისრია ავღანეთში, მან დიდი საფასური გაიღო“

ნატოს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი:

“ძალიან დამამწუხრა მიღებულმა შეტყობინებამ ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის შესახებ, რომელსაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების სამხედრო ხელმძღვანელობამ დამარწმუნა, რომ ძალ-ღონეს არ იშურებს ამ ტრაგიკულ ინციდენტში გადარჩენილთა დასახსნელად და შესაბიმისი დახმარების გასაწევად. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი სამძიმარი. ვიზიარებ თქვენი ქვეყნისა და დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახების მწუხარებას. საქართველოს მძიმე მისია აკისრია ავღანეთში, მან დიდი საფასური გაიღო. აღსანიშნავია ავღანეთის მისიისადმი საქართველოს განსაკუთრებული ერთგულება. რაოდენ საშინელიც არ უნდა იყოს ასეთი ინციდენტები, ჩვენ არ გადავუხვევთ დასახული მიზნიდან, ეს კი ნიშნავს ავღანელთათვის საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების კონტროლს, აგრეთვე იმას, რომ ეს ქვეყანა ვეღარ იქნება საერთაშორისო ტერორიზმის თავშესაფარი. საქართველო ასრულებს უდიდეს როლს ამ მისიაში, რისთვისაც მადლობას მოგახსენებთ. პატივისცემით, ანდერს ფოგ რასმუსენი”

სარჩევი

მუხრან შუკვანი 8

ვალიკო ბერაია 16

პაატა კაჭარავა 22

რამაზ გოგიაშვილი 29

გია გოგუაძე 34

ბორის ცუგოშვილი 41

ზვიად სულხანიშვილი 45

ზურაბ გურგენაშვილი 51

მიხეილ ნარინდოშვილი 55

გიორგი ღუჭაშვილი 62

თეიმურაზ ორთავიძე 66

გიორგი ადამოვი 72

ნუგზარ კალანდაძე 77

გიორგი კოლხიტაშვილი 85

ბესიკ ნინიაშვილი 90

ლავროსი ივანიაძე 98

გიორგი ავალიანი 101

ვალერი ვერსკიანი 109

შალვა ფაილოძე 114

ზვიად დავითაძე 121

გიორგი კიკაძე 125

ვალერიან ხუჯაძე 133

გივი ფანცულაია 138

დავით ცეცხლაძე 145

რეზო ბერიძე 149

მინდია აბესაძე 158

ვლადიმერ შანავა 163

ალექსანდრე კვიწინაძე 169

რუსლან მელაძე 173

პროექტ „გმირის“ ავტორი და წიგნის გამომცემელი:
თამარ ფხაკაძე

ავტორი და რედაქტორი:
თამარ გორთამაშვილი

წიგნზე მუშაობდნენ:
ქეთი ხატიაშვილი
მირიან ბოქოლიშვილი
თამარ შარმიაშვილი
ნანა შონია
ნატალია მხეიძე
თორნიკე ყავჯრიშვილი
ხათუნა მგალობლიშვილი
ნანა მელიწკაური
გურამ ადამაშვილი

დიზაინერი:
ანა ჭოღოშვილი

წიგნში გამოყენებულია
საინფორმაციო სააგენტოების
ფოტომასალა:

radiotavisupleba.ge
mediamall.ge
tspress.ge
armada.ge
geotimes.ge
pirweli.com.ge
wordpress.com

PRIME Time

GOLDEN FEATHER
ოქროს ფრთა